წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

დ ღ ი უ რ ი

— პარიზში კარლო ჩხეიძემ თვითმკვლელობის მიზნით მძიმეთ დაიჭრა თავი.
— შუ-ნანის პროვინციაში (ჩინეთი) დახვრიტეს სტუდენტების დემონსტრაცია.
— ბრაზილიის წარმომადგენელი დაბრუნდა და მონაწილეობას იღებს ერთა ლიგის საბჭოს მუშაობაში.
— საფრანგეთ-გერმანიის შორის დაიდვა დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება.
— ნორვეგიის სამთამადნო მუშების გაფიცვა დამარცხდა.
— ბელგიაში ბანკირებმა ჩაშალეს ფინანსიური რეფორმა.

პარასკევი, 11 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 131 (1586)

ჩვენ დავიცავთ მუშა-გლეხკორებს

ჩვენ დავიცავთ მუშა-გლეხკორებს

მიმდინარე ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა მუშა-გლეხ კორესპონდენტთა დაცვის გაძლიერების ამოცანა. მუშკორების დევნა იმ ადმინისტრატიულ და სამეურნეო მუშაკების მხრით, რომელთა ბოროტმოქმედება თუ უყაირათობა და უმომჭირნეობა მათ პრესის საშუალებით მზის სინათლეზე გამოაქვთ, ახალი—„ამბავი" არ არის. ისიც ცნობილია, რომ პარტია, ხელისუფლება, თვითონ პრესა ფხიზლად დგანან მუშკორთა პირუთვნელი მამხილებელი სიტყვის სადარაჯოზე. მუშკორი განსაკუთრებულ მფარველობაზეა აყვანილი და მის წინააღმდეგ აღმართული ხელი დაუზოგველად იკვეთება სათანადო ორგანოების მიერ.

ამ გარემოებას ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ დღეს, როცა მუშკორთა დევნის შემთხვევები გახშირდა, განსაკუთრებით მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიასთან დაკავშირებით. მომჭირნეობის ლოზუნგის განხორციელებაში პრესას უდიდესი როლი აქვს მიკუთვნებული. მან ამ ლოზუნგის გარშემო უნდა დარაზმოს მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი, გამოამჟღავნოს ის უთავბოლობა, ხელგაშლილობა, სახელმწიფო ქონების განიავება, რასაც ზოგიერთ ჩვენ დაწესებულება-წარმოებაში აქვს ადგილი, სამარცხვინო ბოძზე გააკრას ამაში დამნაშავე პირები, მიუთითოს მუშაობის გაჯანსაღებაზე, უკიდურესი მომჭირნეობის დაცვის საშუალებებზე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

მაგრამ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, თუ თვით მუშათა მასსებმა, პირველ ყოვლისა, მუშკორებმა არ მიიღეს ამაში აქტიური და ცხოველი მონაწილეობა. მუშკორის მახვილი თვალი უნდა ჩასწვდეს ყოველი დაწესებულების ჯურღმულს; მუშკორმა საამკარაოზე უნდა გამოათრიოს ბიუროკრატიზმის, თუ სახალხო ქონების უთავბოლო ხარჯვის და მოუვლელობის ფაქტები, რომლებსაც იქ უეჭველად ბლომად წააწყდება; მან დაუზოგველად უნდა ამხილოს ისეთი ელემენტები, რომელნიც ცდილობენ მომჭირნეობის ლოზუნგისათვის გვერდის ავლას და ძველებურად „მუშაობის" გაგრძელებას.

და მართლაც, მომჭირნეობის ლოზუნგის აზრსა და მნიშვნელობას სულ უფრო ღრმად და ფართოთ იგნებენ მუშკორები, ის ხდება მათი ყურადღების ცენტრად. ამ დარგიდან ისინი საგულისხმო მასალებს აწვდიან პრესას, ბევრ მტკივნეულ მხარეებს ხდიან ნიღაბს დაწესებულებათა ცხოვრებიდან. შემდეგისათვის, ცხადია, მუშკორების მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება. ჩვენ ხომ ახლა ვიწყებთ კამპანიას მომჭირნეობის რეჟიმისათვის და გასაკეთებელი ამ მხრივ უამრავი რამაა.

მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, მუშკორების მუშაობა აქ სერიოზულ დაბრკოლებას აწყდება. მუშკორის გაბედულ და მართალ სიტყვას ვერ ინელებენ ისინი, ვისი დანაშაულებრივი მოქმედება მათ მიზანში აქვთ ამოღებული. და იწყება მუშკორების დევნა-შევიწროება. მუშკორი ჩვენ გვეუბნება: ყველაფერს ვერ ვიტყვი, ვერ გავამხელ, რადგან დამსჯიან, დამაქვეითებენ, სამუშაოდან მომხსნიანო.

რა თქმა უნდა, მუშკორის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას დღეს იოლად ვერავინ გაბედავს, თუ არა თავზე ხელ აღებული ადამიანი, ვინაიდან კარგად იციან, რომ ამისათვის დამსახურებულ „ჯილდოს" მიიღებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქა-იქ მოიპოვებიან ასეთი „თავზე ხელაღებული" პირებიც, უმთავრესად მივარდნილ სოფლებში, სადაც მათ დროზე და ადვილად ვერ წვდება სათანადო ორგანოების სუსხი. სოფლის ამ „გმირებს" ზოგან დაშინებული ყავთ გლეხკორები.

მაგრამ მუშკორების დევნა ჩვეულებრივ მოვლითი გზით ხდება. ულირსი და ბოროტმოქმედი ადმინისტრატორი ათას ხრიკს მიმართავს, რომ მოიშოროს საზოგადოებრივი კანტროლიორი, როგორიცაა მუშკორი, რათა თავისი ბნელი მოქმედება შეუმჩნეველი გახადოს. ოფიციალურად მას მუშკორის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ, ვითომ არაფერი აქვს, პირიქით, ცდილობს ისე მოგვაჩვენოს თავი, თითქო დიდი პატივისცემით ეკიდება მას. ნამდვილად კი ეს მხოლოდ ფანდია, რომ მისთვის საძულველი მუშკორი აღგავოს „პირიდან ქვეყნისა".

მაინც რა საშუალებებს მიმართავს ასეთი ადმინისტრატორი მუშკორის ასალაგმავად? იგი ეძებს შემთხვევას, რომ მუშკორი, როგორც მუშაკი, გააშავოს, დასწამოს მას თავის საქმის უცოდინარობა, ან მოვალეობის არაპირნათლად შესრულება. ამისათვის ის არ ერიდება არავითარ ჩხირკედელაობას. არის შემთხვევები, როცა მუშკორი „საქმის ინტერესისათვის" გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, ხანდახან წარმატებასაც აძლევენ, ოღონდ თავიდან მოიშორონ და ჩააყენონ ისეთ ობიექტიურ პირობებში, როცა მას ამა თუ იმ დაინტერესებულ პირსა თუ დაწესებულებაზე კანტროლის გაწევის შესაძლებლობა არ ექნება. ისიც შეიძლება, რომ მუშკორს „არაკეთილსაიმედოობა" დასწამონ, რომ წერაზე ხელი აალებინონ, ან ფასი დაუკარგონ მის მამხილებელ მუშაობას.

ყველაფერი ეს ისეთ მძიმე ატმოსფერას ქმნის მუშკორისათვის, რომ ის ხშირად იძულებულია ფსევდონიმს ამოეფაროს, თავისი ნამდვილი ვინაობა დაფაროს. ასეთ შემთხვევაში არაიშვიათად იწყება მისი გამმაგებული ძებნა, ზოგან აშკარა, უფრო კი ფარული, ხდება სხვადასხვა პირების დაკითხვა და სხ. არიან ისეთი თავხედი პირებიც, რომელნიც რედაქციაშიც შემოდიან და მოითხოვენ მისგან მუშკორის გაცემას. ეს მოწმობს, თუ როგორ ძნელია მუშკორის მიერ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. უნდა იქნას აღმოფხვრილი ყოველგვარი შესაძლებლობა მუშკორის შევიწროების. და ეს ასეც ხდება. სათანადო ორგანოები გადაჭრილ ზომებს იღებენ მუშკორის დასაცავად, მისი თავისუფალი და გაბედული სიტყვის სავსებით უზრუნველყოფისათვის. ამ მხრივ, სხვათა შორის, აღსანიშნავია შემდეგი ადგილი ამას წინად შემდგარ, საქართველოს საკონტროლო კომისიის პლენუმის რეზოლიუციიდან: **„აღნიშნავს რა მუშა-გლეხ კორესპონდენტების აქტიურ როლს ჩვენი დაწესებულებების უყაირათობის და ნაკლულოვანებათა გამომჟღავნების საქმეში, განსაკუთრებით მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებით, და ადასტურებს რა ამასთანავე პრესაში მხილებულ და დაინტერესებულ პირების მიერ მუშა-გლეხ კორესპონდენტების ხან ფარულ, ხან კი აშკარა დევნის ფაქტს,—ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი აუცილებლად სთვლის დაუნდობელ ბრძოლის წარმოებას ამ მოვლენის წინააღმდეგ და ავალებს პრეზიდიუმს მიიღოს საჭირო ზომები ამ მიმართულებით, მუშა-გლეხ კორესპონდენტების დასაცავად დევნისა და შევიწროებისაგან, რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს".**

ამგვარად, მუშკორი სავსებით უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მის მამხილებელ მუშაობას ვერავინ შეზღუდავს, რომ დაუზოგველად იქნება ალაგმული ყველა ის, ვინც გაბედავს მის წინააღმდეგ გალაშქრებას. ამიტომ მუშკორმა უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა დაწესებულებათა ნაკლულევანებების, ცალკე თანამდებობრივ პირთა ბოროტმოქმედებების თუ უყაირათობის გამოსამჟღავნებლად. ოღონდ საჭიროა მუშკორმა საფუძვლიანად შეამოწმოს მის მიერ შეკრებილი ცნობები და მის გამოსვლაში პირად მომენტს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექნეს ადგილი, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა ედოს სარჩულად მის მუშაობას. პარტიას და ხელისუფლებას კი, ვიმეორებთ, საკმაო საშუალებები მოეპოვება მის დასაცავად დევნისა და შევიწროებისაგან".

ხალხთა ლიგის პროლოგი

უკანასკნელ კვირეებში „მსოფლიო მშვიდობიანობის გუშაგი", ხალხთა ლიგა, გაცხარებით მუშაობდა. ჟენევაში შესდგა იმ კომისიების სხდომები, რომელთა მიზანი მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის და განიარაღების კონფერენციის მომზადებაა. ამას გარდა სწარმოებდა თათბირი ხალხთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ.

ამ თათბირს ხალხთა ლიგის პრესტიჟი უნდა ეხსნა, მას უმნიშვნელოვანესი საკამათო საგნები უნდა მოეწესრიგებია და საფუძვლიანი განემტკიცებია ამ „სამშვიდობო დაწესებულების" მომავალი არსებობისთვის. მას ყველა ერებისთვის უნდა დაემტკიცებია, რომ საერთაშორისო პოლიტიკის დღევანდელი ხელმძღვანელნი მშვიდობიანობის ზრახვით არიან აღსავსენი და მხოლოდ მათ შეუძლიათ ცოდვილი კაცობრიობის გადარჩენა ახალი იმპერიალისტური ომების საშინელებისაგან. მაგრამ ხალხთა ლიგის მეცადინეობა ამაო აღმოჩნდა. მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მოსამზადებელმა კომისიამ ვერავითარი წამალი ვერ აღმოაჩინა დაავადებული ევროპის განსაკურნავად. ორმა უდიდესმა სახელმწიფომ, ამერიკამ და ინგლისმა, უარი სთქვეს ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე და ამრიგად ჟენევის კონსილიუმმა მხოლოდ აღნიშნა, რომ ავადმყოფ ევროპას დიდი ტემპერატურა აქვს, მაგრამ დიაგნოზი კი ვერ დასვა.

არა ნაკლებ სამწუხაროდ დამთავრდა, ხალხთა ლიგის მომავალი ბედის თვალსაზრისით, განიარაღების კონფერენციის წინასწარი თათბირი. ამ თათბირის დაწყებამდე ამერიკის ელჩმა ლონდონში განაცხადა, რომ განიარაღების კონფერენციაზე ისეთი საკითხები დაისმება, რომელთა შესახებ შეთანხმება არც შესაძლებელი და არც სასურველი, და ამიტომ მთელი ამ საქმის მარცხი ამ თვითვე ცხადია. მუსოლინიმაც განაცხადა, რომ იტალიის მშვიდობიანობის უზრუნველყოფა მხოლოდ ფაშისტური თოფ-ზარბაზნებით შეიძლება. სხვა სახელმწიფო მოღვაწეები ნაკლებ პოეტურად და გულ ახდილად ლაპარაკობდნენ; მათ თავიანთი მშვიდობიანობის სიყვარული გამოაცხადეს, მაგრამ ამასთანავე აღიარეს, რომ მსოფლიო ზავის ჩამოსაგდებად სხვა სახელმწიფოების განიარაღება საჭირო და არა მათი საკუთარი ქვეყნის.

შეთანხმება ვერ მოხდა აგრეთვე ხალხთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის საკითხში. ყველა დიდ სახელმწიფოებს. რეორგანიზაცია იმისთვის უნდათ გამოიყენონ. რომ მუდმივი ადგილი მისცენ თავიანთ ვასალურ სახელმწიფოს.

ამ სამ უნაყოფო ცდის შემდეგ ჟენევაში ახლა თვით ხალხთა ლიგის საბჭო შეიკრიბა. ამ კრების გახსნისას ლორდმა პალმურმა განაცხადა, რომ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა ცალკე სახელმწიფოებს შორის და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება ხალხთა ლიგის ნაყოფიერი მუშაობის წინასწარი პირობაა. ამ განცხადებას ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ. ამ კითხვების გადაუჭრელად ხალხთა ლიგა მართლაც მშვიდობიანობის დაწესებულება კი არ იქნება, არამედ იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი, მშვიდობიანობას მოწყურებულ მასსების მოსატყუებელი საშუალება. ჩვენ მხოლოდ ამ განცხადებას უნდა დავუმატოთ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა არსებული გამოცდილების მიხედვით, არ შეიძლება დღევანდელი საზოგადოებრივი წესწყობილების ფარგლებში და ამიტომ იმის მტკიცება, რომ ხალხთა ლიგა მშვიდობიანობას დაამყარებს, აშკარა სიყალბე და მშრომელი მასების მოტყუებაა. ეს მარტო ბოლშევიკური დებულება როდი არის: იგივე აზრი გაიმეორა უფრო ნათლად, მაგრამ არა ნაკლებ მტკიცეთ ამერიკელი მსხვილი ბურჟუაზიის ორგანომ „კომერციულმა და ფინანსიურმა ქრონიკამ". „ხალხთა ლიგის პრესტიჟი ისე დაეცა, რომ ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც განიზრახავდა ხალხთა ლიგის დაცვას, როგორც სამშვიდობო იარაღისა, დიდი გამბედაობა დასჭირდებოდა".

მაგრამ არა მარტო პრესის ხმა, არამედ ბრაზილიის და ესპანეთის წარმომადგენლების განცხადებაც ხალხთა ლიგის უკანასკნელ სხდომაზე ამტკიცებს, რომ ამ „სამშვიდობო იარაღის" პრესტიჟი განადგურებულია და ხალხთა ლიგის გაკოტრება ნელ-ნელა აუცილებელი ხდება. ბრაზილიის და ესპანეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნები გამოდიან, მიტომ რომ ეს დაწესებულება მსოფლიო მშვიდობიანობის იარაღი კი არა, იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი გახდა...

თუმცა ეს განცხადებანი ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ხალხთა ლიგის კომედიის დასასრულს, მაგრამ ისინი გვანიშნებენ, რომ დასასრული მოახლოვებულია.

გეზა გოლდ.

ახალი მთავრობა პოლონეთში

მთავრობის შედგენის დროს სეიმის ჯგუფებთან მოლაპარაკება არ გაუმართავთ

პრესა და პარტიები უკმაყოფილო არიან მთავრობის შემადგენლობით

რატაის პროტესტი.—დამსჯელი ექსპედიციები გლეხთა არეულობის ჩასაქრობად

მუშები და გლეხები პილსუდსკის წინააღმდეგ

კონსტიტუციის შეცვლა

ვარშავა, 10 ივნისი. მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით განიხილა კანონპროექტი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ ამიერიდან საბჭოს დღის წესრიგი წინასწარ ეცნობება პრეზიდენტს, რომელიც, თუ საჭიროდ სცნობს, წინადადებას მისცემს საბჭოს, რომ მან განიხილოს ესა თუ ის საკითხი საგანგებო სხდომაზე მისივე თავმჯდომარეობით.

დღემდე პრეზიდენტი არასდროს არ იღებდა მონაწილეობას მინისტრთა საბჭოს სხდომაზე საკითხების გადწყვეტაში.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

სეიმის დათხოვნას მოითხოვენ

ვარშავა, 9 ივნისი. „ბრილისა" და „ვიზვოლენიეს" სეიმის ფრაქციები მოითხოვენ სეიმის დაუყონებლივ დათხოვნას.

ეს ჯგუფები აცხადებენ, რომ ისინი არაფერს არ მოერიდებიან თავისი მოთხოვნილების მოსაყვანად სისრულეში.

რატაის პროტესტი

ვარშავა, 9 ივნისი. სეიმის წრეებში აცხადებენ, რომ რატაის წასვლა შვებულებაში პროტესტია იმის წინააღმდეგ, რომ სეიმს გვერდი აუხვიეს კაბინეტის შედგენის დროს.

ხმები დადის, რომ რატაის განზრახვა აქვს, უარი სთქვას სეიმის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

გაცრუებული იმედები

ვარშავა, 9 ივნისი. იან დომბსკი (გლეხთა პარტია) სწერს:

„პილსუდსკის გამოსვლამ გააღვიძა გლეხობა და იმედი მისცა, რომ მათი ხვედრი აწი მაინც გაუმჯობესდებოდა: გატარდებოდა მიწის რეფორმა, მემამულეებს უსასყიდლოთ ჩამოართმევდენ მიწას, ტყეები სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა და შესდგებოდა მუშურ-გლეხური მთავრობა.

გლეხები ელოდებიან მაისში დაწყებული საქმის დამთავრებას. თუ არავინ არ იკისრებს ამას, გლეხები თვითონ დაასრულებენ მას".

ახალი მთავრობა

ვარშავა, 9 ივნისი. შესდგა პოლონეთის ახალი მთავრობა ბარტელის მეთაურობით. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა მლოდზიანოვსკი, სამხედრო—პილსუდსკი, ფინანსთა—კლარნერი. ზალესკი ისევ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად დაინიშნა.

ვინაიდან, მთავრობის მთელი რიგი წევრები დაინიშნენ არა მინისტრებად, არამედ სამინისტროების ხელმძღვანელებად, მოსალოდნელია კაბინეტის ახალი რეორგანიზაცია.

ეს—პოლონეთის პირველი მთავრობაა, რომელიც სეიმის ჯგუფებთან მოლაპარაკების გარეშე შესდგა. მოლაპარაკება მხოლოდ პრეზიდენტთან სწარმოებდა.

უთანხმოება იზრდება

ვარშავა, 9 ივნისი. პოლონური გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონელ სოციალისტების წრეებში დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი პილსუდსკისადმი დამოკიდებულების საკითხში.

ლაპარაკობენ განხეთქილების შესაძლებლობაზე.

მთელ რიგ საოლქო ცენტრებში იზრდება უკმაყოფილება პარტიის ც. კ. პოლიტიკით.

უთანხმოებათა გამო პარტიის უმაღლეს საბჭოს სხდომა გადაიდო.

მთამ შვა თაგვი

ვარშავა, 9 ივნისი. „გაზეტა პორანნა" ახალი მთავრობის შესახებ სწერს:

„მთამ შვა თაგვი რამდენიმე დღის განმავლობაში ვარშავაში თურმე იმიტომ ილვრებოდა სისხლი, რომ სამი კვირის მოლაპარაკების შემდეგ შემდგარიყო უსახო და უილაჯო მთავრობა პარტელის, პილსუდსკის, ორი პროფესორის, ერთი ინჟინერის და 6 მინისტრის ამხანაგის—წინანდელი მთავრობის მოხელეების შემადგენლობით".

პოლონელ სოციალისტების ორგანო „რაბოტნიკ" აღნიშნავს, რომ პილსუდსკის მიერ მოხდენილ გადატრიალების შემდეგ მთავრობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა.

მთელს პოლონეთში ხდება ცვლილებები ჯარის სარდლობაში და ადმინისტრაციაში.

შეტაკება

ვარშავა, 9 ივნისი. ლვოვიდან იუწყებიან, რომ ბრილის (გლეხთა პარტია) და „პიასტოველებს" შორის შეტაკება მოხდა.

შეტაკების დროს დაიჭრა 6 გლეხი, ერთი მოკლულია.

ჯარები გლეხების წინააღმდეგ

ვარშავა, 9 ივნისი. გაზ. „რაბოტნიკ" იუწყება, რომ ბარანოვიჩის მაზრის სოფ. ვოინიცის და ციგანკას გლეხების წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარები და შეიარაღებულ მემამულეთა რაზმები.

დიდი დამსჯელი რაზმები გაიგზავნა აგრეთვე ვლობოვის მაზრაში.

საგარეო პოლიტიკის კურსი

ვარშავა, 9 ივნისი. „ნოვი კურიერ პოლსკი" აქვეყნებს საუბარს გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ ზალესკისთან. ზალესკი ამბობს, რომ შემცდარი აზრია, თითქოს პოლონეთის საგარეო პოლიტიკას ახალი გეზი ჰქონდეს აღებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან დაახლოვების, ან საბჭოთა კავშირის მიმართ უნდობლობის და დროს შერჩევის პოლიტიკის დაცვის სახით.

გაზეთი ამ განცხადებას ეხება თავის მოწინავეში და სწერს:

„პოლონეთის პოლიტიკას რუსეთის მიმართ საფუძვლად უდევს მისწრაფება აღმოსავლეთ-ევროპის დამშვიდებისაკენ. მაგრამ საბჭოთა პრესა ისე იქცევა, თითქოს ეს მას არ ესმოდეს. უკანასკნელ დროს არა მარტო მთავრობის ორგანო „იზვესტია", არამედ აგრეთვე პარტიული ორგანო „პრავდა", კარგ კილოთ სთვლის ნერვიულობას, განსაკუთრებით „პოლონეთის ბალტიის პოლიტიკის საკითხებში".

გაზეთი ეხება საბჭოთა მთავრობის პასუხს ბალტიის სახელმწიფოთა მემორანდუმზე და სწერს:

„პოლონეთს ზედმეტად მიაჩნია ახალ ხელშეკრულებათა დადება, რადგან უკვე არსებობს რიგის ფართო ხელშეკრულება, რომლითაც ბევრი რამ შეიძლება და კიდეც უნდა გაკეთდეს. „პრავდა"-ს ნერვიულობაში, რომ ნამდვილი შიშის ნიშანი მოსჩანდეს, ჩვენ შევეცდებოდით ეს შიში მოგვესპო".

ინგლისში ბრძოლა გრძელდება

მაღაროს მუშათა ფედერაციამ გადასწყვიტა განაგრძოს გაფიცვა

გაფიცვის საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 10 ივნისი. დღეს კვლავ თემთა პალატაში განიხილავენ მემაღაროეთა გაფიცვის საკითხს. პრემიერი გააკეთებს განცხადებას მაკდონალდის შეკითხვის შესახებ.

შეკითხვა შეეხება მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა შორის მოლაპარაკების ჩაშლას, რომელიც სამშაბათს მოხდა.

მუშათა პარტიამ გადასწყვიტა, რომ მაღაროს მუშათა გაფიცვის საკითხიც თემთა პალატაში დასვას განსახილველად. თუ მუშათა პარტია დაჟინებით მოითხოვს მაღაროს მუშათა გაფიცვის საკითხის განხილვას, მაშინ კამათი თემთა პალატაში სამშაბათს გაგრძელდება.

საკითხის განხილვის შესაძლებლობას ყველა ესალმება. გაზეთები აცხადებენ, რომ ბოლდუინმა ისარგებლა შემთხვევით, რომ შეერყია მუშათა პარტიის რწმენა იმაში, რომ მთავრობას განზრახვა აქვს გააგრძელოს 3 მილიონი გირ. სტერლინგის სუბსიდია ქვანახშირის მრეწველობის ხელის შესაწყობად.

ჩერჩილი თემთა პალატაში აცხადებს, რომ 3 მილ. გირ. სტერლინგის თანხა პირობითია და დამოკიდებულია კონფლიქტის გადაწყვეტის მიღებაზე.

გაფიცვის შემდეგ

ბერლინი, 10 ივნისი. შეფილდის, ლანკაშირის და იორკშირის ქარხნები ამჟამად ნახშირის ნაკლებობის გამო, ხშირად არ მუშაობენ. ამ ქარხნებს ნახშირის იმ მარაგიდან, რომელიც მათ აქვთ, შეუძლიათ დახარჯონ არა უმეტეს 15 პროცენტისა.

რეფერენდუმი მთავრობის კონტროლს ქვეშ

ლონდონი, 9 ივნისი. დადის ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს სამთამადნო მუშებს შორის მოაწყოს რეფერენდუმი მთავრობის კონტროლს ქვეშ.

ეხლანდელი კანონმდებლობა მთავრობას ამის უფლებას არ აძლევს, რის გამო საჭირო იქნება სპეციალურ საკანონმდებლო აქტის გატარება.

დოკერების გამარჯვება

ლონდონი, 9 ივნისი. დოკერების გაფიცვა მანჩესტერში შესწყდა, რადგან მეპატრონენი დასთანხმდენ დოკერების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და აღუთქვეს მუშებს, რომ მომავალში სამსახურში მიიღებენ მხოლოდ კავშირის წევრებს.

მწარმოებლების განზრახვა

ლონდონი, 9 ივნისი. მაღაროს პატრონებთან მოლაპარაკების შესახებ კუკმა განაცხადა:

„მაღაროს პატრონებმა, როგორც სჩანს მტკიცედ გადასწყვიტეს თავიანთი ძალების გამოყენება და ლოკაუტის გაგრძელება, სანამ სიმშილობით არ დაამარცხებენ სამთამადნო მუშებს და კაპიტულიაციის მოხდენას არ აიძულებენ".

გაფიცულთა გაჭირვება

ლონდონი, 9 ივნისი. მაღაროს მუშების დასახმარებელ ფონდის შემკრებნი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მუშების გალატაკება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს და ქვანახშირის რაიონის ბევრ ადგილებში სიმშილობა იწყებაო.

გამცემლები

ვაშინგტონი, 9 ივნისი. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მაღაროს მუშათა ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა, ამერიკის შრომის ფედერაციისადმი მიმართვის შესახებ, უკანასკნელი უარყოფს ამგვარი მიმართვის მიღებას.

ამერიკის შრომის ფედერაციას აქამდის არ აღმოუჩენია დახმარება ინგლისელ მაღაროს მუშებისათვის.

კომინტერნი ინგლისის გაფიცვის შესახებ

მოსკოვი, 10 ივნისი. „პრავდა" მეთაურ წერილში—„კომუნისტური ინტერნაციონალი ინგლისის გაფიცვის შესახებ"—ყოველი შეგნებული ბოლშევიკისათვის საჭიროდ აღიარებს კომინტერნის თეზისების შესწავლას ინგლისის გაფიცვის გაკვეთილების შესახებ.

ეს თეზისები ლენინისებურად ხსნიან ინგლისში მომხდარ კლასობრივ ძალთა განწყობილების შეცვლას. ინგლისის კლასების შეტაკებამ მაისში განსაკუთრებული სიმძაფრით გამოააშკარავა პროფკავშირების როლი და დაადასტურა ლენინის აზრი, რომ ტრედუნიონები წარმოადგენენ ძირითად ორგანიზაციულ საფუძველს ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის.

დამახასიათებელია, რომ ინგლისის მუშათა გამომარცხენების ისტორიულად ნიშანდობლივი პროცესი განვითარდა, უპირველეს ყოვლისა, და ყველაზე უადრეს ტრედიუნიონების საშუალებით. სავსებით კანონშეწონილი და პოლიტიკურად მართებული და სწორი იყო ინგლისის კომპარტიის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი—მთელი ძალაუფლება ტრედუნიონების გენერალურ საბჭოს. ბრძოლის შემდგომი განვითარების დროს თუ იგი პოლიტიკურ ხასიათს მიიღებდა, ეს ლოზუნგი აუცილებლად გადაიქცეოდა ინგლისის მუშათა კლასის მთავარ პოლიტიკურ ლოზუნგად. ინგლისის რევოლიუციონერების წინაშე სდგას ამოცანა—განამტკიცონ თავიანთი გავლენა პროფკავშირებში და პროფკავშირების საშუალებით გაერთიანებულ მასებზე.

არც ერთ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი მასების დაპყრობა პროფკავშირების გარეშე. განსაკუთრებით სწორია ეს დებულება ინგლისისათვის, სადაც პროფმოძრაობას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო ინგლისის „უმცირესობის მოძრაობას" ბრწყინვალე მომავალი აქვს.

საყოველთაო გაფიცვის მეთოდმა, როგორც პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ფორმამ, მაისში ისტორიული გამოცდა დაიჭირა. ინგლისში საყოველთაო გაფიცვას პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობების თვისება აქვს.

მაისის გაფიცვის შემდეგ არ უნდა მიიჩქმალოს პროფკავშირული გაერთიანებული ფრონტის და ინგლის-საბჭოთა კავშირის ერთობის კომიტეტის საკითხები. ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ პოლიტიკურად იაფფასიანი ჟესტი და კომიტეტიდან არ უნდა გამოვიდეთ.

ინგლისის წინაშე სდგას როგორც რეაქციის გაძლიერების შესაძლებლობა, ისე, რაც უფრო შესაძლებელია, რევოლიუციური ბრძოლის გაფართოება, მაისის ბრძოლის დამარცხების მიუხედავად.

ლენინის კომინტერნმა ორიენტაცია უნდა მოახდინოს რევოლიუციური განვითარების პერსპექტივაზე, რომელსაც მემაღაროების გაფიცვა შეიცავს, ეს გადამწყვეტი კვანძია საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლისა. მემაღაროების გაფიცვა შეიძლება გამოსავალ წერტილად გადაიქცეს კლასობრივი შეჯახებებისათვის ახალ ნიადაგზე. ამიტომ კომინტერნმა სრულის უფლებით ინგლისელ მემაღაროების გაფიცვა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმედ გამოაცხადა და უკანასკნელს მოუწოდებს აქტიურად დაეხმარონ თავის მოძმე-მემაღაროებს.

საბჭოთა პრესა

ხელფასის დაგვიანება დაუშვებელია

ბოლო დროს მრეწველობის ცალკე დარგებში შემჩნეულია ხელფასის დაგვიანებით გაცემა. ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ ეს მოვლენა აუარესებს არა მარტო მუშების მდგომარეობას, არამედ თვით წარმოებასაც დიდ ზიანს აყენებს, ვინაიდან ამას თან სდევს მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობის დარღვევა, შრომის ინტენსივობის და დისციპლინის დაცემა.

ხელფასის დაგვიანების მიზეზები ბევრია. ფინანსიური ხელმოკლეობის გამო და ფულის კურსის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო იძულებული გახდა მრეწველობისათვის კრედიტები შეემცირებია, პირვანდელ ნორმებთან შედარებით. გარდა ამისა, მრეწველობა იმ თავიდანვე შეუდგა უფრო ფართო პროგრამის განხორციელებას, ვიდრე ეს შესაძლებელი გახდა შემდეგში, და ამაზე საგრძნობი საბრუნავი საშუალებები დაიბანდა. მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ მრეწველობა თავის დროზე ვერ ღებულობს მის მიერ გაცემულ საქონლის საფასურს. აგრეთვე ხაზგასასმელია, რომ სამეურნეო ორგანოები ზოგან დაუშვებელ ხელგაშლილობას და უმომჭირნეობას იჩენდენ. დღემდე საერთოდ უნდა ითქვას, რომ დავალიანება ხელფასის დარგში აიხსნება არა მარტო ობიექტიური მიზეზებით, არამედ ზოგიერთ სამეურნეო ორგანოების უუნარიანობით და უგეგმო მუშაობითაც. ამ დავალიანებას გადაჭრით და სისწრაფით უნდა მოეღოს ბოლო. გაზ. „ტრუდ" წერს:

„უმაღლეს სამეურნეო ორგანოების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ამოცანა—მთელ რიგ ღონისძიებათა საშუალებით მოახდინონ ხელფასის დარგში დავალიანების ლიკვიდაცია. საჭიროა ერთხელ კიდევ გავახსენოთ მრეწველობას, რომ ხელფასის დროზე გასტუმრება შეადგენს თვითეულ სამეურნეო ორგანოს გადაუდებელ ამოცანას. ეს შეგნება ზოგიერთებს დაეკარკათ უკანასკნელ პერიოდში, როცა ხელფასის გაცემა ნორმალურად ხდებოდა. ხელფასის მიმართ უნდა შეიქმნას ისეთივე დისციპლინა, როგორიც არსებობს თამასუქების განაღდების დარგში. მუშების წინაშე ვალდებულებათა მოხდა უნდა წარმოებდეს ყველა დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ადრე. ამ თვალსაზრისით აუცილებელია გადაისინჯოს ზოგიერთ ტრესტების ფინანსიური გეგმები და მათში სათანადო ცვლილებები იქნას შეტანილი. ამ საკითხში ინიციატივა უნდა აიღონ დაინტერესებულ კავშირების ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

მაგრამ მარტო ამით საქმეს ვერ უშველით. ძირითად ბანკების საკრედიტო პოლიტიკა სათანადო ანგარიშს უნდა უწევდეს მრეწველობის მდგომარეობას... ბოლოს, იმ სამეურნეო ორგანოებზე, რომელნიც არ ითვალისწინებენ ხელფასის დროულად გასტუმრების მთელ მნიშვნელობას, საჭიროა ზეგავლენის მოხდენა უკვე არა მარტო ეკონომიურ ხასიათის ზომებით".

ყველაფერი ეს უდავოა. მართლაც, აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება ხელფასის თავის დროზე დარიგებისათვის. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ უსარგებლო ხარჯების მოსპობას და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას.

ღამის ცნობები

ყოფ. მეფის საგვარეულოს ქონების ექსპროპრიაციის გარშემო

ბერლინი, 10 ივნისი. მთავრობის მიერ გამოტანილი კომპრომისული გადაწყვეტილება ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების ექსპროპრიაციის საკითხის შესახებ რეიხსტაგმა იურიდიულ კომისიას დაუბრუნა.

პარასკევს კენჭს უყრიან კომპრომისის წინადადებას, რომელიც მოითხოვს უნდობლობის გამოცხადებას კაბინეტისათვის ჰინდენბურგის იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც მან გაუგზავნა რეიხსტაგის თავმჯდომარეს ლებეს.

მარქსმა ჰინდენბურგის წერილის შესახებ განაცხადა, რომ ეს წერილი გამოხატავს პრეზიდენტის პირად მოსაზრებას და მთავრობას ის არ შეეხება. მარქსის სიტყვით, ექსპროპრიაცია დამაკმაყოფილებლათ ვერ სჭრის საკითხს, ვინაიდან ის არ ეთანხმება სახელმწიფოს მთავარ პრინციპებს.

მთავრობის კომპრომისი ითვალისწინებს ომისა და ინფლიაციისაგან გამოწვეულ ნაციონალურ ზარალს. მთავრობა აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა სასწრაფოდ გადაჭრას ეხლანდელი კონფლიქტი.

„რეფერენდუმიც, რომ ექსპროპრიაციის სასარგებლოდ დამთავრდეს, განაცხადა მარქსმა, მე დაჟინებით მოვითხოვ საკითხის კანონის მიხედვით გადაჭრას".

კატასტროფა რკინის გზაზე

ბერლინი, 10 ივნისი. კოპშტატიდან მიღებული ცნობებით, რკინის გზაზე სოლტ-რიეფრისა და კოპშტადტს შორის დიდი კატასტროფა მოხდა. ჯერ-ჯერობით ნამსხვრევებიდან 15 გვამი ამოიღეს. სერიოზულად დაშავებულია 80 კაცი.

ბეთლენს სილა გააწნეს

პარიზი, 10 ივნისი. ჟენევაში უნგრეთის ყოფილ პრეზიდენტის იუსტის შვილმა ერთა ლიგის კულუარებში საჯაროდ სილა გააწნა გრაფ ბეთლენს.

დაპატიმრების დროს იუსტის შვილმა განაცხადა, რომ მას უნდოდა ბოროტმოქმედის დამცირება იმ მიზნით, რომ ეგრძნობინებია უნგრეთისათვის, რომ დროა მან მოიშოროს ევროპის მშვიდობიანობისათვის ამ საშიშ ტირანის უღელი.

ინციდენტმა დიდი სენსაცია გამოიწვია.

ლიგის საბჭოს სხდომის გახსნის დროს თავმჯდომარემ მწუხარება გამოსთქვა მომხდარ ამბის გამო.

აფეთქება სამხედრო მასალების საწყობში

ბერლინი, 10 ივნისი. ალტდორფში (შვეიცარია) სამხედრო მასალების ქარხანაში მოხდა აფეთქება, რომლის დროს მოკვდა 8 და მძიმედ დაიჭრა 2 კაცი.

ბრძოლა გრძელდება

ლონდონი, 9 ივნისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სცნობს ბრძოლის განგრძობას იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომელიც გაფიცვამდე არსებობდა.

„საბუთები საგანგებო წესების წინააღმდეგ".

ლონდონი, 9 ივნისი. კომუნისტ ქალს დიქსონს 2 თვის ციხე მიუსაჯეს, „რადგან მას აღმოაჩნდა საბუთები, რომელიც საგანგებო წესების წინააღმდეგ იყო მიმართული".

ერთა ლიგის საბჭოს სესია

კომპრომისი

ბერლინი, 10 ივნისი. ჟენევიდან მიღებულ ცნობით, ბრაზილია ერთა ლიგის საბჭოში დაიჭერს არამუდმივ ადგილს, ერთა ლიგის შემდეგ სხდომაზე, სექტემბერში, ხელმეორედ არჩევის უფლებით.

ჩემბერლენი ბრიანის წინააღმდეგ

პარიზი, 10 ივნისი. გაზეთ „მატენში" ჟიულ სორვეინი ბრალსა სდებს ჩემბერლენს იმაში, რომ იგი მხარს უჭერს უნგრეთს ჟენევაში ბრიანის წინააღმდეგ გრეთს ჟენევაში ბრიანის წინააღმდეგ. ჟიულ სორვეინი ამას ხსნის იმით, რომ ინგლისი დაინტერესებულია ფინანსიურ და კოლონიალურ ურთიერთობით უნგრეთთან.

კონტროლი ავსტრიაზე

ბერლინი, 9 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ირჩეოდა ავსტრიაზე ფინანსიური კონტროლის გაუქმების საკითხი. სხდომას ბრაზილიის წარმომადგენელიც დაესწრო.

უთანხმოება

ბერლინი, 9 ივნისი. უთანხმოება ბრაზილიისა, ესპანეთსა და ერთა ლიგის საბჭოს შორის კიდევ არ არის მოგვარებული.

ინგლისის წარმომადგენლებს უნაყოფოდ მიაჩნიათ საბჭოს შემადგენლობის საკითხის მომწესრიგებელ კომისიის სხდომის მოწვევა, რომელიც 28 ივნისისათვის არის დანიშნული; მათ მოითხოვეს, რომ ეს საკითხი განსახილველად გადაეცეს ლიგის საბჭოს სექტემბრის პლენუმს მას შემდეგ, რაც არსებული უთანხმოება დიპლომატიური გზით იქნება თავიდან აცდენილი.

„მხოლოდ პატივისცემის გამო"

პარიზი, 9 ივნისი. ისპანიის მინისტრთა საბჭომ ერთხმად დაადასტურა გარეშე საქმეთა მინისტრის პოზიცია, რომელმაც ინსტრუქცია მისცა ისპანიის წარმომადგენელს ჟენევაში, თათბირზე მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მიმართ პატივისცემის გამო, რომლებმაც მოიწვიეს საბჭოს სხდომა.

მელო ფრანკო დაბრუნდა

ბერლინი, 10 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ჟენევაში სენსაცია მოახდინა ბრაზილიის დელეგატს მელო ფრანკოს გამოცხადებამ (უკანასკნელი გაურბოდა ლიგის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას).

ესპანეთის წარმომადგენლის განცხადება

ბერლინი, 10 ივნისი. ესპანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მთავრობის ინსტრუქცია უფლებას არ აძლევს მას მონაწილეობა მიიღოს კენჭის ყრაში.

საბჭოს რეორგანიზაცია

ლონდონი, 10 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გამომრკვევმა კომისიამ პრინციპიალურად მიიღო არა მუდმივ წევრთა რიცხვის გადიდება და ლიგაში შეტანა საკითხის მოწესრიგების პროექტი.

ლიგამ მიიღო ეს პროექტი იმ პირობით, რომ მასში შეტანილ უნდა იქნეს საჭირო ცვლილებები საბჭოს მუდმივ წევრთა რიცხვის განსაზღვრის მიხედვით.

კომისია 28 მაისს ხელმეორედ განიხილავს პროექტს.

კარლო ჩხეიძეს თავის მოკვლა უნდოდა

პარიზი, 9 ივნისი. კარლო ჩხეიძემ თვითმკვლელობის მიზნით მძიმეთ დაიჭრა თავი.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

დიურანის განცხადება

ლონდონი, 10 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით შინაგან საქმეთა მინისტრმა დიურანმა განაცხადა, რომ ხმები კაბინეტის კრიზისის შესახებ, უსაფუძვლოა. ოფიციალურ ცნობებით. მინისტრთა საბჭოში ამჟამად სრული თანხმობაა მიღწეული ფინანსიურ მდგომარეობის აღდგენის მიზნით შემდგომ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ.

იმედი აქვთ

პარიზი, 10 ივნისი. გაზეთები უკეთებენ კომენტარიებს ზოგიერთ ხმებს მთავრობის კრიზისის შესახებ, და აღნიშნავენ, რომ მთავრობის წრეებში ცოტაოდენ უხერხულობას გრძნობენ. პერე აცხადებს, რომ მას არა აქვს არავითარი განზრახვა გადადგეს და განაგრძობს როგორც 1927 წლის ბიუჯეტის ისე ფინანსიურ გაჯანსაღების პროექტის განხილვას.

ამას პერემ დაუმატა, რომ მას შეუძლიან აღნიშნოს იმპორტის მნიშვნელოვანი გავლენა კომერციულ ბალანსის წონასწორობაზე.

დასკვნაში პერემ განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იმედიანადაა განწყობილი.

დეპუტატების ჯამაგირის შესახებ

პარიზი, 10 ივნისი. დეპუტატთა პალატამ განიხილა საკითხი პარლამენტის წევრთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ.

დეპუტატი რონიონი იცავდა ხარჯთაღრიცხვის კომისიის დასკვნას, რომელიც წინადადებას იძლეოდა, რომ დეპუტატების ჯამაგირი 40.000 ფრანკამდე გადიდებულიყო. ეს წინადადება 4 ხმის უმეტესობით უარყოფილია.

ფრანკი... და ვანდერველდე

ბორდო, 10 ივნისი. იუწყებიან, რომ პარიზიდან ჩამოვიდა ტენისი, რომელსაც თათბირი ჰქონდა ბრიანთან და ლიუშერთან ვანდერველდეს თანდასწრებით, საფრანგეთსა და ბელგიის ფულის კურსის ასაწევად. თათბირს მიზნად აქვს განიხილოს საფრანგეთის, ბელგიის და შემდეგ იტალიის გაერთიანებული მოქმედება ეროვნულ ფულის ტრიალის დასაცავად.

ფრანკი და ლირა

პარიზი, 9 ივნისი. იუწყებიან, რომ ბრიანი შეუთანხმდა ვანდერველდეს—ფრანკის კურსის დასაცავად გაერთიანებულ მოქმედების შესახებ.

ამბობენ, რომ იტალიაც მიემხრობა ამ შეთანხმებას, ვინაიდან ფრანკის კურსის რყევა ცუდ გავლენას ახდენს ლირის კურსზეც.

ჰინდენბურგის რესპუბლიკაში

დემონსტრაცია.

ბერლინი, 9 ივნისი. სრულიად გერმანიის პროფკავშირების და ესსენის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და აგრეთვე ჰელზენკირხენის გაერთიანებული საოლქო ორგანიზაციების პრეზიდიუმი, კვირას, კომპარტიასთან ერთად აწყობს მასიურ დემონსტრაციას ყოფ. სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაციის საკითხზე.

ამგვარათ, სოციალ - დემოკრატიულ ლიდერების ერთიანი ფრონტი ჩაიშალა.

ეროვნულ დროშის გარშემო

ბერლინი, 10 ივნისი. საკითხი ეროვნულ დროშის შესახებ, ალბად, გადაწყდება რეიხსტაგის კომისიაში, რომელიც ამ საკითხს განიხილავს ექსპერტებთან ერთად.

ყოფ. მეფის გვარეულობათა ქონების ექსპროპრიაციის საკითხი

ბერლინი, 10 ივნისი. რეიხსტაგმა გადასწყვიტა შესწყვიტოს სესია მომავალ კვირაში იმ მიზნით, რომ საშუალება მისცეს პარტიებს მოემზადონ ნაციონალურ რეფერენდუმისათვის ყოფ. მეფის გვარეულობათა ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის შესახებ.

თუ საკითხი რეფერენდუმით ვერ გადაწყდა, მთავრობის კომპრომისული წინადადება რეიხსტაგში შეტანილ იქნება მომავალი თვის დასაწყისში.

ხელუხლებლობა მკვლელობისათვის

ბერლინი, 10 ივნისი. რეიხსტაგის სარეგლამენტო კომისიამ დაადასტურა რეიხსტაგის დეპუტატის — უკიდურესი ნაციონალისტის კობეს ხელშეუხებლობა. კობეს ბრალი ედება პოლიტიკურ მკვლელობათა მოწყობაში.

გერმანიის დროშა

პარიზი, 10 ივნისი. ბერლინიდან მიღებული ცნობით გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრები ადგენენ დეკრეტს, რომლის თანახმად ძალაში შედის ჰინდენბურგის ბრძანება ნაციონალურ დროშის შესახებ. დეკრეტი გამოვა 11 აგვისტოს — კონსტიტუციის წლისთავზე.

გერმანია - საფრანგეთის ხელშეკრულება

პარიზი, 10 ივნისი. რადგან რეიხსტაგის არდადეგებამდე შეუძლებელი ხდება საფრანგეთ - გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რეიხსტაგმა დაადგინა დასდოს დროებითი ხელშეკრულება სამი თვით. გერმანიის დელეგაციის ნაწილი ბრუნდება ბერლინში, ხოლო მეორე ნაწილი რჩება პარიზში, სადაც გაგრძელდება მოლაპარაკება.

ინგლისის იმპერიალიზმის დამარცხება

ალექსანდრია, 9 ივნისი. ქაიროში დამთავრებულმა მუსლიმანთა კონგრესმა არაბთა ანტიმილიტარისტულ დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

ოპოზიციამ, რომელსაც არაბი ნაციონალისტები ხელმძღვანელობდენ, მოახერხა ხალიფის არჩევის საკითხის გადადება.

მთელი ეგვიპტის და არაბეთის პრესის აზრით, კონგრესის შედეგები ნიშნავს ინგლისის დიპლომატიის დამარცხებას ახლო-აღმოსავლეთში.

გამარჯვებულთა შურისძიება

49 კაცის სიკვდილით დასჯა

ანგორა, 9 ივნისი. სამხედრო-საველე სასამართლო დამასკში განაგრძობს სასიკვდილო განაჩენთა გამოტანას.

ამ დღეებში დამასკში 49 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

ჩ ი ნ ე თ შ ი

სტუდენტების დახვრეტა

ბერლინი, 10 ივნისი. შუ-ნანის პროვინციაში სტუდენტებმა მოაწყვეს დემონსტრაცია საბჭოთა მთავრობის და გომინდანის სასარგებლოთ. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, მოკლულ იქნა 24 კაცი და დაიჭრა 300.

მისიონერის ქვრივის მოკვლა

ლონდონი, 10 ივნისი. შენგ-ტუდან მიღებული ცნობის თანახმად შენგტუს ქუჩაზე მოჰკლეს მისიონერ სიბლეს ქვრივი, რომელიც ცხოვრობდა ჯუნგსეინში. მკვლელი დააპატიმრეს.

გამცემლობის შედეგები

ოსლო, 10 ივნისი. კონფლიქტი ნორვეგიის სამთამადნო მრეწველობაში დამთავრდა. ორივე მხარემ მიიღო შემთანხმებელ კომისიის წინადადება, რომელიც სამუშაო ხელფასის შემცირებას ითვალისწინებს. მუშაობა პარასკევს განახლდება.

ლონდონი, 10 ივნისი. ოსლოდან მიღებულ ცნობის მიხედვით, მიღებულია წინადადება კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალური კომისიის დაარსების შესახებ. მუშაობა განახლდება პარასკევს. ოსლოში გაფიცული იყო საფეიქრო, რკინის და ნახშირის მრეწველობის 30.000-ზე მეტი მუშა. გაფიცვა გაგრძელდა ერთ თვემდე.

ამ ე რ ი კ ე ლ ი მ ე კ ო ბ რ ე



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს განმარტება

მოსკოვი, 10 ივნისი. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს განმარტების თანახმად, პროფკავშირის წევრები, რომელთა არსებობის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს დაქირავებული მუშაობა, წევრობის უფლებას ინარჩუნებენ საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებში შესვლის დროს.

მეორე სახელმწიფო საშინაო სესხი

მოსკოვი, 10 ივნისი. **გამოქვეყნდა საკავშირო ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება მეორე სახელმწიფო, საშინაო რვაპროცენტიანი სესხის გამოშვების შესახებ.**

მამონტის კბილის და ისტორიის წინა პერიოდის ადამიანის გაქვავებული ტვინის პოვნა

მოსკოვი, 10 ივნისი. ტიმირიაზევის სამეცნიერო-გამოკვლევათა ინსტიტუტის ანტროპოლოგიურ წრის სხდომაზე ექიმმა გრიგორიევიჩმა მოხსენება წაიკითხა ახალ აღმოჩენის შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

1925 წელს ალექსანდროვის რკ. გზის სადგურ ოდინცოვოში თიხაში გრიგორიევიჩმა იპოვა მამონტის კბილი და ორი გაქვავებული საგანი, რომელთა შორის ერთმა მიწისა და თიხისაგან გაწმენდის შემდეგ ის გააკვირვა თავისი მსგავსებით ადამიანის ტვინთან. ექიმი გრიგორიევიჩი ამ გაქვავებულ საგანს ისტორიის წინა პერიოდის ადამიანის გაქვავებულ ტვინად სთვლის. საკითხის გამოსარკვევად და საჭირო მიკროსკოპიულ და ქიმიურ გამოკვლევის მოსახდენად დანიშნულია კომისია, რომელშიაც შედიან მოსკოვის ყველაზედ უფრო კომპეტენტური მეცნიერები.

სადგურ ოდინცოვოში, სადაც იპოვეს გაქვავებული საგნები, გაემგზავრენ გეოლოგები, არქეოლოგები და ანტროპოლოგები.

უკრაინა

სეტყვა

ოდესა, 10 ივნისი. ქალაქში მოვიდა **საშინელი ნიაღვარი სეტყვით,** რომელიც სიდიდით ქათმის კვერცხის ოდენა იყო. **ნიაღვარმა ბევრ ალაგას დააზიანა ტრამვაის ხაზი.** სახლების სახურავები და ქვაფენილები სეტყვით არის დაფარული. სარდაფები სავსეა წყლით. ბევრ სახლებში სრულებით დალეწილია მინები.

ნიაღვარმა განსაკუთრებით დააზიანა „ხლებოექსპორტის" საწყობი, სადაც დასველდა შაქარი და პროდუქტები.

გამოურკვეველია იმ იალქნიანი გემების ბედი, რომლებიც ნიაღვრის წინ გავიდნენ ზღვაში.

ძლიერ დაზიანებულია ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელი. სეტყვისაგან დაიჭრა რამოდენიმე კაცი.

დასასვენებელი სახლები

ოდესა, 10 ივნისი. უკრაინის სოც. დაზღვევის მთავარმა სამმართველომ მოახდინა ოდესის დასასვენებელ სახლების დათვალიერება.

რუსეთ-უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში უკრაინის სოც.დაზღვევის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ **დასასვენებელ სახლების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია,** მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. კერძოთ, სუსტათ არის დაყენებული კვების საქმე. „დონბასი"-დან ჩამოსულმა მუშების ჯგუფმა, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა, გადასწყვიტა უკან დაბრუნებულიყო, რადგან დასასვენებელი სახლები არ იყო მომზადებული მათ მისაღებათ.

მიღებულია ზომები ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად.

დაკვეთები უცხოეთში

მოსკოვი, 10 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ **რიკოვმა** საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატს მისცა შემდეგი ინსტრუქცია:

— იმ დაბრკოლებების გამო, რომელთაც ადგილი აქვთ გერმანიის ფირმებისაგან დაპირებულ გრძელვადიანი სესხის მიღების დროს და აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანიის ცალკე ფირმები ახალ მიუღებელ პირობებს აყენებენ, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ დაანაწილოთ სხვა ქვეყნებში იმ დაკვეთების ნაწილი, რომელიც წინად დანაწილებულ უნდა ყოფილიყო გერმანიაში გრძელვადიან სესხის ანგარიშზე.

დაკვეთების დანაწილება სხვა ქვეყნებში უნდა მოხდეს იმ პირობით, რომ სესხის და საქონლის ხარისხის საერთო პირობები არავითარ შემთხვევაში არ იქნეს იმ პირობებზე უფრო ცუდი, რომელიც დადებული იყო გერმანიასთან.

საკავშირო ცენტრ. პროფსაბჭოს პლენუმში

მოსკოვი, 10 ივნისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დილის სხდომაზე 9 ივნისს დამთავრდა კამათი მინდინის მოხსენების გარშემო უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ეხება რა ცალკე წარმოებებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამთამადნო მრეწველობა შრომის დაცვის მხრივ განსაკუთ წესების სისწორით შესრულებას.

სასოფლო მეურნეობის მიმართ საჭიროა თვალყური ვადევნოთ დროებითი წესების სისწორით შესრულებას.

სამრეწველო ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ტეხნიკურ მოწყობილობის გაცვეთის, შრომის სწრაფი ინტენსიფიკაციის და მრეწველობაში მუშათა ახალი კადრების ჩაბმის გამო. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, უკანასკნელ წელს მრეწველობაში უბედურ შემთხვევების რიცხვი 1½-ჯერ გაიზარდა. შრომის დაცვის საკითხები შრომის სახ. კომისარიატის და საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

პურის დამზადების კამპანია

მოსკოვი, 10 ივნისი. შინა ვაჭრობის სახ.კომისარიატის თათბირზე 7 ივნისს მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირისვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის **ვეიცერის** მოხსენება მიმდინარე პურის კამპანიის შედეგების და მომავალ პურის დამამზადებელ კამპანიის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

დაწვრილებით დაახასიათა რა პურის დამზადების მდგომარეობა ამ ჟამად და მომავალი წლის პერსპექტივები, ვეიცერმა აღნიშნა, რომ მომავალი კამპანიის ჩატარების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით: **პურის მაქსიმალური დამზადება მისაღებ ფასებში, ჩვენი მუშაობის თვისების გაუმჯობესება, ჩვენი ხარჯების მაქსიმალურად შემცირება, ბაზრის გეგმიანად მოწესრიგება.**

„პარტიის და საბჭოთა ორგანოების დახმარება და მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა—ამბობს ვეიცერი—საშუალებას მოგვცემს ვსძლიოთ ეს დაბრკოლებანი".

წითელი ფლოტის დღე

მოსკოვი, 10 ივნისი. 14 ივლისს **მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარებული იქნება წითელი საჰაერო ფლოტის და ქიმიურ თავდაცვის დღე.** დღესასწაულის მოწყობაში, ავიაქიმის გარდა, მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის საჰაერო ძალების სამმართველოები „დობროლიოტ" „უკრვოზდუხპუტი" და „დერულუფტი".

ა-კ. სამრეწველო აღმშენებლობის გეგმა

მოსკოვი, 10 ივნისი. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის აღდგენის სექციაში 9 ივნისს გრძელდებოდა ამიერ-კავკასიის სამრეწველო აღმშენებლობის 5 წლიანი გეგმის განხილვა.

გეგმა ირჩევა ცალკე სექციებში, რომელთაც თავისი დასკვნები გამოაქვთ პლენუმზე.

8 ივნისს პლენუმმა მოისმინა მოხსენება საქართველოს ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის აღმშენებლობის შესახებ. გეგმა თითქმის უცვლელად იქნა მიღებული, გარდა იმ პროექტისა, რომელიც ჰგულისხმობს ელექტრო-სადნობი ქარხნის აგებას თბილისში. უკანასკნელი ნაადრევათ იქნა ცნობილი.

სექციამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ **ამიერ-კავკასიაში თეთრი ნახშირის გამოყენების შესაძლებლობა აყენებს ელექტრო-ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაციის პრობლემას მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.**

შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათისთვის.

საქ. ცაკის სესიის გახსნის წინ

სოხუმი, 10 ივნისი. ჩამოვიდა საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. თოდრია.

სესიის სხდომები შესდგა პირველ სახელმწიფო თეატრში. თეატრის ფოიე მორთული იქნება.

აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი ფოიეში აწყობს პავილიონს, რომელშიაც გამოფენილი იქნება ადგილობრივი მრეწველობის ნიმუშები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თამბაქოს მრეწველობას: გამოფენილი იქნება ექსპონატები თამბაქოს თესლიდან დაწყებული მის ფურცლამდე. თვითეულ სახალხო კომისარიატს განსაკუთრებული კუთხე ექნება მიჩენილი.

სესიის გახსნის წინ შესდგება სადღესასწაულო სხდომა: აფხაზეთის ცაკის, სახკომსაბჭოსი, საოლქო კომიტეტისა, პროფკავშირისა და ქალაქის საბჭოსი.

სესია გაიხსნება 11 ივნისს საღამოთი.

რა ხდება უცხოეთში

გერმანია 20 ივნისის მოლოდინში

ბევრი ეცადა გერმანიის მთავრობა, მაგრამ ვერ მოახერხა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის შესახებ სახალხო კენჭის ყრის ჩაშლა. საქმეს ვერ უშველა არც მოლაპარაკების გაჭიანურებამ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და არც აშკარა საბოტაჟმა. ხალხის მასების შეგავლენით მთავრობა იძულებული შეიქნა დაენიშნა გარკვეული დღე ამ საკითხის გარშემო კენჭის ყრისათვის, და იგი შესდგება კვირას, 20 ივნისს. ეს იქნება პირველი გადამწყვეტი პლებისციტი გერმანიის რესპუბლიკის 8 წლის არსებობის განმავლობაში.

ვეიმარის კონსტიტუციის ძალით საბოლაო სახალხო კენჭის ყრა არსებითად განსხვავდება წინასწარი ხმის მიცემისაგან. წინასწარი კენჭის ყრა არ ხდება ფარული ხმის მიცემით. იმ პირის სახელი და გვარი, ვისაც სურს ხმა მისცეს რომელიმე კანონპროექტის შეტანას რეიხსტაგში, შეაქვთ ცალკე სიაში. ეს ხდება ოფიციალური კომისიის წევრების თანდასწრებით. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ რამდენიმე ხნის წინათ მომხდარი წინასწარი კენჭის ყრის დროს.

მოხელეების და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მასას ამ გარემოების წყალობით არ მიუღია მონაწილეობა ხმის წინასწარ მიცემაში. მაგრამ ყველაზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ეს გარემოება სასოფლო-სამეურნეო მუშებს, რომლებიც მემამულეების სრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მიუხედავათ ამისა, წინასწარი კენჭის ყრის დროს, ნაცვლად საჭირო სამი მილიონისა, შეკრებილ იქნა 12½ მილიონი ხმა.

საბოლოო სახალხო კენჭის ყრა მოხდება იმავე საფუძველზე, როგორც არჩევნები რეიხსტაგში, ან პრეზიდენტის არჩევა. წინასწარი კენჭის ყრის ხარჯები უნდა დაფარონ მისმა ინიციატორებმა, საბოლაო კენჭის ყრა კი უნდა ჩაატაროს მთავრობამ სახელმწიფოს ხარჯზე. რეიხსტაგში არჩევნების მსგავსათ, სახალხო კენჭის ყრა უნდა მოხდეს კვირა, ან უქმე დღეს. ხმის მიცემა ფარულია.

საარჩევნო ფურცელი უსათუოდ მთავრობის მიერ შედგენილი ნიმუშის უნდა იყოს. ფურცელზე დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები: „უნდა გადაიქცეს თუ არა კანონათ კანონპროექტი ყოფ. მეფის გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის შესახებ?". ამ კითხვის ქვეშ მოთავსებულია ორი კვადრატი. ერთზე აწერია „კი", მეორეზე—„არა". ვინც უარყოფს კანონპროექტს, მან ჯვარი უნდა დასვას იმ კვადრატში, რომელსაც აწერია არა. ვინც მხარს უჭერს კანონპროექტს, მან ჯვარი უნდა დაასვას იმ კვადრატში, რომელსაც აწერია „კი".

რათა კანონპროექტი კანონათ გადაიქცეს, მას მხარი უნდა დაუჭიროს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა. პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნების დროს ასეთ პირთა რიცხვი უდრიდა 39.414.316. მაშასადამე, კანონპროექტს ყოფ. სამეფო გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის შესახებ მხარი უნდა დაუჭიროს 20.000.000-მდე კაცმა.

ისმება კითხვა—მოეპოებათ თუ არა კანონპროექტის მიღებაში დაინტერესებულ ორგანიზაციებს იმდენი ძალა და გავლენა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიაღებინონ ამდენ ხალხს?

ასეთი ორგანიზაცია არის, პირველ ყოვლისა, გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა წინასწარი კენჭის ყრის მთელი სიმძიმე. შემდეგ—სოციალ-დემოკრატიული პარტია, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანება და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების და სახელმწიფო მოსამსახურეების თავისუფალი (რეფორმისტული) კავშირები.

გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ მათ მხარს დაუჭერენ სამომხმარებლო კოოპერატივები. მრავალრიცხოვანი მუშათა სასპორტო და კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები და აგრეთვე მთელი რიგი წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციები, რომლებიც კონფისკაციას უჭერენ მხარს.

კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წევრთა საერთო რიცხვი აღწევს 1.200.000-მდე. ეს პარტიები სცემენ 22-მდე გაზეთს, რომლებსაც 3—4 მილიონი მკითხველი ჰყავს. თავისუფალ (რეფორმისტულ) პროფკავშირში გაერთიანებულია 4½ მილიონი მუშა, მუშათა სასპორტო და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებში ითვლება 2½—3 მილიონი წევრი; „რესპუბლიკანური დროშის" კავშირში და ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირში—1½ მილ. წევრია; გერმანიის სამომხმარებლო კოოპერატივებში—3½ მილ. წევრია გაერთიანებული. თავის-თავად ცხადია, არ შეიძლება ამ ციფრების მექანიკურად შეერთება საბოლოო ჯამის გამოსაყვანად, რადგან ერთი და იგივე პირი ზოგჯერ რამდენიმე აქ ჩამოთვლილ ორგანიზაციაში შედის. გარდა ამისა, მუშათა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციები რიგით თანაბრად აქტიური და გავლენის მქონე.

ზემოთ აღნიშნული ციფრები, განსაზღვრული პროცენტის გამოკლებითაც, ამტკიცებენ, რომ კანონპროექტის მომხრე ორგანიზაციებს უკვე მოეპოებათ 7—8 მილიონი ხმა. ამას უნდა მიემატოს კიდევ ე. წ. „კუჩინსკის კომიტეტის" ძალები (კუჩინსკი ცნობილი ეკონომისტია და დიდი გავლენით სარგებლობს წვრილბურჟუაზიულ მასებში). ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ კანონპროექტის მომხრე ორგანიზაციები 20 ივნისს, საბოლოო კენჭის ყრის დროს, შეკრებენ საჭირო 20 მილიონ ხმას.

კანონპროექტის მომხრე ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან (კომპარტია, სოც.-დემოკრატ. პარტია და კუჩინსკის ჯგუფი) შემდგარი „მოქმედების კომიტეტი") ენერგიულად ემზადება 20 ივნისისათვის.

რეაქციონერებიც ემზადებიან არჩევნებისათვის. გადამწყვეტ როლს კენჭის ყრაში ითამაშებს სოფელი, და მემამულეები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ სასოფლო-სამეურნეო მუშებზე გავლენის მოსახდენათ.

◆

აღმოსავლეთში

სირია

აჯანყების შედეგები

მიმდინარე წლის მაისში ფრანგების მიერ სუეიდის დაკავებით დასრულდა სირიის აჯანყების პირველი პერიოდი. როგორც ცხრა თვის განუწყვეტელი სისხლის ღვრის შედეგები.

აჯანყების ცხრა თვის განმავლობაში ფრანგებმა დაჰკარგეს 15.000 ჯარისკაცი, აჯანყებულებმა—2.500 (ამ რიცხვში არ შედის მრავალი მოკლულები და ფრანგების მიერ ქალაქებისა და სოფლებისათვის ყუმბარების დაშენის დროს და სამხედრო-საველე სასამართლოების დადგენილებით დახვრეტილები).

პალესტინაში, ტრანს-იორდანიაში და ნაწილობრივ კილიკიაში 120.000 სირიელ ლტოლვილებს აქვს მოყრილი თავი.

სირიაში და ჯებილ-დრუზში ეს ერთი წელიწადია მინდვრები არ დათესილა.

აჯანყება, რომელიც ჯებელ-დრუზში დაიწყო, ჩქარა მთელ მხარეს მოედო. ფრანგების უკანასკნელ შეტევამ, რომელიც სუეიდის დაკავებით დასრულდა, ვერ მიაღწია მიზანს—ვერ მოუღო ბოლო აჯანყებას, პირიქით, ბევრათ გააუარესა ფრანგების მდგომარეობა.

გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარების სარდალი სირიაში **გენ. გამელენი** ამ შეტევის წინააღმდეგი იყო, ნაადრევათ თვლიდა მას, მაგრამ საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიაში, დე-ჟუვენელმა, რომელსაც რწმუნებების ვადა გაუთავდა მაისში, დააჩქარა იგი. საფრანგეთის შეტევის მიზანი იყო: საფრანგეთის პარლამენტში ოპოზიციის ჩაჩუმება, საფრანგეთის დაცემული პრესტიჟის ამაღლება სირიაში და 6 თვის წინათ აჯანყებულთა მიერ წარმოდგენილი პირობების მიღება, რომ საფრანგეთის ძლიერებაში არავის არ შეჰპარვოდა ეჭვი.

სუეიდის დაკავებით საფრანგეთის ფრონტი გაფართოვდა. აჯანყებულებს, რომლებიც პარტიზანულ ომს აწარმოებენ, საშუალება ეძლევათ მოულოდნელი თავდასხმებით დიდი ზიანი მიაყენონ საფრანგეთის ჯარებს. ჯებელ-დრუზში საფრანგეთის მთავარი ძალებისათვის თავის მოყრის შემდეგ, მთელი რიგი გამაგრებული პუნქტები სირიაში საფრთხეში მოექცა, რადგან იქ დატოვებული გარნიზონები, თავდასხმის დროს, მათ ვერ დაიცავენ.

აჯანყებულებმა ეს მხედველობაში მიიღეს და ორგანიზატორები გაგზავნეს ამ რაიონში. ფრანგები კი სუეიდის დაკავებისა და სირიის „ეროვნული" მთავრობის შედგენის შემდეგ, „აღმშენებლობითი" მუშაობის დაწყების ნაცვლად იძულებული შეიქნენ დამასკის ახლო, გოტას მიდამოებში დაწყებული ახალი აჯანყების ჩაქრობაზე ეზრუნათ.

ფრანგები ახლა ამაგრებენ სუეიდას. ზურგის ნაწილებთან კავშირის დასაჭერად საჭიროა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანა და დაცვა, რასაც ფრანგ სპეციალისტების აზრით 10.000 კაცი დასჭირდება.

აჯანყებულებმა მთებს შეაფარეს თავი და იქიდან ესხმიან თავს ფრანგებს.

საფრანგეთის ჯარის ნაწილებს, რომლებსაც სუეიდას რაიონში არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში უხდებათ ბრძოლა (აუტანელი სიცხე, წყლის უქონლობა და სხვ.), გახრწნა ეწყება. ალჟირელები პირდაპირ გადადიან აჯანყებულთა მხარეზე. საქმე იქამდი მივიდა, რომ საფრანგეთის სარდლობა იძულებული შეიქნა მოეხსნა ფრონტიდან მთელი ნაწილები. ასე მოხსნეს ფრონტიდან მაგ. მეოთხმოცდახუთე პოლკი. უარეს მდგომარეობაშია საქმე ე. წ. „უცხოელთა ლეგიონში".

აჯანყება გაფართოვდა და ახლა მისი ცენტრებია: ჯებელ-დრუზი, გოტას რაიონი, ალეშხომსი, ლევანონის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციები, ხერმონის ოლქი.

არახელსაყრელია ფრანგებისათვის პოლიტიკური მდგომარეობაც.

დადებითი შთაბეჭდილება, რომელიც უნდა მოეხდინა მოსახლეობაზე მთავრობის დეკლარაციას (სირიის „ეროვნული" მთავრობის პროგრამა), გააქარწყლა 9 მაისს დამასკისათვის კვლავ ყუმბარების დაშენამ.

დაცინვით გაისმოდა დამასკის მცხოვრებლების ყურში „ეროვნული" მთავრობის თავმჯდომარის, დე-ჟუვენელის ყურმოჭრილი მონის დაპირებები იმ დროს, როცა საფრანგეთის ზარბაზნები დამასკის საუკეთესო უბანს—მეიდანს ანადგურებდნენ.

მიდანში, სადაც 150.000 მუსლიმანი ცხოვრობს, არ გადარჩენილა არც ერთი სახლი. 1.200 სახლი და 800 შენობა ნაცარტუტად არის ქცეული. 400 დაღუპული ქალისა და ბავშვის საზარლად დასახიჩრებული გვამი იპოვეს მიდანის დანგრეულ ქუჩებში. და რამდენია კიდევ დასამარებული ნანგრევებს ქვეშ, ვინ იცის.

მიდანი დაანგრიეს ისეთი სიმკაცრით, ულმობლობით, რომელსაც ფრანგები ომის დროს გერმანელებს უკიჟინებდნენ.

პირველად გაანადგურეს ყველა ცეცხლსაქრობი საშუალებები, შემდეგ ცეცხლის ამჩენი ბომბები გამოიყენეს, შემდეგ კი ყუმბარები დაუშინეს განწირულ უბანს.

ამ ახალმა მხეცობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო სირიაში, არამედ არაბეთის ყველა ქვეყნებში.

◆

სხვადასხვა

ცეცხლის წაკიდება შურისძიების საფუძველზე. ლიეჟში (ბელგია) ქალაქის ცენტრში სრულებით დაიწვა თეატრი **ტროკადერო.** თეატრში მომუშავე ელექტრო-ტეხნიკოსმა, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა თეატრს, განაცხადა, რომ მან ეს ჩაიდინა შურისძიების საფუძველზე.

კორეაში. „დეილი მეილის" კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ იაპონიის პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა ეგრედწოდებულ „ზეციური გზის" უბანში. დაპატიმრებულია 90-მდე რევოლიუციონერი, მათ რიცხვში შანხაელი რესპუბლიკური პარტიის ლიდერები. კორეაში მოსალოდნელია დიდი აჯანყება.

ჰანდი. ახმედაბადიდან (ინდოეთი) იუწყებიან, რომ ჰანდიმ, რომელიც მიწვეულია სტუდენტობის საერთაშორისო კონფერენციაზე ფინეთში, უარი განაცხადა ამ კონფერენციაში მონაწილეობაზე.

— **მოსამსახურეების გაფიცვის მოლოდინში.** ხოვეს ერთდროული დახმარება სიძვირის მომახოვეს ერთდოული დახმარება სიძვირის მომატების გამო.

ქალაქის საბჭომ, რომელშიაც უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, უარი სთქვა ამ მოთხოვნილების განხილვაზე. ამის საპასუხოდ პროფკავშირი გაფიცვით დაიმუქრა; გაფიცვის გამოცხადების შესახებ დაიწყება კენჭის ყრა წევრებს შორის.

პარტიული ცხოვრება

საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოწეულთა თათბირი

(ლენინის რაიონი)

საპასუხისმგებლო სამუშაოზე წამოწეულთა წარსულ თათბირზე მოსმენილ იქნა ამხ. ივანოვის მოხსენება, მათ შორის მუშაობის შესახებ. ამხ. ივანოვმა აღნიშნა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოწევის საქმე ტრანსპორტში უფრო სუსტად არის დაყენებული, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რასაც ის ხსნის იმით, რომ იქ ადმინისტრაციისათვის, რკ.-გზ. მეურნეობის სირთულის გამო, საჭიროა სპეციალური ტეხნიკური ცოდნა. მოისუსტებს აგრეთვე ხელმძღვანელობა წამოწეულთა მიმართ, რაც ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ თვით წამოწეულთ არავითარი კავშირი არა აქვთ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ თათბირი გაცხოველებულად ჩატარდა, მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ყველა დამსწრენი. პრაქტიკულ წინადადებებში თათბირმა აღნიშნა თვით წამოწეულ ამხანაგთა არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა თავისი კვალიფიკაციის აწევის და ცოდნის გაფართოების სფეროში. წამოწეულთა სუსტი კავშირი პარტიულ-ადმინისტრატორებთან. მათ მიერ მუშკორების მოწოდების და მნიშვნელობის არასწორად გაგება, მუშკორების, რომელთაც თავისი ძლიერი იარაღი უნდა გამოიყენონ უყაირათობის და მეურნეობის უთავბოლოთ წარმოების წინააღმდეგ ბრძოლაში. მუშკორთა [illegible] წილის არანორმალური დამოკიდებულება წამოწეულ ამხანაგთა მიმართ, სახელდობ, ისე, რომ მუშკორებს ხშირად ავიწყდებათ ის პირობები, რომელშიაც უხდებათ მუშაობა წამოწეულთ. თათბირი ზემოთ აღნიშნულ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად იძლევა შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებს:

ა) საჭიროა რათა ხშირად იმართებოდეს საპასუხისმგებლო სამუშაოზე წამოწეულ ამხანაგების სარაიონო თათბირები, რომელზედაც, გამოცდილების შესაძენად, საანგარიშო მოხსენებებს უნდა აკეთებდენ ცალკე ამხანაგები.

ბ) მიეცეს კლუბებს და ბიბლიოთეკებს დირექტივა უზრუნველყონ ბიბლიოთეკა ტეხნიკური ლიტერატურით. წამოყენებულ იქნეს საკითხი კლუბებთან სამეურნეო მუშაკთა კუთხეების მოწყობის შესახებ.

გ) დაევალოს წამოწეულ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობის არსებულ პირობებში შეიძლება დაშვებულ იქნენ საინჟინერო ტეხნიკურ სექციაში, მონაწილეობა მიიღონ უკანასკნელის მუშაობაში.

დ) გზათა სამმართველომ უნდა განსაზღვროს წამოწეულ ამხანაგთა ფუნქციები და გააძლიეროს მუშაობა მათ შორის. მათი მუშაობის აღრიცხვით და ნაკლულევანებებზე მითითებით. ფუნქციების განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პარტიული მეთვალყურეობის უზრუნველყოფა.

ე) გაძლიერებულ უნდა იქნეს წამოწეულ ამხანაგების კავშირი პარტუჯრედებთან, საანგარიშო მოხსენებების წაკითხვით და სამეურნეო საკითხების გადაჭრაში ბიუროს და უჯრედების ჩაბმით.

ვ) უჯრედმა არ უნდა დაივიწყოს, რომ წამოსულ ამხანაგისათვის სიძნელეს წარმოადგენს თავისი უმთავრესი მუშაობის დაძლევა და მისი გადამეტებით დატვირთვა უარყოფითი ნაყოფს გამოიღებს.

ზ) გაზეთების რედაქციების წინაშე დასმულ იქნეს საკითხი მუშკორების კრებებზე მუშკორების და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებული ურთი-ერთობის საკითხის დასმის შესახებ. ამრიგათ ბოლო უნდა მოეღოს არანორმალურ დამოკიდებულებას მუშკორებსა და წამოყენებული სამეურნეო მუშაკებს შორის.

მ. პოპოვი.

ჯავის საუბნო პარტკომის მუშაობა.

(სამხრეთ-ოსეთი).

ჯავის უბნის ორგანიზაციაში მე-14-პარტყრილობის დადგენილებანი გლეხობის საკითხის შესახებ სათანადოთ იქნა დამუშავებული, დანარჩენ საკითხებზე გაკეთებულ იქნა ინფორმაციული მოხსენებები, ცენტრის ინსტრუქციები, ცირკულიარები და დადგენილებანი ტარდება ცხოვრებაში შეძლებისდაგვარად. პარტდისციპლინა მოისუსტებს. საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანია ჩატარებულ იქნა ყველა უჯრედებში, მხოლოდ არჩევნების დროს დაშვებულ იქნა შეცდომა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ რაიონი არ იქნა დაყოფილი საარჩევნო უბნებათ, როგორც ეს ხდებოდა სხვა რაიონებში. სულ ამორჩეულია ჯავის რაიონში საბჭოს წევრებად 51 კაცი და 13 კანდიდატი, ამათგან პარტიის წევრია 8 და კანდიდატი—2, ახ. ლ. კომკავშირის წევრები—5, დელეგატქალები—6.

ჯავის რაიონში კოოპერაცია სდგას სათანადო დონეზე. კოოპერაციას რაიკომი აქცევს ჯეროვან ყურადღებას. რაიონში კოოპერაციის წევრებია 280 კაცი.

გლეხკომების მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს.

რაიონში არის კირის ქარხანა, რომელმაც დაამუშავა 60.000 ფუთი კირი.

კარგად მუშაობს საექიმო პუნქტი. უწინ ცენტრიდან მედიკამენტები ცოტა იგზავნებოდა, ამჟამად კი ეს საკითხი მოგვარებულია.

რაიონში იმართებოდა საღამო-წარმოდგენები. კომკავშირის ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

სამხრეთ-ოსეთის საოლქკომის ორგთათბირის მიერ გამომუშავებული იქნა შემდეგი პრაქტიკული წინადადებანი ჯავის რაიკომის მომავალ მუშაობისათვის:

1) გაძლიერებული იქნას კავშირი უპარტიო გლეხობასთან, რის გამო ხშირად უნდა იწვევოდეს უჯრედის ღია კრებები, რომლებზედაც მოწვეული უნდა იქნეს რაც შეიძლება მეტი უპარტიო გლეხები. ასეთ კრებებზე დღის წესრიგში უნდა ისმებოდეს ადგილობრივი (სოფლის) ხასიათის საკითხები.

2. განმტკიცებულ იქნეს კავშირი და პარტხელმძღვანელობა ახ. ლ. კომკავშირის ორგანიზაციაზე, რის გამო გადიდებულ უნდა იქნეს კავშირში პარტკადრი, მოსმენილი უნდა იქნეს საანგარიშო მოხსენებები ახ. ლ. კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ რაიპარტკომის სხდომებზე და უჯრედის კრებებზე.

3. ამაღლებულ იქნას პარტდისციპლინა.

4. დროგამოშვებით უნდა მოწვეულ იქნეს უჯრედების მდივნების თათბირი, რომლის დღის წესრიგში დაისვას საინსტრუქციო მოხსენებები. განმარტებულ იქნეს საკითხი პარტიის ზრდის და მის მოწესრიგების შესახებ.

5. ყველა უჯრედებში გამოყოფილ იქნეს ქალთა ორგანიზატორები.

6. გაძლიერებულ იქნეს მუშაობა გლეხკომების მნიშვნელობის განმარტებისათვის.

7. დამთავრებულ იქნეს მე-14-ე პარტყრილობის რეზოლიუციების დამუშავება.

ჯავისელი.

პოლიტსკოლები ხაშურის რაიონში.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ხაშურში გამოგზავნა ორი პროპაგანდისტი, რომლებიც ადგ. რაიკომის მდივნის დახმარებით მოსვლისთანავე შეუდგენ მუშაობას.

11 მაისს უკვე გაიხსნა ოთხი შემოკლებული ტიპის პოლიტსკოლა. მსმენელთა რაოდენობა 130 კაცამდე აღწევს. თვითეულ სკოლაში 32—34 კაცია. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ საღამოობით. **ნორმალური მუშაობის** მსვლელობას ხელს უშლის წიგნების, რვეულების და ფანქრების უქონლობა. მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება ჯერ-ჯერობით არაა დამაკმაყოფილებელი, რის მოსაწესრიგებლად რაიკომი ხელმძღვანელებთან ერთად ღებულობს ყოველგვარ ზომებს. სკოლებში მეცადინეობს, დაახლოებით, 80 პროც. პარტწევრისა და კანდიდატის, 16 პროც. უპარტიო და 4 პროცენტი კომკავშირის. ამათ რიცხვში 9 პროცენტს ქალები შეადგენენ.

ე. ყვირელიანი.

ჭრა-კერვის მასწავლებელია საჭირო.

(ქვემო-ქალა, გორის მაზრა).

სოფ. ქვემო-ქალაში არსებობს დელეგატქალთა ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 32 ქალი, მათში 5 დიასახლისი და დანარჩენი გლეხის ქალებია. მეცადინეობა და კრებები მიმდინარეობს კვირაში ერთხელ. სამაზრო ქალთა განყოფილების მიერ გამოგზავნილი პროგრამის მიხედვით თვეში ერთხელ იწყობა საზოგადო კრება არადელეგატ-ქალებთან ერთად, სადაც იმართება მოხსენებები. დელეგატქალებს მოწყობილი ჰქონდა განსაკუთრებითი წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 20 ქალი. დელეგატი ქალების მუშაობა მარტო კრებებით არ ამოიწურება. მათ აქვთ აღებული საბოსტნე ერთი დღიური მიწა, სადაც დათესეს 13 ფუთამდე კარტოფილი და ხახვი. კრების დამთავრების შემდეგ მიდიან და კოლექტიურად მუშაობენ ამ ბოსტანში აგრონომის დარიგებით. საჭიროა ჭრა-კერვის სასწავლებლის გახსნა, მაგრამ მასწავლებელი არ არის.

კარგი იქნება, თუ სამაზრო ქალთა განყოფილება გამოგვიგზავნის ჭრა-კერვის მასწავლებელს ჩვენს ხარჯზე.

ამხ. იასონ კანაჩაძის ხსოვნას

ლეჩხუმის ორგანიზაციას კიდევ გამოაკლდა ერთი ენერგიული და სპეტაკი ამხანაგი. მან დაჰკარგა ამხანაგი იასონ კანაჩაძე.

ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს აწარმოებს ის ენერგიულ მუშაობას ლეჩხუმის ორგანიზაციაში. ვერც აჯანყების დამარცხებამ, ვერც არალეგალურ მუშაობის მძიმე პირობებმა ვერ გასტეხა მისი რევოლიუციონური სიმტკიცე და ენერგია. გასაბჭოების შემდეგ ამხ. იასონი კიდევ მეტი ხალისით მუშაობს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ის აქტიურ მონაწილეობას იღებს მაზრის საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში, ითვლება პარტიის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის წევრად და დიდი ნდობით და სიყვარულით სარგებლობს მაზრის მოსახლეობაში.

დაუღალავმა მუშაობამ გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე.

ამხ. იასონი გამოესალმა წუთისოფელს. რამდენიმე დღის წინ ლეჩხუმის ორგანიზაციამ მიწას მიაბარა მისი ცხედარი.

განისვენე ამხანაგო, იასონ! შენი ხსოვნა მუდამ დარჩება შენს ამხანაგებში.

ლეჩხუმის ორგანიზაციის თბილისში მყოფი წევრები.

ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობა

უჯრედი იზრდება.

(სოფ. დ. დურნუკის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ასურეთის თემი)

სოფ. დ. დურნუკში ახ. ლ. კ. კ. უჯრედი დაარსდა 1922 წლიდან. პირველად ამ უჯრედში ითვლებოდა სულ 10-მდე წევრი, ამჟამად კი ის 21 წევრს აერთიანებს. მათ შორის 3 ქალი, 5 მოჯამაგირე, დანარჩენი კი უღარიბესი გლეხობის შვილები არიან. უჯრედთან არსებობს ოთხი წრე: დრამატიული, ახკორთა, პოლიტ და პროფწრე.

თემკომიდან სათანადოთ მომზადებული ამხანაგები არიან მომაგრებული. წრეების მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად კვირაში ერთხელ; ამხანაგები დაინტერესებული არიან წრეების მუშაობით, რაც კარგ შედეგებს გვაძლევს. მასწავლებლობასთან, ადგილობრივ საბჭოსთან და გლეხკომთან დამაკმაყოფილებელი კავშირი გვაქვს. ახ. ლ. კ. კ. თემკომის ყველა დირექტივებს ვატარებთ ცხოვრებაში. უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად კოლექტიურად ვამუშავებთ მიწას, თემკომმა გაგვიწია დახმარება სათესლე მასალით.

ა. დ. მათხოვჯელი.

ხელმძღვანელობა მტკიცეა.

(ა. ლ. კომკავშ. თავ-სურების თემკომი, გურია)

ეს თემი მაზრიდან 47 ვერსით არის დაშორებული. მიუხედავათ ამისა, სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა მტკიცეა. მთელი რაიონისათვის დანიშნულია სამაზრო კომიტეტის მიერ ერთი ინსტრუქტორი, რომელიც სისტემატიურად ათვალიერებს უჯრედებს და ხელმძღვანელობას უწევს მათ მუშაობას.

რამოდენიმე კვირის წინ „უჯრედის თაოსნობით დაარსდა „ამხ. ვასიკო დარახველიძის" სახელობის პიონერთა კოლექტივი. კოლექტივში 6 რგოლი შედის. განათლების მუშაკთა კავშირის ადგილობრივმა კომიტეტმა შემოსწირა კოლექტივს 60 მანეთი. უჯრედი კოლექტიურად ამუშავებს ერთ ქცევა მიწას, რომლის შემოსავალი მოხმარდება პიონერთა კოლექტივსაც.

თავსურებელი.

უვარგისი ხელმძღვანელი.

შავი ზღვის რკინის გზის ხაზზე არის გამოგზავნილი ერთი ამხანაგი ახალგაზრდათა შორის მუშაობისათვის. მას დღემდე არაფერი გაუკეთებია. არ არის ჩამოყალიბებული არც ერთი უჯრედი ხაზზე. ეს ამხანაგი არშიყობაში უფრო გართული, ვიდრე საქმეში.

კომკავშირელი.

ვეხმარებით ღარიბ გლეხებს.

(თერჯოლის ა. ლ. კომკავშირის უჯრედი).

თერჯოლის თემში არსებობს სამი უჯრედი. თერჯოლის შვიდწლედის, თერჯოლის გლეხური და ღვანკითის გლეხური. აერთიანებს სამივე უჯრედი 130 კომკავშირელს. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. კომუჯრედიდან არიან უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები. დაბა ჩხარიდან ჩამოდიან მომზადებული ამხანაგები და აკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხებზე.

პოლიტიკურ მეცადინეობასაც დიდი ყურადღება ექცევა.

როგორც წესრიგის დაცვით, ისე თავის საქმიანობით კომკავშირი მაგალითს უჩვენებს უპარტიო ახალგაზრდობას.

კომკავშირი ეხმარება ქვრივებს, ობლებს, დავრდომილებს და წითელარმიელთა ოჯახებს, რომელთაც მუშა-ხელი არა ჰყავთ. 20 აპრილს, მაგალითად, თერჯოლის შვიდწლედის კომკავშირის უჯრედის 16 წევრი თოხებით წავიდა ს. სიქთარვაში და ღარიბი და ავადმყოფი გლეხის ყანები დაამუშავეს, დაახლოებით, ერთი ქცევა.

იქაური.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

როგორ ტარდება მომჭირნეობა

ს. მ. უ. ს. ცენტრალურმა სამმართველომ შეამცირა ხარჯები

ს. მ. უ. ს. ცენტრალურ სამმართველოში ხარჯების შესამცირებლად შემდეგი ღონისძიებები არის მიღებული.

მოსპობილია სტატისტიკური ბლანკების სტამბებში ბეჭდვა. ბლანკები იბეჭდება სტეკლოგრაფიის საშუალებით, რაც ყოველთვიურად 125 მანეთის დაზოგვას იწვევს. ამგვარად მაისიდან სამეურნეო წლის დამთავრებამდე ამ დარგში დაზოგვილი იქნება დაახლოებით 525 მანეთი.

გარდა ამისა შემცირებულია სტენოგრაფისტი; მოხსნილია 4 ტელეფონი და ერთი დამატებითი აპარატი.

ს. მ. უ. სამმართველოში მუშაობენ უმთავრესად მემანქანეები. ხშირად მათ უხდებათ ზედმეტი მუშაობის წარმოება, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აუცილებელი ხდება საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებში საპერსპექტივო გეგმების, საკონტროლო ციფრების და საწარმოო პროგრამების სასწრაფო წარდგენა. თუ მომავალისათვის საჭირო არ იქნა ზემოასხენებული ცნობების სასწრაფო წარდგენა, ხარჯები ზედმეტ სამუშაოების საწარმოებლად თითქმის 100%-ით შემცირდება, რაც თანხების საგრძნობ დაზოგვას გამოიწვევს.

ჯერ-ჯერობით მიმდინარე სამეურნეო წლის დამთავრებამდე ხარჯები შემცირებულია 782 მანეთით.

შესაძლებლად არის ცნობილი აგრეთვე 3 თანამშრომლის შემცირება, რაც წლის დამთავრებამდე 6.058 მან. ეკონომიას გამოიწვევს.

ამჟამად სამმართველოში მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს ს. მ. უ. ს. თანამშრომლების მუშაობით დატვირთვის საკითხს და სხ.

აჭარისტანში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოკვლევა; გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები და ბოროტმოქმედება კომისარიატის პასუხისმგებელ თანამშრომლების მხრიდან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა მთელი რიგი სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიებები. რაც შეეხება უყაირათობას და თანამშრომლების ბოროტმოქმედებას, კოლეგიამ დაადგინა სარევიზიო მასალები გადაეგზავნოს პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

მუშკოოპის გამოკვლევა

მომჭირნეობის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის მიერ მუშათა კოოპერატივებში შემდეგი მუშაობაა ჩატარებული:

პირველ ყოვლისა მოხდენილ იქნა საწყობი მეურნეობის გაერთიანება-ცენტრალიზაცია. ერთი საწყობი კი სავსებით გაუქმებული იქნა. ამიერიდან მთელი საქონელი მოთავსებული იქნება გამგეობის საწყობებში; მხოლოდ ერთგან რჩება დამხმარე საწყობი კარტოფილის და ტარის შესანახად. ამავე დროს მოხდენილ იქნა მუშა-მოსამსახურეთა შტატის რეფორმა-გადაჯგუფება. ჯერ გამორკვეული არ არი, თუ რამდენ მოგებას მისცემს ეს ღონისძიება მუშკოოპს, მაგრამ ამ თავითვე ცხადია, რომ ამ საშუალებით დაზოგვილი თანხა მნიშვნელოვანი იქნება, შტატის შემცირებით გამოწვეული დაზოგვა მაინცდამაინც დიდი არ არის, იგი უდრის დაახლოებით 1.000 მანეთს.

გარდა ამისა გამორკვეული იქნა შტატის შემცირების შესაძლებლობა სავაჭრო განყოფილებაში, სადაც შტატის დაუბრკოლებლად შემცირება მუშკოოპს წლიურად შესძენს 3.000 მანეთს. გადასინჯულ იქნა აგრეთვე სხვა გასავალიც: შემცირებულ იქნა სამგზავრო ხარჯები: გაუქმებულ იქნა ზოგიერთი მოსამსახურისათვის, რომელნიც მუშკოოპის საქმეებზე მოდიოდენ, ტრამვაის ბილეთების მიცემა. ამ ღონისძიებით ამ მუხლში ხარჯები შემცირებულ იქნა 756 მანეთით.

მნიშვნელოვან მიღწევას მომჭირნეობის დარგში წარმოადგენს აგრეთვე მუშაობის რაციონალიზაცია: დასატვირთ-გადასატვირთვის პროცესების შემცირება, ავტო-მანქანების მუშაობით დატვირთვა და მრავალი სხვა.

ერთი თუ ორი წევრი

(თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში).

კვირას, 13 ივნისს, უნდა მოხდეს აღნიშნულ ბანკის გამგეობის ერთი წევრის არჩევა, რადგან ამხ. გრ. გოგოტიშვილი თავს ანებებს ბანკში მუშაობას.

ცხადია, ბანკის წევრები აირჩევენ იმას, ვინც მათ სურთ, ხოლო სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთი წევრები ანგარიშს არ უწევენ მომჭირნეობის რეჟიმს და სურთ გამგეობის ერთი წევრის მაგივრათ აირჩიონ ორი. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების პატარა ბანკს ეყოლება სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რაც ყოველწლიურად გაადიდებს ბანკის ხარჯს 300—400 მანეთით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ გაცილებით უფრო დიდ ბანკებს კი ჰყოფნით ორი კაცისაგან შემდგარი გამგეობა, მით უმეტეს, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკისათვის სრულიად საკმარისი იქნება ორი კაცი.

ერთი კაცი, თუ ორი—ეს საკითხი უნდა დაამტკიცოს ფინსახკომმა; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს უკანასკნელი მხედველობაში მიიღებს მომჭირნეობის რეჟიმს, სახელმწიფო ინტერესს და ბანკის სალარს.

ხ—ლი.

ავანსების წინააღმდეგ.

არა ერთხელ ყოფილა მითითებანი სათანადო უმაღლეს ორგანოებისაგან, რომ დაწესებულება-წარმოებებმა ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთონ ავანსების გაცემა. ავანსების გაცემა ბევრ დაწესებულებებს სისტემად ჰქონდათ გადაქცეული, რაც ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ამ დაწესებულებას.

მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით ავანსებთან ბრძოლა კი სადღეისო ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული. მით უფრო, რომ ბევრ დაწესებულებებში ამ ჩვეულებას დღესაც ფართე ნიადაგი აქვს.

მოსკოვის „პრავდა"-ს (№ 120) ამის შესახებ შემდეგი ცნობა მოჰყავს ზოგიერთ ტრესტებისა და სინდიკატების მუშაობიდან:

„ავანსებით გამოწვეულ დავალიანებათა შემოწმებამ, რომელიც ჩაატარა სარევიზიო კომისიებმა 44 ტრესტში და 2 სინდიკატში, გამოარკვია, რომ საავანსო დავალიანების საერთო ციფრი უდრის 2.502 მანეთზე მეტს. ამავე შემოწმებამ დაგვანახვა, რომ დავალიანების განსაზღვრული თანხა ამ დავალიანებიდან უიმედო ვალებათ ირიცხება, რადგან ის გაცემულია სამსახურიდან დათხოვნილ პირებზე. ასე მაგალითად, ივანოვო-ვოზნესენსკის ტრესტში ასეთი უიმედო ვალი არის **30.259 მან., კამვოლის ტრესტში 28.593 მან. და სხვა.**

ამრიგად—ასკვნის გაზეთი, ბევრ ტრესტებმა არ შეასრულეს სახელმწიფო მრეწველობის ცენტრალურ გამგეობის განკარგულება ამ დავალიანებათა აღმოფხვრისათვის გადამჭრელ ღონისძიებათა მიღების შესახებ. ასე რომ, მრეწველობამ დაჰკარგა ამ დაუდევრობით მნიშვნელოვანი თანხა".

ვფიქრობთ, რომ ჩვენშიაც არა ერთი ისეთი დაწესებულება-წარმოება მოიძებნება, სადაც ასეთ დაუდევრობას ეხლაც კიდევ აქვს ადგილი. დღეს, როცა ხელისუფლება ასეთ დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს მფლანგველობის წინააღმდეგ, შეუძლებელია საავანსო ვაკხანალიის უყურადღებოთ დატოვება, რომელიც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იმავე ლეგალურ მფლანგველობას წარმოადგენს.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ექსკურსიები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მრავალი ექსკურსანტი ათვალიერებს. ყოველდღიურად გამოფენას ათვალიერებს 1.500-დე ექსკურსანტი, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია მოწაფეთა და წითელარმ. ექსკურსიები. შორეულ კუთხეებიდან ჩამოსულ გლეხთა ექსკურსიები ჯერ-ჯერობით მცირე რიცხოვანია, სამაგიეროდ მრავლად მოდიან გამოფენაზე თბილისის ახლო მდებარე სოფლების გლეხები.

რაც შეეხება წითელარმიელებს, განზრახულია გამოფენა დაათვალიერონ თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილებმა. რამოდენიმეთ უფრო გაძნელებულია იმ ნაწილების წითელარმიელთა გამოგზავნა გამოფენაზე, რომლებიც თბილისის გარეთ არიან დაბანაკებული.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წინაშე, რომ იმ ადგილების ნაწილი, რომლებიც დათმობილი აქვთ ექსკურსანტ-გლეხებს, მიეცეს წითელარმიელებს. სომხეთის მიწათმოქმ. სახალხო კომისარიატისაგან მიღებულია ცნობა, რომ მის მიერ გადადებულია 50 ადგილი. დაახლოვებით ასევე იქნება გადაწყვეტილი საკითხი დანარჩენ რესპუბლიკებშიც.

თბილისის ახლოს დაბანაკებულ საარტილერიო ნაწილების წითელარმიელებს განზრახული აქვთ მოაწყონ გამოფენაზე სამი ექსკურსია; ისინი თან წამოიყვანებენ ბანაკის ახლო მახლო სოფლების გლეხებსაც.

ამას გარდა, ამიერ-კავკასიის სას.-სამეურნეო ბანკმა არმიას დაუთმო 200 ადგილი შეღავათიანი სამგზავრო ბილეთებით. ეს ადგილები განაწილებული იქნება სხვადასხვა ნაწილებს შორის; ამასთანავე ადგილების უმეტესობას მიიღებენ ნაციონალური ნაწილები.

გამოფენას ყოველდღე ათვალიერებს მოწაფეთა რამოდენიმე ექსკურსია. მრავალრიცხოვანია მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიებიც.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დემონსტრაცია გამოფენაზე ხდება წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის დამთავრების შემდეგ, ნაშუადღევის 4 საათიდან, შაბათობით კი დღის 3 საათიდან, ასე; რომ მუშა-მოსამსახურეთ სრული შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ დემონსტრაციას. ამას გარდა. მანქანების დემონსტრაცია ხდება კვირაობითაც.

დღეს გამოფენაზე მოხდება „ხოლდ"-ის ტრაქტორის, „სიმენს-შუკერტ"-ის სახანძრო მოტორიან საქაჩავის, ელექტრო-დაზგების და პარკის საშრობი მანქანის დემონსტრაცია მუშაობის დროს.

გამოფენის ქრონიკა

ბრინჯის საწმენდი ქარხანა.

კრუპპის ფირმა გამოფენაზე აწყობს ბრინჯის საწმენდ ქარხანას, რომელიც მოთავსებული იქნება მთავარ პავილიონში.

ქარით მამოძრავებელი.

ამ დღეებში გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ქარით მამოძრავებელის მუშაობა; ექსპონატი ეკუთვნის ამერიკულ ფირმა „სტოვეო"-ს.

ახალი ელექტროსადგური.

„რუსავსტორგ"-მა 12-ძალიან ტრაქტორ „ბულდოგ"-ის საშუალებით მოაწყო სასოფლო ტიპის ელექტროსადგური. სადგურის ენერგია ჯერ-ჯერობით გამოყენებულია მხოლოდ მოძრავი რეკლამისათვის.

„ფორდი".

ფორდის პავილიონი ექსპონატების დასათვალიერებლად გაიხსნება კვირას, 13 ივნისს.

„ალფა-ლავალ".

დამთავრდა შვეციის ფირმა „ალფა-ლავალის" პავილიონის მოწყობა. მანქანების პირველი დემონსტრაცია მოხდება ამ დღეებში.

სიმფონიური კონცერტი.

დღეს გამოფენაზე გაიმართება მორიგი სიმფონიური კონცერტი. პროგრამაში ევროპის და რუსეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებებია.

150 გლეხი.

გლეხთა საერთო ბინაში ამჟამად ცხოვრობს 150-მდე გლეხი-ექსკურსანტი, მათ შორის 4 ქალი.

ეკონომიური ცხოვრება

ტყვარჩელის ქვანახშირი

დაიწყო მუშაობა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოსაკვლევად.

5 ივნისს მუშაობის ადგილას ლენინგრადიდან ჩამოვიდნენ გეოლოგ-მძებნელთა პარტიის დანარჩენი თანამშრომლები. ამჟამად სწარმოებს ადგილ-მდებარეობის გეოლოგიური დათვალიერება. მოძებნილია სამი ძველი „შტოლნი", ყოფილი „ბუტმიიდი კაცმანი". შტოლნები კარგ მდგომარეობაშია.

საფონდო ბირჟაში

ხელის შეწყობა კომერციულ განათლებისათვის

თბილისის საბირჟო კომიტეტის წარმომადგენლად სამრეწველო ეკონომიურ (კომერციულ) განათლებისათვის ხელშემწყობ კომიტეტში, რომელიც არსებობს ა.-კ. შ/ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან საქართველოში არჩეულ იქნა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ვ. კანდელაკი.

თამბაქო

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ თამბაქოს კულტურის გასანვითარებლად ზუგდიდის მაზრაში გადასდო 90 ათასი მანეთი. ეს თანხა გლეხებს, რომელნიც თამბაქოს მეურნეობას მისდევენ, დაურიგდებათ მაშინ, როცა დამთავრდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და საურთიერთო ნდობის (საკრედიტო) საზოგადოებათა გადახალისება, რომელიც ამჟამად სწარმოებს. თანხების სესხად დარიგება მოხდება სასეზონო მუშაობის მიმდინარეობის მიხედვით სამჯერ—ივნისში, სექტემბერში და ნოემბერში.

სამეგრელოს თამბაქოს მთავარი მომხმარებელი არის ქუთაისის თამბაქოს 26 სახელობის ფაბრიკა, რომელმაც გასული თვის (მაისის) განმავლობაში დაამზადა 3.450.000 ცალი საწევი ერთეული ანუ ნორმაზე 450 ათასი ცალით მეტი. 1 ივნისიდან 1 ივლისამდე ერთი თვის ვადით ფაბრიკა იხურება; მუშებს ეძლევა ერთი თვის შვებულება. ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს ფაბრიკის შეკეთება.

ცემენტი

მშენებლობის სწრაფი აღორძინება და განვითარება მოითხოვს დიდ ძალ საამშენებლო მასალას, რომელიც ამჟამად საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ჩვენს ბაზარზე. განსაკუთრებით ცემენტის დიდი ნაკლებობაა. იმ მიზნით, რომ ჩვენი აღმშენებლობა არ შეაჩეროს საამშენებლო მასალის კრიზისმა, საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს საქართველოში ცემენტის წარმოება. გასულ თვეებში სწარმოებდა საამისო წინასწარი მუშაობა: რამოდენიმეჯერ გამოკვლეულ იქნა ის ადგილები, სადაც ცემენტის წარმოებისათვის ნედლი მასალა მოიპოვება.

ს. მ. უ. ს. ეკონომიურმა სამმართველომ საქართველოში არსებულ ცემენტის ყველა მადნებს შორის უპირატესობა მისცა სოფელ კავთისხევის მახლობლად მდებარე ცემენტის მადნებს, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინისგზების 1,5 ვერსის დაშორებით მდებარეობს. კავთისხევის ცემენტის მადნები დიდი ხანია სპეციალისტების ყურადღებას იპყრობენ. ჯერ კიდევ ომამდე წარმოებულ გამოკვლევებით დამტკიცებულ იქნა, რომ კავთისხევის ცემენტის მადნები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით იშვიათი ღირსების ნედლ მასალას წარმოადგენენ. ამ მადნების ქიმიური გამოკვლევა მოუხდენია გერმანიის ცნობილ ფირმებს პრეიფერს და სმიტს და აგრეთვე შვეციის ფირმებსაც. ზემოხსენებულ ფირმებმა დაამზადეს და ვამომწვეს კავთისხევის ნედლი მასალისაგან ე. წ. პორტლანდ-ცემენტი. და შემდეგ მიღებულ ცემენტზე მოახდინეს მექანიკური და ქიმიური გამოცდა. ამ გამოკვლევებმა და ცდებმა გამოარკვიეს, რომ კავთისხევის მადნებიდან დამზადებ. ცემენტი თავის ღირსებით სჯობს ტეხნიკაში ცნობილ პირველ ხარისხის ცემენტებს. კავთისხევს აქვს შემდეგი სხვა უპირატესობა. ახლომდებარეობა რკინისგზის ხაზთან და დაახლოებით 80 დესეტინა თავისუფალი მიწა, რომელიც მას აკრავს თან. აქ შეიძლება აგებულ იქნეს თავლა, ქარხანა და აგრეთვე სხვა აუცილებელი შენობები.

ს. მ. უ. ს. ეკონომიურმა სამმართველომ უკვე დაამუშავა ქარხნის აგების პროექტი, რომლის მიხედვით აგებულ ქარხნის წლიური ნაყოფიერება იქნება 700 ათასი ბოჩკა.

გამომუშავებული ხარჯთაღრიცხვით ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდება სულ 1.590.000 მანეთი. წლიური წმინდა შემოსავალი ნავარაუდევია 504.000 მანეთი.

„საქართველოს მარგანეცი"

შავიქვის გატანა.

ამიერ-კავკასიის რკინისგზებმა პირობა მისცეს „საქართველოს მარგანეცი"-ს კონცესიას, რომ ჭიათურა-შორაპნის რკინისგზის გაფართოებამდე უზრუნველყოფილი იქნება ყოველთვიურად ჭიათურიდან ფოთამდე 70.000 ტონა შავიქვის გატანა.

მიმდინარე თვეში გატანილი იქნება 60.000 ტონა შავიქვა.

ხელშეკრულების თანახმად, კონცესიონერი ვალდებულია საქ. ს. ს. რესპუბლიკის სასარგებლოდ გადაიხადოს 3 დოლარი თვითეულ გატანილ ტონა შავქვაზე.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე—შესაძლოა თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ახლანდელი ყოველდღიური გატანა—200 ვაგონის დღეში—არ დაიკლებს, კონცესიის მეთვალყურე-რწმუნებულმა ამხ. **ვაშაძემ** განაცხადა:

— შავიქვის გაძლიერებული გატანა ამჟამად გამოწვეულია მით, რომ კონცესიამ მიიღო დიდი შეკვეთები ამერიკიდან და ევროპიდან. როცა ეს შეკვეთები შესრულდება, შესაძლოა გატანის რაოდენობა შემცირდეს. შემდეგში, ტეხნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესებით, საქმის კიდევ უფრო უკეთესად დაყენებით და სხვ., შესაძლებელია, რომ გატანამ გადააჭარბოს 200 ვაგონსაც დღეში. ომამდე შავიქვის გატანა ჭიათურიდან 200 ვაგონს არ აღემატებოდა დღეში, ხშირად გაცილებით ნაკლებიც იყო ხოლმე.

ორთქლმავლები და ვაგონები ამერიკიდან.

რკინის გზით—ზესტაფონიდან ფოთამდე შავიქვის გატანის გაძლიერების მიზნით, კონცესიონერებმა გამოიწერეს ამერიკიდან შავიქვის გადასატანად სპეციალური ორთქლმავლები და ვაგონები.

საჰაერო მავთულის გზები.

სარეცხი ქარხნებიდან რკინისგზამდე შავიქვის გადასატანად განზრახულია სამი საჰაერო მავთულის გზების გაკეთება.

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა კონცესიონერის მიერ წარმოდგენილი ჭიათურაში საჰაერო მავთულის გზების გაკეთების პროექტი.

სამზადისი ახალი გზების გასაყვანად.

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი"-ს ინჟინერები და ტეხნიკოსები უკვე შეუდგენ წინასწარ მუშაობას ახალი ფართო ლიანდაგიანი გზის გაყვანისათვის.

ეს გზა 52 კილომეტრის მანძილზე იქნება და გავა საჩხერიდან, ჭიათურისა და შორაპნის გზით, სადგურ ზესტაფონამდე.

სადგურ რკვიას მახლობლად საზოგადოება აწყობს ბაზას ამერიკიდან გამოწერილ საინჟინერო-სატეხნიკო პერსონალისათვის, რომელმაც წინასწარი მუშაობა უნდა შეასრულოს ახალი ფართოლიანდაგიანი გზის გაყვანისათვის.

ამ ბაზის მოსაწყობად კონცესიონერმა ამერიკიდან გამოიწერა დასაშლელი სახლები. ბაზასთან მოეწყობა ელექტროსადგური.

600.000 ტონა შავიქვა წელიწადში.

კონცესიონერმა დასდო ხელშეკრულება იმ ფირმებთან და პირებთან, რომლებიც წინად მუშაობდენ მარგანეცის ამოღებაზე ჭიათურაში. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ეს პირები და დაწესებულებები აძლევენ კონცესიას 600 ათას ტონა შავქვას ერთი წლის განმავლობაში.

ხე-ტყის ქარხნები

უკანასკნელ თვეებში ბაზარზე ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება ყოველგვარი ჯიშის — უმთავრესად კი კაკლის ხის, მუხის, წიფელის დახერხილ ფიცრებზე. საამშენებლო სეზონის გაცხოველების გამო ადგილობრივი ბაზარი უხვად მოითხოვს აგრეთვე სხვა საამშენებლო ხე-ტყესაც. კერძოთ ნავთის სინდიკატის მოთხოვნილება ყუთის გასაკეთებელ მასალებზე აჭარის ხე-ტყის წარმოების მიერ დაუკმაყოფილებელი რჩება. ეს გარემოება იწვევს ხე-ტყის მასალის წარმოების გაფართოებას.

აჭარისტანის სატყეო ტრესტს განზრახვა აქვს გააფართოოს ფანერის ქარხანა, რომელიც ამ მოკლე ხანში გადატანილი იქნება მანთაშევის ყოფილ შენობაში. ეს უკანასკნელი სავსებით აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელიც აუცილებელია წარმოების გასაფართოებლად. გადაკეთების და ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ ქარხანას ექნება განყოფილებები: სახერხი, ხის დასამუშავებელი და საფანერო.

ქარხნის გადაკეთებისა და ახალ შენობაში გადატანისათვის გამომუშავებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა 65 ათასი მანეთი. გარდა ამ დიდი ქარხნისა აჭარისტანის სატყეო ტრესტს აქვს საბონდარო-საკასრე ქარხანა, რომელიც წლიურად ამზადებს 250 ათასს ცალ კასრს. ამავე ტრესტის უწყებაში შედის ზემო-აჭარის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც შეუძლია დაამზადოს 150 ათასი კვადრატ. ვერშოკი დახერხილი ხე-ტყის მასალა. ზემო-აჭარის სახერხი ქარხანა საჭიროებს რემონტს და ხელ-ახალ მოწყობას, რისთვისაც საჭიროა 150 ათასი მანეთი.

ხე-ტყის საწარმოო დაწესებულებათა გაფართოებისათვის მისაღებ ღონისძიებათა გატარების შემდეგ, ზემოხსენებული ქარხნები აჭარისტანის სატყეო ტრესტს მისცემენ დაახლოებით 75 ათას მან. წმინდა მოგებას წლიურად.

ფინსახკომში

შტატების შემცირების შესახებ

ა. კ. ფინსახკომმა აცნობა ადგილებს, რომ ყოველგვარი ცვლილებები შტატებში, როგორც შემცირების, ისე გადიდების მხრივ, უნდა ხდებოდეს ა.-კ. ფინსახკომის დასტურით.

ამის გამო არსებულ შტატებში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის შესახებ რესპუბლიკების ფინსახკომებმა უნდა აცნობონ ა.-კ. ფინსახკომს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება

ა.-კ. ფინსახკომმა აცნობა ადგილებს, რომ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, მანდარინების პლანტაციები, თუთის ხეები, ხილოვნური ბაღების ნათესები, მეფრინველეობა, ხალიჩების წარმოება და ხეხილის პლანტაციები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ხნოვ წლამდე, განთავისუფლებული არიან ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან.

რაც შეეხება არასამიწათმოქმედო შემოსავლის ცალკე სახეების დაბეგვრას, მათი დაბეგვრისაგან განთავისუფლების უფლება მინიჭებული აქვს ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

იმავე დადგენილებით დამტკიცებულია რესპუბლიკებისათვის მინიმუმი შემოსავლისა, რომელიც არ შეიძლება დაბეგრილი იქნეს; მინიმუმად დაწესებულია 25 მანეთი თითო მჭამელზე და 75 მანეთი მეურნეობაზე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხარჯების შემცირება

ქუთაისი, 10 ივნისი. „გოსსელმაშინის" ქუთაისის განყოფილებამ შეამცირა ხარჯები აპრილისათვის, დახარჯა მხოლოდ 23 მან. გადადებულ 500 მანეთის მაგივრად. შტატის შემცირებულია 9-დან 4 კაცამდე. საკანცელარიო ხარჯები შემცირებულია 90 პროცენტით.

საკერავი მანქანების გაყიდვა

ქუთაისი, 10 ივნისი. წასული წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე „გოსსელმაშინის" ქუთაისის განყოფილებამ გაჰყიდა 819 საკერავი მანქანა.

აქედან 80 პროცენტი იყიდეს სოფლელებმა. ყოველდღიურად საშუალოდ იყიდება 120 მანქანა.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 10 ივნისი. მაისის განმავლობაში ნავთსადგურში ჩამოვიდა 49 გემი, ფოთიდან გავიდა 45. შემოტანილია სხვადასხვა ტვირთი—7.927 ტონა, გატანილია—2.118 ტონა. ჩამოვიდა 3.355 მგზავრი, გავიდა—3.105 მგზავრი.

ამავე თვის განმავლობაში მარგანეცისათვის მოვიდა 6 უცხოეთის გემი, გავიდა 6, წაიღო 25.652 ტონა შავი-ქვა.

ცხენების გამოფენა

ახალ-სენაკი, 10 ივნისი. 12 ივნისს იხსნება საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი ცხენების გამოფენა.

იმავე დღეს შესდგება ჩვეულებრივი ყოველდღიური სახალხო დოღი—მარულა. მოწყობილი იქნება სხვადასხვა გასართობები, ფიზკულტურელების ვარჯიშობა, პიონერების გამოსვლა და სხვ.

ახალ-სენაკი, 10 ივნისი. გასულ წელში დაარსებულმა ჯოგის მომშენებელთა კავშირი „მეჯოგე" აერთიანებს ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრების მეჯოგეებს. მაისში არჩეულმა კავშირის ახალმა გამგეობამ, მთავარი ყურადღება მიაქცია კავშირში ყველა მეჯოგეთა ჩაბმას და აგრეთვე საპაიო და საწევრო გადასახადების შემოტანის გაძლიერებას.

აფხაზეთი.

სახელმწიფო დრამის გასტროლები

სოხუმი, 10 ივნისი. თბილისის ქართულ სახელმწიფო დრამის გასტროლები დიდის წარმატებით მიმდინარეობს. დრამა სოხუმში კიდევ რამოდენიმე დღეს დარჩება.

თამბაქოს დამზადება

სოხუმი, 10 ივნისი. მაისში დამზადებულ იქნა 134,000 ფუთამდე თამბაქო. პლანტატორებს გადაუხადეს 1,100,000 მანეთი.

გაფლანგვა კავშირებში

სოხუმი, 10 ივნისი. დაბალ საფეხურის პროფორგანოების გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ ცალკე კავშირებში ადგილი ჰქონია მნიშვნელოვან გაფლანგვებს.

საალმშენებლო დარგის მუშათა კავშირში ადგილი ჰქონდა სამ გაფლანგვას 2.738 მან. რაოდენობით, ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირში—4 გაფლანგვას 2.211 მან. რაოდენობით, კომუნალურ მუშაკთა კავშირში—5 გაფლანგვას 1.442 მან. რაოდენობით, საბჭოთა მუშაკების კავშირში—4 გაფლანგვას 2.291 მან. რაოდენობით და გემო-კვების მუშაკთა კავშირში—3 გაფლანგვას 958 მან. რაოდენობით.

გაფლანგვის საერთო თანხა 10.000 მანეთს აღემატება. არის გაფლანგვები, რომელნიც აღმოაჩინეს 2 წლის წინად, მაგრამ დამნაშავენი დაუსჯელი დარჩენ.

სამრეწველო წარმოებების გაერთიანება

სოხუმი, 10 ივნისი. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას ცალკე სამრეწველო წარმოებების გაერთიანებისათვის. ახლო მომავალში მოეწყობა სატყეო ტრესტი, რომელსაც გადაეცემა ცენტრიდან მიღებული 150.000 მანეთი. შემდეგში განზრახულია თამბაქოს გაერთიანების, სპირტის ტრესტის და ლითონის გაერთიანების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება.

აჭარისტანი.

შუახევის ხიდი

ბათუმი, 10 ივნისი. **შუახევის ხიდის საზეიმო გახსნას დაესწრნენ აჭარისტანის მთავრობის წევრები და მრავალრიცხოვანი გლეხობა.** მიტინგზე აღნიშნავდნენ უდიდეს მნიშვნელობას შუახევის ხიდის, რომელიც აერთებს ორ ცალკე თემს და 15-მდე სოფელს მთავარ გზატკეცილთან.

გლეხებმა მადლობა გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას ხიდის აგებისათვის.

შუახევის ხიდი—ყველაზე დიდი რკინის და ბეტონის ხიდია ზემო აჭარაში. გარდა ტეხნიკური ხელმძღვანელობისა ხიდი აშენებულია ადგილობრივი გლეხობის მიერ და დაჯდა 70.000 მანეთი.

თბილისზე უნდა მივეწეროთ

(ბ. კაკაბეთი, სიღნ. მ.)

ჩვენ ისე ვართ დაშორებული მაზრის ცენტრზე, როგორც ქუთაისზედ ზემო სვანეთი. საბჭოთა ხელისუფლებას სულით და გულით, რომ კარგი საქმის გაკეთება სურდეს, მაინც ვერ წვდება კაკაბეთს, როგორც დანარჩენ სოფლებს.

ამ თავისუფლების ხანაში, როდესაც მთელი ხალხი ძუძუმწოვარა საბჭოთა ხელისუფლებას შეხარის, ვისა აქვს მინიჭებული უფლება წინ დაუდგეს გლეხობის სამართლიან მოთხოვნილებას? წარსულ წელს, ჩვენი თემის ერთმა უბანმა ერთხმად დაადგინა შევაერთოთ თბილისის მაზრაზედაო. ხალხის ეს მოთხოვნილება სრულიად სიმართლეს შეეფერება. ჯერ ერთი კაკაბეთიდან გურჯაანამდი არის 40 ვერსი, ამრიგად სახალხო სასამართლოზე დაშორებული ვართ 40 ვერსის მანძილით, ისიც გზები სრულიად მიუდგომელია: ტყე, კლდე, ღრე, სადაც მრავალჯერ მომხდარა უბედური სიკვდილი, ძარცვა გლეჯა და სხვა.

თუ ვინმე სასამართლოში წავალათ, სამი დღე გვინდება ამისათვის. ერთ დღეს წავა, მეორე დღეს საქმე გაირჩევა და მესამე დღეს ბრუნდება სახლში. თუ სიღნაღში წავალთ ამის ხარჯიც ძალიან ძვირად გვილირს. ბადიაურიდან მელაანამდე რკინისგზით მისვლა-მოსვლა ღირს ერთი მანეთი, მელაანიდან ეტლით მისვლა-მოსვლა 4—5 მან. თბილისამდის კი ბილეთი ღირს 1 მან. 25 კ.. საგარეჯოს უბნის სახალხო სასამართლოზედ კი დაშორებული ვართ არა უმეტესი ათი ვერსისა.

რადგანაც მაზრაზე ძალიან დაშორებული ვართ, სკოლებიც ვერ არის მოწყობილი. 1924 წ. სკოლის გარეშე დარჩა 120 ბავშვი, 1925 წ. 200 ბავშვი.

ყველა ეს მოსაზრებანი იმის სასარგებლოთ ლაპარაკობენ, რომ კაკაბეთი თბილისის მაზრის ფარგლებში უნდა მოჰყვეს. უამისოთ წარმოუდგენელია ჩვენი თემის ნორმალური წინსვლა, როგორც ეკონომიურათ, ისე ადმინისტრატიულ-კულტურულად.

მოკეთე.

საქმე არ უნდა მიფუჩეჩდეს

(გამოჩ. თემი, ქუთ. მაზრა)

გამოჩინებულის თემში არსებობს გლეხკომი, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელებმა კარგა ხანია სალათის ძილით მიიძინეს.

აგერ ექვსი თვე იქნება გლეხკომის არსებობა ყველას დაავიწყდა. ამას გარდა ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ გლეხკომის თანხები გაფლანგულიაო. არის სარევიზიო კომისია. კომისიამ გააკეთა მხოლოდ ერთი რევიზია და აღმოაჩინა რაღაც არანორმალობა ანგარიშებისა.

ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით ბურუსით არის მოცული და არაა გამომჟღავნებული. ასეთი მოქმედება სახელს უტეხავს ჩვენს ხელისუფლებას გლეხკაცობაში. საჭიროა მიექცეს ამას სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ-არს და გლეხკომის მუშაობა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში.

ნოღელი.

წერილებიდან

დუშეთი

ტყეს ვაშენებთ. კვირას, 6 ივნისს „ტყის დღის" ჩამტარებელ კომისიამ საქალაქო ტყის გაშენების მიზნით მოაწყო დუშეთის ქედზე 1924 წელში დათესილ რკოს ადგილის გაწმენდა და მავნე მცენარეებისაგან გამარგვლა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს დუშეთის კომკავშირის წევრებმა და დუშეთის საბავშვო სახლის მოწაფეებმა. მუშაობდა 80 ახალგაზრდა სატყეო გამგე, ამხ. მრევლიშვილის ხელმძღვანელობით; გამარგლილი იქნა ორი დესეტინა ნათესი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ყველა მომუშავენი დიდი ხალისით და გულდადებით აწარმოებენ ამ მუშაობას და სურვილიც გამოსთქვეს, რომ ესენი შემდეგშიც მზად არიან ამნაირ საზოგადო საქმისათვის.

დუშელი.

ს. თაია, (ზუგდიდის მაზრა).

საჯაიამ მიწა გაჰყიდა. მასწავლებელ ბიქტორ საჯაიამ მიჰყიდა ერთი ქცევა მიწა მიხა საჯაიას. რომ კითხოთ ბიქტორს, როგორ მოხდა ეს, ის გიპასუხებთ, რომ მან მიხას მიწა გადაუცვალა და არა მიჰყიდა. ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან მისა საჯაიას თაიში არავითარი მიწა არ მოეპოება. მაზრის საადგილ-მამულო კოლეგიამ დროზე უნდა მიხედოს ამას და პასუხისგებაში მისცეს საბჭოთა კანონების შემლახველები.

განგარი კოჩი.

კოლხიდა, (გაგრის მ.)

აღმასკომთ, დაგვეხმარე. გლეხისათვის ღორი დიდათ სასარგებლო ოთხფეხია. ჩვენს სოფელში შეიძლებოდა მათი მოშენება, მაგრამ გლეხებს შორის ამ ნიადაგზე მრავალ უსიამოვნებას აქვს ადგილი. ნაწილს ყანები და ეზოები შეუკავებელი აქვს, სადაც თავისუფლად შედის ღორი, არ იქნა მოდავე გლეხების შეთანხმება. აღმასკომო, საჭიროა საქმეში შენი ავტორიტეტიანი და ენერგიული ჩარევა.

ჩაქუჩი.

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

ბოლო არ ელება. საგარეჯოს თემში ამ ბოლო ხანებში ძალიან გავრცელდა მიწების სყიდვა გაყიდვა. მეტადრე ამ საქმეს სჩადიან ქვრივები და მუქთახორა გლეხები. აქაოდა, იჯარა ნებადართულიაო, რასაც უნდათ იმას სჩადიან. სახელი იჯარაა, ხოლო ნამდვილათ ვაჭრობა სწარმოებს.

ამჟამად ამის გამო საგარეჯოს სახალხო სასამართლოს მიერ რამოდენიმე პირი მიცემულია პასუხისგებაში. საჭიროა სასტიკი ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, თორემ მთელი მამულ-დედულები ბოლოს გლეხებს ჩაუვარდებათ ხელში.

გ. გარსიაშვილი.

დაუმსახურებელი ბრალდება

გაზ. „კომუნისტის" № 82 მოთავსებული ცნობა მარტვილის (სენ. მ.) საავადმყოფოს შესახებ, სათაურით: „საავადმყოფოა თუ საქეიფო სახლი", რომელსაც ხელს აწერს ვინმე „ადგილობრივი„, სინამდვილეს არ შეეფერება. თემსაბჭოს საავადმყოფოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია და აღნიშნულ კორესპონდენციაში მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი უმართებულოთ მიაჩნია.

მარტვილის თემაღმასკომის თავმჯდომარე:

პ. წოწორია.

სოფლის ქრონიკა

— **ტყის დაცვა.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა ტყის დაცვის მიზნით გაადიდოს ტყის მცველთა შტატი.

— **საავადმყოფო.** ახალქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს ბარალეთში მოაწყოს საავადმყოფო.

— **საქონლის ჭირი** მოისპო ახალქალაქის მაზრაში.

— **თელავის** სამაზრო მილიციასთან დაარსდა სამისამართო მაგიდა..

— **ქუთაისის** აღმასკომს ელექტრონის სინათლე გაჰყავს გამასწორებელ სახლებში.

სოფლის ფოსტა

თ. ქ.-ძეს (ბანძა, სენ. მ.) წერილი ზოგადი ხასიათისაა, არაა მოყვანილი ფაქტები, არ მიდის.

წერილები

გოგია გლეხკომს ეძებს

(ხეთა, ზუგდიდის მაზრა).

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც „კომუნისტში" ჩვენი თემიდან დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით: „ცხენმა რა ქნა", რომელსაც ხელს აწერდა გლეხკორი „თექვორდი". საქმე ეხებოდა ხეთის თემაღმასკომის თავმჯდომარეს გოგიას, რომელიც ძმა-ბიძურ დამოკიდებულებაშია ადგილობრივ ვაჭრებთან და ერთ მათგანისაგან ამ ბოლო ხანს „საჩუქრათ" ცხენიც მიიღო.

„კომუნისტის" იმ ნომერმა, რომელშიაც ეს წერილი იყო მოთავსებული, მთელ ხეთაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. გახარებული გლეხკაცობა მადლობის ნიშნათ უცნობ კორესპონდენტ „თექვორდის" სულ „მამის ცხონებას უთვლიდა, მაგრამ სულ სხვა გუნებაზე დადგა თვითონ გოგია.

მას ალბათ ქვეყანა ჩალით დახურული ეგონა. ცხენი ხომ ნემსი არ იყო, რომ ისე ადვილად შერჩენოდა მას ეს ოინები, მას ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე გაბედავდა მის წინააღმდეგ კრიტიკის დაძვრას. „თექვორდის წერილმა კი, სადაც დაწვრილებით იყო მოთხრობილი ჩვენი „სასახელო" თავმჯდომარის ოინბაზობა, გოგია სულ ერთიანად გააგიჟა.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჯაჭვზე აწყვეტილ ნადირივით დარბოდა. გაშმაგებით ეძებდა წერილის ავტორს. ხან ერთს მივარდა, ხან მეორეს, ხან მესამეს. ყველა მიზანში ამოიღო, ვინც კი ხეთის თემში წერა იცის. ბოლოს რომ ვერაფერს გახდა, დაუძახა ჩვენი თემის უკვე ცნობილ გლეხკორებს.

ჯერ ისე, კარგი დახელოვნებული დიპლომატი რომ იქნება, გაშაქრული ენით დაუწყო გოგიამ ლაპარაკი გლეხკორებს „კაცო, რა მოხდა ამის ფასი, თქვით, თქვენ გენაცვალეთ, რომელმა დაწერეთ ჩემზე და ეს ულვაში ღორის ძაგარა იყვეს, თუ ვისმე რაიმე შეგკადროთ. არც ისეთი ბიჭია გოგია, რომ ასეთი ხუმრობა ვერ შეიგნოსო".

მაგრამ თავი განწირული არავის ჰქონია, რომ ამგვარ ანკესზე წამოგებულიყო. თან არც თვით გლეხკორებმა იციან ვინ არის ნამდვილი ავტორი ამ წერილის. ასე რომ გოგიას თეთრი ძაფით ნაკერი დიპლომატობა უნაყოფო აღმოჩნდა.

მაშინ გოგიამ ენიდან შაქარი მოიწმინდა და პირდაპირ მუქარაზე გადავიდა. „ბოლოს და ბოლოს ვინ გგონივართ თქვენ მე? რამდენი ვინმე ჯლაბნას ისწავლის, ყველას აბუჩათ რავა ავაგდებინებ თავს, ღმერთო მომკალი! რაკი საქმე ჯიუტობაზე მიდგა, მე ვიცი და ჩემმა ბრაუნინგმაო".

სანამდი უნდა გასტანოს გოგიას ასეთმა თავხედობამ? ნუ თუ მაზრა არ მიუჩენს ამ ვაჟბატონს შესაფერ ადგილს?

გიჟი ნექ.

გლეხკომი კარგად მუშაობდა.

(თერჯოლა, შორაპნის მაზრა).

ეხლანდელი შემადგენლობის გლეხკომი აირჩიეთ 1925 წლის აპრილში. თემგლეხკომმა ამ ხნის განმავლობაში ბევრ ღარიბებს გლეხს და ქვრივ-ობოლს გაუწია დახმარება.

დახმარებებს უწევდა გლეხკომი აგრეთვე საშუალო შეძლების გლეხობასაც, რომელთაც ექიმი უფასოდ ექიმობდა, ხოლო წამალი 40 პროც. ფასდაკლებით ეძლეოდათ. გარდა ამისა, ღარიბ გლეხებს ეძლეოდა სურსათ-სანოვაგე.

თემგლეხკომის პრეზიდიუმი თავის მოქმედების შესახებ ხშირად აკეთებდა მოხსენებებს სოფლებში და მისი მუშაობა გლეხობის მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. ასევე დამაკმაყოფილებლად იცნო საბჭომ თემგლეხკომის მუშაობა მაისის სხდომაზე.

თერჯოლის თემში გლეხკომს დიდი გასავალი აქვს და გლეხობა ნდობის თვალით უყურებს მას. უნდა ვეცადოთ მომავალში კიდევ უფრო გავაღონიეროთ გლეხკომი და მასში ავირჩიოთ უღარიბესი, საშუალო შეძლების გლეხობის და სოფლის მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. არც ერთი კულაკი და საბჭოთა ხელისუფლების ფარული მტერი არ უნდა გავაპაროთ გლეხკომში.

ვალ—ია.

გზა არ გვივარგა.

(ახალ-სენაკი).

ახალ-სენაკში შემოდის ოთხი უმთავრესი გზა: ზუგდიდის, ნოქალაქევის, ნოსირის და მუხურის. ამ უკანასკნელის, მუხურის, გზის გაკეთებას რამოდენიმე წელიწადია გვპირდებიან და მას დასასრული არ მიეცა. სოთლიბში ეს გზა თითქმის დამთავრებულია, მაგრამ, რაც შეეხება ქალაქის მისავალს, აქ სრულებით არ სწარმოებს მუშაობა.

60 ვერსის მანძილზე მოსულ გლეხს ქალაქის განაპირას ან ურემი გადაუბრუნდება, ან ღერძი გაუტყდება და მთელი დღე მშიერ-მწყურვალეს უხდება ამის გამოსწორებაზე მუშაობა.

აქ არის ეგრედ წოდებული ღელე „ხაბაზეთი". წელიწადზე მეტია, რაც ხაბაზეთის ხიდის გასაკეთებლად კომუნალურ განყოფილებამ 300 მანეთი გადასდო. საჭირო რელსები მოიტანეს, მაგრამ ისევ წაიღეს. ეხლა ქვები დაყარეს, მაგრამ ეს ქვები, ვის საითკენ მიაქვს, ალაჰმა უწყის.

გარდა ამისა, გზაზე დაყრილი ქვების გროვა მგზავრს არ აძლევს საშუალებას ხარ-ურმით თავისუფლად გაიაროს. იყო შემთხვევა, რომ თხრილში გადავარდა ურემი და ერთიანად დაიმტვრა.

კომუნალურ განყოფილებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ზეგთა-ზეგი.

მევახშეები უნდა აილაგმონ.

(სამეგრელო).

სამეგრელოში თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებით თითო-ოროლა პიროვნებას, რომელთაც ხელობათ გაუხდიათ მევახშეობა. სესხათ ფულის გაცემა აკრძალული არ არის, თუ სესხის გაცემის დროს დაცული იქნება კანონიერი სარგებელი. კანონიერ სარგებლათ კი დაწესებულია 6 პროცენტი, ე. ი. ფულის გამსესხებელს უფლება აქვს გაასესხოს, მაგალითად, ერთი წლით 100 მანეთი და სარგებლად ამ ხნის განმავლობაში აიღოს მხოლოდ 6 მანეთი.

ჩვენს სოფლებში კი ადგილი აქვს შემდეგ მოვლენას: **მევახშე იძლევა ერთ თვეში ათ მანეთს ორი მანეთად, ე. ი. 100 მანეთს წლიურად 240 მანეთად, რაც უდრის 240 პროცენტს.**

აიღეთ მშრომელი გლეხის მდგომარეობა, რომელსაც სურს როგორმე შეიძინოს ერთი უღელი ხარი, ან ერთი მეწველი ძროხა. მევახშის დასაკმაყოფილებლად მან წლის ბოლოს ხომ უნდა გაჰყიდოს შეძენილ ხარებთან ერთად ყველაფერი, რაც კი აბადია სახლში, რომ დაჰფაროს სულთამხუთავი მევახშის სარგებელი?

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველ სოფელს ჰყავს თემის საბჭოში თავისი წარმომადგენელი—საბჭოს წევრი, რომელმაც ზედმიწევნით კარგათ იცის საკუთარი სოფლის მევახშე. თემაღმასკომებმა უნდა განუმარტონ საბჭოს წევრებს მევახშეობის დაუშვებლობა და დაავალონ მათ ასეთი შემთხვევების თვალყურის დევნება.

როგორც კი აღმოჩნდება ამა თუ იმ სოფელში მევახშეობის ფაქტი, დაუყოვნებლივ უნდა იქნას შედგენილი სათანადო ოქმი ან თემაღმასკომის, ან ადგილობრივი მილიციის მიერ და საქმე უნდა გადაეცეს სახალხო მოსამართლეს, რომელიც დასჯის მევახშეს, როგორც მშრომელი გლეხობის მყვლეფავს.

აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია ამ მოვლენის წინააღმდეგ მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

ამასთანავე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მევახშეობასთან ბრძოლაში სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს. სამწუხაროდ, მათი ქსელი ჯერ-ჯერობით სუსტია და სადაც არსებობენ ასეთები, იქაც ფულის უქონლობა აფერხებს საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობას. ამ გარემოებას უთუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ადმინისტრატიულ ღონისძიებებთან ერთად მევახშეების ასალაგმავად უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა ეკონომიური საშუალებებით.

გ. ახვლედიანი.

კოოპერაცია

„ზაკსოიუზი"-ს საბჭოს სესია

კამათი ამხ. ბალტინის მოხსენების გარშემო

10 ივნისის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. ბალტინის მოხსენების გარშემო. კამათში ამხანაგები უმთავრესად შეეხნენ კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის გართულებულ ურთიერთ დამოკიდებულებას და „ზაკსოიუზი"-ს მუშაობის საორგანიზაციო მხარეს.

ეხებიან რა ამხ. ძერჟინსკის გამოსვლას პრესაში, ორატორები ამბობენ, რომ ძერჟინსკი ბრალს სდებს კოოპერაციას იმაში, რომ მან ვერ შესძლო ფასების დაკლება საქონელზე. ამ გარემოებას ისინი ხსნიან იმით, რომ თვით მრეწველობა უმატებს ფასებს თავის ნაწარმოებზე და ფიქრობენ, რომ კერძო კაპიტალზე დაყრდნობაც ამ მხრივ ვერ გამოიღებს დადებითი შედეგებს.

რაც შეეხება მუშაობის საორგანიზაციო მხარეს, ორატორები აღნიშნავენ მთელ რიგ დეფექტებს. რომელთა აღმოფხვრა აუცილებლად საჭიროა მომავალში მუშაობის გამოსწორებისათვის. საჭიროა კოოპერაციის სავაჭრო და ფინანსიური პოლიტიკის გამოსწორება. საჭიროა აგრეთვე საინსტრუქტორო მუშაობის გადათვალიერება, რათა იგი ჩადგეს სასურველ კალაპოტში.

მრეწველობის წარმომადგენლები უმთავრესად აღნიშნავენ მრეწველობის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროდ მიაჩნიათ კერძო კაპიტალის ჩაბმა კონცესიის რეალიზაციის საქმეში. საერთოდ საბოლოო მიზანი კოოპერაციისა და სახელმწიფო მრეწველობის მათ ერთიანად მიაჩნდათ.

ამხ. ბალტინის საბოლოო სიტყვა

ამხ. ბალტინი საბოლოო სიტყვაში უმთავრესად ეხება მრეწველობის წარმომადგენელთა გამოსვლას და საჭიროდ სთვლის საერთო ენის გამონახვას. საორგანიზაციო მუშაობის შესახებ ის ამბობს, რომ საინსტრუქციო მუშაობა ვერ არის მართლაც დაყენებული სასურველად და იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს მის გამოსასწორებლად. საერთოდ საჭიროა საორგანიზაციო და სავაჭრო განყოფილებების ერთმანეთთან დაკავშირება მუშაობის მხრივ.

რეზოლიუციის მიღება

მიღებულ რეზოლიუციაში სესია გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის და კონკრეტიულ ღონისძიებათა შემუშავებას ანდობს საბჭოს პრეზიდიუმს.

მადლობის გამოცხადება ამხ. ბალტინისათვის

ამხ. ბალტინის წასვლის გამო სესია მის მაგივრათ ჯერ-ჯერობით არავის ირჩევს და „ზაკსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით ასრულებას აკისრებს ამხ. ფარაჯ-ზადეს.

ა.-კ. კოოპერატიული ცენტრის შექმნისა და დაუღალავი მუშაობისათვის სესია ამხ. ბალტინს მადლობას უცხადებს.

„ზაკსოიუზ"-ის საორგანიზაციო თათბირი

პირველი სხდომა.

გუშინ საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის „ზაკსოიუზ"-ის საორგანიზაციო თათბირი. პირველ რიგში მოსმენილ იქნა—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება ნაციონალურ რესპუბლიკების ძირითად კოოპერატივების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო საქმიანობის გამოკვლევის შესახებ და სპეციალური მოხსენებები ინსტრუქტორების და სარევიზიო კომისიების მუშაობის მეთოდების შესახებ.

ამხ. ევროპკინის მოხსენება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის შედეგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ევროპკინი. იგი აღნიშნავს, რომ საინსტრუქტორო მუშაობა რესპუბლიკანურ კოოპერატივთა კავშირებში ინსპექციის გამოკვლევით ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

გამოკვლევამ ინსპექციას მისცა მდიდარი მასალა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ; კერძოთ გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერაციაში საჭიროა სარევიზიო და საინსტრუქტორო მუშაობის გაუმჯობესება და გაძლიერება.

რათა ეს ღონისძიება გატარებულ იქნეს, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, ერთის მხრით, სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესება და, მეორეს მხრით, სამეურნეო ინსტრუქტაჟისათვის ხელის შეწყობა და განვითარება.

ამხ. ბურაკოვსკის მოხსენება.

კოოპერაციაში სარევიზიო მუშაობის, ინსტრუქტაჟის ამოცანების და მეთოდების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბურაკოვსკი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ საკითხმა უკანასკნელ ხანებში მწვავე ხასიათი მიიღო და წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ეს საქმე.

ამისათვის ამხ. ბურაკოვსკი აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებას.

ამხ. კორენევის მოხსენება.

სარევიზიო კომისიების მუშაობის მეთოდებს არკვევს ამხ. კორენევი. მომხსენებელი ამბობს, რომ უმეტეს შემთხვევებში სარევიზიო კომისიებს თავიანთ მუშაობის მეთოდები არ ესმით და ხშირად ცალკე კოოპერატივთა კავშირებს თავისებურად ესმით იგი.

მომავალში ამ მუშაობის გამოსასწორებლად და ამიერ-კავკასიის კოოპერაციაში სარევიზიო კომისიების მუშაობაში საერთო მეთოდების შემუშავებად, მომხსენებელი არკვევს ამ მეთოდებს მუხლობრივ და უთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს სარევიზიო კომისიების მუშაობა.

სასოფლო მეურნეობა

ხილი

საქართველოში მრავალია ხილეულობით და ბოსტნეულობით მდიდარი რაიონები, სადაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მეურნეობის ამ დარგების განვითარებას. მიუხედავათ ამისა მეხილეობა-მებოსტნეობა, ჩვენში ერთს დონეზე სდგას. ამ გარემოების მიზეზი არის ის, რომ სასოფლო-მეურნეობის ეს პროდუქტები ადგილობრივ ბაზარზე შორს ვერ მიდიან, რადგან მათი გადაზიდვა განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს.

ხილის და ბოსტნეულის გაზიდვა საბჭოთა კავშირის ბაზარზე ძალიან სჭირს, რადგან სამისოდ საჭიროა სპეციალურად მოწყობილი ვაგონები.

ერთად-ერთი პირობა მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის არის ხილის და ბოსტნეულის წარმოების ორგანიზაცია, ბოსტნეულის და ხილის ხმობის და საკონსერვო ქარხნების მოწყობა, რაც დიდ თანხებს არ მოითხოვს. უკანასკნელ დრომდე საკონსერვო ქარხნები ჩვენში მოწყობილი იყო მხოლოდ გორსა და თბილისში. ხილის სახმობი ქარხნები კი არის მეხილეობის მთავარ რაიონებში, სადაც ხილის ხმობის საქმე ვერ განვითარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხილის სახმობი მანქანები კარგი ღირსების ვერ გამოდგნენ.

საკონსერვო ქარხნები კი ამზადებენ საუკეთესო ღირსების ნაწარმოებს, რომელსაც ყველგან დიდი გასავალი აქვს. ამჟამად უმაღლეს ორგანოების მიერ გადაწყვეტილია ამ უახლოეს წლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განსავითარებლად მოწყობილ იქნეს საკონსერვო წარმოების ქარხნები. მიღებული გეგმით, გორში განზრახულია მოეწყოს ხილის და ბოსტნეულობის დასამუშავებელ წარმოებათა კომბინატები. სამხრეთ ოსეთსა და ახალციხის მაზრაში, სადაც საუკეთესო ჯიშის კარტოფილის უხვი მოსავალი იცის, მოწყობილი იქნება კარტოფილის ფაბრიკა, რომელიც საგრძნობლად აწევს გლეხის მეურნეობის კეთილდღეობას.

ზუგდიდსა და ოზურგეთში განზრახულია თხილის და ნიგვზის გასარჩევი ქარხნების აგება, ხოლო ქუთაისში, რომლის რაიონში ცნობილია პამიდორის უხვი მოსავლით, აგებული იქნება ტომატის ფაბრიკა.

საქონლის ჭირი

გორის მაზრაში.

უკანასკნელი ცნობებით, საქონლის ჭირმა თავი იჩინა გორის მაზრის სოფელ ხოვლეში. მიწათმოქმედების კომისარიატის საბეითლო განყოფილებამ აღნიშნულ სოფლიდან მიიღო დეპეშა სადაც გლეხები თხოულობენ დაუყოვნებლივ გაგზავნას ბეითლისას და ასაცრელი შრატისას.

აღნიშნულ სოფელში უკვე გაიგზავნა შრატის საკმაო რაოდენობა.

საბეითლო განყოფილებას მოსდის აგრეთვე ცნობები სხვა მაზრებიდანაც საქონლის დაავადმყოფების შესახებ. ასე, მაგალ. სიღნაღის მაზრაში ძალიან მოუკიდია ფეხი საქონლის დაავადმყოფებას ყვავილით. თანახმად სამაზრო საბეითლო განყოფილების შუამდგომლობისა, იქ უკვე გაიგზავნა ყვავილის საწინააღმდეგო ასაცრელი წამლები და ხელსაწყო-იარაღები.

ბორჩალოს მაზრაში.

მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მიღებული ცნობებით ბორჩალოს მაზრაში უკანასკნელ ხანებში უკვე აღარ აქვს ადგილი საქონლის ჭირით დაავადმყოფებას.

ყველაზე უფრო დაზარალებულ სოფლებათ ითვლებოდნენ სოფ. კიზის-აჯალო, სალამალეკი და საფიქლო. აღნიშნულ სოფლებში ჭირის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მოწყობილი იყო კარანტინი. ამ ჟამად კი, ვინაიდან უკვე დაიწყო საქონლის საძოვრებზე გარეკვა, კარანტინი დიდათ აბრკოლებს საქონლის მოძრაობას და ამიტომ გადაწყვეტილია მისი მოხსნა.

საძოვრებზე გაშვების წინ მოხდება საქონლის ჯანმრთელობის შემოწმება.

სვანეთის ტყეები

საუკეთესო ტყეებით მთლიანათ დაფარულია მდინარე ენგურის რაიონი. მდინარე ენგური, რომლის სათავე გამოდის მყინვარებიდან, მიექანება დასავლეთისაკენ, სოფ. ლახამურამდე, შემდეგ იცვლის მიმართულებას სამხრეთ-დასავლეთისაკენ; სოფ. ჯვარიდან ენგური სტოვებს ვიწრო ხეობას და მიექანება ვაკეზე, დაახლოებით 50-60 კილომეტრის მანძილზე; ანაკლიაში კი ერთვის შავ ზღვას. მდინარე ენგურის სიგრძე დაახლოებით უდრის 190-200 კილომეტრს. აურიცხელი მდინარეები ერთვის მდ. ენგურს, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ ნაპირებიდან.

საერთოთ, მთელი მდ. ენგურის და მისი მდინარეების ხეობები მოცულია გაუვალი, ულრანი ტყეებით. სვანეთის ტყეებს დაახლოებით უკავია 140.000 ჰექტარამდე. სვანეთი თავისი ულრანი ტყეებით დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს. ეს სიმდიდრე დღემდის არ არის კარგათ შესწავლილი და გამოკვლეული.

ხე ზრდის დროს გვაძლევს მერქნის ყოველწლიურ შემატებას; მაგრამ ეს შენამატი იყინება ერთ წერტილზე, როდესაც მცენარეს დაუდგება თავისი დრო; ამ დროს შემდეგ მცენარე ბერდება და მას ეკარგება ბრძოლის უნარი მავნე მწერების და სოკოების წინააღმდეგ.

სვანეთის ტყეებში ბლომათ მოიპოვება აუარებელი ნაყარი და წაქცეული ხეები, რაც გამოწვეულია მავნე მწერებ-სოკოებიდან და ექსპლოატაციის წარმოებით ჩაცვენილ ტყიდან. ასეთი მდგომარეობა კი დიდ ზიანს აყენებს ტყის მეურნეობას.

ასეთ პირობებში მყოფი ტყეები განიცდიან დიდ უბედურებას.

მათი გამოკვლევის და ამასთან ერთად გზების გაყვანის და ქაღალდის ქარხნის აგების ნიადაგის მოსამზადებლათ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ამ დღეებში იქ იგზავნება ტყის მცოდნე სპეციალისტთა დიდი ჯგუფი (20-25 კაცამდე), რომელმაც საზაფხულო სეზონის განმავლობაში ყოველ მხრივ უნდა შეისწავლოს, მოაწყოს და გამოაკვლიოს სვანეთის ტყეების სივრცე, ჯიშთა შემადგენლობა, მარაგი და სხვა.

სვანეთის ტყეებში უმთავრესათ მოიპოვება წიწვიანი ჯიშები: ფიჭვი, ნაძვი და სოჭი. წიწვიანს უჭირავს 2/3-ზე მეტი მთელი ტყეებისა, ე. ი. დაახლოებით 100.000-120.000 ჰექტარამდე. წიწვიანებში უფრო მეტია სოჭი, რაც მომავალში უნდა მიეწოდოს ქაღალდის ქარხანას, როგორც საუკეთესო ქაღალდის ექსტრაქტი. გარდა ამისა წიწვიანებში არის უთხოვარი.

ფოთლოვან ჯიშებიდან: წიფელი, რცხილა, წაბლი, ცაცხვი, მუხა და სხვა, რომელთა სივრცე დაახლოებით უდრის 20.25.000 ჰექტარს.

სვანეთში მიმავალ ტყის მომწყობ ჯგუფს აქვს დიდი მნიშვნელობა და იმედია ისინი კეთილსინდისიერათ შეასრულებენ თავის მოვალეობას.

სარ. სურგულაძე.

აბრეშუმი

მეაბრეშუმეობა, რომელიც სენაკის მაზრაში მეურნეობის მეორე ხარისხოვან დარგს წარმოადგენს, გლეხის მეურნეობას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს. ამ უკანასკნელ წლებში მეაბრეშუმეობა მაზრაში თანდათან ვრცელდება და ფეხს იკიდებს ისეთ გლეხებში, რომელნიც წინად მეურნეობის ამ დარგს არ მისდევდენ. თუ რამდენად ვითარდება სენაკის მაზრაში მეაბრეშუმეობა, მოწმობს შემდეგი ციფრები: [illegible] სეზონისთვის გლეხებს დაურიგდა 8 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი; 1924 წლის სეზონისთვის დაახლოებით 14.000 კოლოფი, ხოლო მიმდინარე სეზონისათვის გლეხებს დაურიგდათ 15.767 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

გლეხებს აბრეშუმის თესლი მიეცათ ნისიათ თითო კოლოფი—3 მანეთად; სულ დარიგდა 47.301 მანეთის. აბრეშუმის თესლის ფასს გლეხები გადაიხდიან აბრეშუმის პარკის მოწევის და გასაღების შემდეგ.

წელს აბრეშუმი გაშენებული ჰყავს მოსახლეობის 66 პროცენტს.

წითელი ჯარი

საბანაკო ცხოვრება და სამხკორთა მუშაობა

საბანაკო ცხოვრების და მუშაობის პირობები დიდათ განსხვავდებიან საზამთრო პერიოდის პირობებისაგან.

ბანაკად მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სალაშქრო წესების შეთვისებას და წითელარმიელთა გაწვრთნას საომარ პირობების მიხედვით. ბანაკად მთავარი პრაქტიკაა; რაც ზამთრის განმავლობაში შეთვისებულ იქნა თეორიულად, წითელარმიელი მას ანხორციელებს საქმეზე.

პოლიტმუშაობა ბანაკად სწარმოებს, პოლიტსაათი მიმდინარეობს რეგულარულად; მაგრამ აქაც მთავარი ყურადღება ექცევა ისეთების დამუშავებას, რომლებიც ეხება ბანაკად ცხოვრებას და სოფლად მუშაობას. ამასთანავე ყოველ წითელარმიელს უხდება პოლიტსაათზე შეძენილ ცოდნის გადატანა სოფლად—გლეხთა მასაში.

ბანაკად ყოფნის დროს წითელი არმიელები უახლოვდებიან სოფელს და ეძლევათ საშუალება აწარმოონ სოფლად კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობა. ბანაკად ფართე გასაქანი ეძლევა სამხედრო პროპაგანდის წარმოებას სოფლად, რაც ზამთარში შეუძლებელია. საზაფხულო პერიოდში სამხკორთა მუშაობა იცვლება და მას ეძლევა სხვა ხასიათი. ზამთრის ხანაში სამხკორთა მუშაობა [illegible] არ სცილდებოდა ყაზარმის ფარგლებს. სამხკორთა მიერ შუქდება მხოლოდ ყაზარმის ცხოვრება და წითელარმიელთა მეცადინეობის და ცხოვრების საკითხები. სამხკორთა მუშაობა ბანაკად შეფარდებულია ბანაკის პირობებთან და იმ ამოცანებთან, რომლებიც უდგანან წინ საბანაკო ცხოვრებას.

მთავარი მომენტი სამხკორთა მუშაობაში საბანაკო პერიოდის დროს არის საველე მეცადინეობის მსვლელობის გაშუქება. სამხკორთა ყურადღების ცენტრი მიქცეულ უნდა იყვეს წითელარმიელთა მიერ საველე წყობილების შეთვისებაზე. თუ სამხკორი სერიოზულად მოეპყრობა აღნიშნულ საკითხს, ყოველ თავის შენიშვნას ააგებს დაკვირვებაზე, მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს სწავლების საქმეს.

გასამხედროების საქმე ახალია ჩვენში. მუშაობის ეს დარგი თითქმის უცნობია ჯერ-ჯერობით. მას უეჭველია აქვს ბევრი ნაკლი და შეცდომა, ბევრ ადგილას არ არის აღებული მუშაობის სწორი ხაზი. აქაც საჭიროა სამხკორის დახმარება, მის შემწეობით შეიძლება ყველივე ნაკლის გამოსწორება და შეცდომების თავიდან აცილება.

სამხკორთა მუშაობის მორიგი ამოცანა ბანაკად ყოფნის დროს არის აგრეთვე კავშირის გაბმა სოფლის კორესპონდენტებთან; წინა წლებში ამას არ ჰქონია მიქცეული ყურადღება, წრეულს კი საჭიროა, რომ ხშირად მოეწყოს გაერთიანებული თათბირები, რომლებზედაც გაშუქებულ უნდა იქნეს სამხედრო კუთხეების და ცვალებადელთა მუშაობის და აგრეთვე გლეხთა გასამხედროების საკითხები.

ყოველ ზემოთ ნაჩვენების გარდა, არის მრავალი საკითხი, დაკავშირებული წითელარმიელთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რომლებსაც სამხკორი ვერ უხვევს გვერდს და რომლების გაშუქებაც პრესაში საჭირო და აუცილებელია. მიმდინარე საზაფხულო პერიოდი სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული სამხკორთა ჩასაბმელად ფართე საზოგადოებრივ მუშაობაში, რათა ჯარის რიგებიდან წასვლის შემდეგ მათ შესძლონ ითანამშრომლონ სამოქალაქო გაზეთებში.

ე. ხ—ი.

წითელი ჯარი გვეხმარება.

(სოფ. ჯვარი, ზუგდიდის მაზრა).

სოფ. ჯვარი საზღვრავს ჩვენს მაზრას სვანეთიდან. რუსეთის შორეულ გუბერნიებიდან მოსულან ძმები, რუსი ჯარისკაცები და მუშაობენ სოფ. ჯვარში სვანეთის გზის გასაყვანად. ჯვარში და მის ახლო-მახლო თემებში მცხოვრებ გლეხებში ეს დიდ აღფრთოვანებას იწვევს.

ა.-წ. 6 ივნისს, სოფ. ჯვარში შესდგა თემის საზოგადო კრება, რომელსაც მაზრიდან დაესწრნენ შემდეგი ამხანაგები: ბ. ბერია, ვ. კიტია და ბ. აფაქიძე. საზოგადო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა სამაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ბერია, რომელმაც განუმარტა კრებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის და კერძოთ ჩვენი კუთხისათვის სვანეთის გზას. კრება დიდი სიამოვნებით და ყურადღებით ისმენს ამხანაგების მოხსენებას, ხალხი დიდათ აღტაცებულია წითელ ჯარის თავდადებული დახმარებით.

მ. ციმინტია.

ბრძოლა უცოდინარობასთან

(მე-4-ე ლეგიონი)

ცვალებადელების მიღებისთანავე ნაწილი შეუდგა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვას. არ მცოდნენი დაყოფილ იქნენ ჯგუფებად და დაიწყო მათთან მეცადინეობა. ცალ-ცალკე იქნა შედგენილი წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფები ყველა ეროვნებების წარმომადგენლებიდან. ლეგიონმა მათთვის მოიწვია მასწავლებლები მეცადინეობის საწარმოებლად ეროვნულ ენაზე.

მასწავლებლების შოვნაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივ სამოქალაქო დაწესებულებებმა. დღის-დღეობით მრავალ წითელარმიელს შეუძლია თავისუფლად კითხვა და ახერხებენ წერილების წერას.

ევ.

თვითგანვითარების საქმე ჩვენთან

(მე-2-ე მესანგრე ასეული)

ჩვენი ასეული ახალწვეულების მიღებისთანავე შეუდგა სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობას. გადიდებულ იქნა წრეების რიცხვი. თვითეულ წრეს ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი. ყველაზე მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებს სალიტერატურო წრე, რომელიც დროთ-გამოშვებით აწყობს სალიტერატურო საღამოებს და გასამართლებებს.

უფპოლიტშემადგენლობა ყოველთვის ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მუშაობაში და თავის მაგალითით ამხნევებს წითელარმიელებს.

სამხედრო სწავლება

(მე-2-ე ლეგიონი)

ბანაკად გასვლისას ერთი კვირის განმავლობაში შევსძელით საერთო სამუშაოების შესრულება, რის შემდეგაც შევუდექით სპეციალურ სამხედრო მეცადინეობას. გავდივართ პრაქტიკულ მეცადინეობას ველად.

ყველა ამხანაგები ხალისიანათ ასრულებენ ვალებას.

ლ. ჰ.

რკინის გზებზე

ნავთის პროდუქტების ხარჯვის ნორმები

ა.-კ. რკინისგზების მმართველობამ ზაფხულის პერიოდისათვის (ივნისი, ივლისი, აგვისტო) დააწესა ორთქლმავლებზე ნავთის პროდუქტების ხმარების ხარჯვის ახალი ნორმები.

პრემიები ნავთის პროდუქტების დაზოგვისათვის

ა.-კ. რკინისგზების მმართველობამ დააწესა პრემიები ნავთის პროდუქტების ნორმაზე ნაკლებ დახარჯვისათვის.

პრემიების ფონდი იქნება ხარჯთ-აღრიცხვით სახარჯოთ გათვალისწინებული ნავთ-პროდუქტების ღირებულების 5 პროცენტის გადარიცხვიდან.

ბრძოლა შემთხვევებთან

ვინაიდან შემთხვევების უმეტესი ნაწილი ხდება მატარებლების ისრებზე გატარების დროს, ა.-კ. რკ. გზების მმართველობის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლითაც ყველა სადგურის უფროსებს ევალებათ სასტიკად ადევნონ თვალყური: თანამშრომლების, მეისრეების, მატარებლის შემადგენლობის და სხვა მოსამსახურეების მიერ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას. უბნის უფროსებს ევალებათ უშუალოდ ადევნონ თვალყური ისრების მდგომარეობას.

ბრძოლა ბარგის ძარცვასთან

ვინაიდან ა.-კ. რკინისგზების მმართველობის მიერ ბარგის ძარცვის წინააღმდეგ და ბარგის წესიერად გადაზიდვისათვის მიღებულმა პრაქტიკულმა ღონისძიებებმა ვერ გამოიღეს სასურველი ნაყოფი, მმართველობამ წინადადება მისცა სამმართველოს ყველა განყოფილებებს, არ დანიშნონ სალიანდაგო აგენტების თანამდებობაზე გამოუცდელი პირები და ასეთები მიიღონ მხოლოდ ყოველმხრივი გამოცდის შემდეგ.

ბრძოლა უყაირათობასთან

გაზაფხულზე გზების დათვალიერებამ დაამტკიცა მოძრაობის დარგის აგენტების მხრივ უყურადღებობა სასადგურო ხელსაწყოებისადმი. ასეთ მოვლენის აღმოსაფხვრელად ა.-კ. რკ. გზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, იმ აგენტებს, რომელთაც შენიშნავენ ასეთ დაუდევრობაში სასტიკად დააჯარიმებენ.

მუშათა ცხოვრება

სწავლობენ და მუშაობენ.

(კამოს სახელ. ფაბრიკა-ქარხნის სახელოსნო სკოლის ცხოვრებიდან)

კამოს სახელობაზე საქარხნო-სახელოსნო სკოლაში სწავლობენ 260 მოწაფე. ამ სახელოსნოს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ სწავლობენ მომავალი ახალი ხელოსნები.

სახელოსნო მოწყობილია საჭირო იარაღებით და თუ რომელიმე ხელსაწყო იარაღი დაზიანდება, მას თვით მოწაფეები აკეთებენ. ხელობის შესწავლა კარგად მიმდინარეობს. მოწაფეები პირველ დაწყებიდან მუშაობენ ცალ-ცალკედ, შემდეგ კი გადადიან კოლექტიური სამუშაოზე.

სახელოსნოს რკინეულობის მასალა საყოფად აქვს, მხოლოდ ხე-ტყის მასალა კი ცოტა ხელს უშლის თვისი სინედლის გამო.

სახელოსნოში სასტიკად დაცულია სანიტარული პირობები: ფანჯრებში მოწყობილია ჰაერის ამომძრავებელი ფრამუგები, სისტემატიურად სუფთავდება როგორც იატაკი, ისე კედლები და შუშებიც, სუფთად შენახულია სამუშაო დაზგები.

მოწაფეები უზრუნველყოფილ არიან ყველაფრით: ყველა მოწაფეებს უსასყიდლოდ ეძლევათ—სადილი, ვახშამი, ჩაი, ტანსაცმელები, ბინა, საექიმო დახმარება. ასე რომ თითოეული მოწაფის შენახვა ჯდება თვიურად 36 მან.

მოწაფეებს ეძლევათ წელიწადში 2 თვე შვებულება და ვინც გაემგზავრება პროვინციებში უფასო ლიტერიც.

მოწაფეები მხიარულად და ჯანმრთელად გამოიყურება.

ამ მოკლე ხანში 260 მოწაფისაგან 46-სი დაამთავრებს სკოლას და მწვავედ სდგას საკითხი მათი ქარხნებში მოთავსების შესახებ.

საჭიროა იქნეს ზომები მიღებული, რათა სწავლადამთავრებულ მოწაფეებს სამსახურში მიღების დროს ხელს არ უშლიდეს რაიმე პირობები.

მუშა ვ. სალუქვაძე.

განუსაზღვრელია ჩვენი სიხარული

ის მუშა-მოსამსახურე, რომელმაც იშრომა, რომელიმე ფაბრიკა-ქარხანაში ან დაწესებულებაში 35 წელი და მეტი და თავი იჩინა მუყაითობით, ცოდნით, ენერგით, არის შრომის გმირი.

ასეთ მოხუც მუშას, ასეთ დაუძლურებულ პირს, რომელმაც უკვე იშრომა, იმუშავა 40 წელი, წინედ გარედ ქუჩაში აგდებდენ, ულუკმაპუროთ, ბედის ამარა სტოვებდენ მაშინდელი „ხაზეინები", რადგან ის აღარავისათვის აღარ იყო საჭირო.

ძველი მიდიოდა უნუგეშოდ და ახალი-კი მრავლად მოდიოდა უიმედოდ.

დღეს გარემოება შეიცვალა.

საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომლები ბატონობენ. მშრომლები ქმნიან კანონებს.

და აი ჩვენ ვკითხულობთ დღეს, რომ ჩვენმა საკანონმდებლო ორგანოებმა შეიმუშავეს და გამოსცეს კანონი შრომის გმირების შესახებ და ანიჭებენ მოხუც-დამსახურებულ მუშებს სხვა და სხვა უპირატესობას.

შრომის გმირებს არჩევს და არდგენს დასამტკიცებლად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები. შეუძლიან პარტიულ და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებებსაც წარადგინონ დამსახურებული მუშები ამ საპატიო სახელწოდების მისაღებად.

მარტო საპატიო სახელით აქ საქმე არ თავდება არამედ პირველყოვლისა შრომის გმირებს ენიჭებათ ყველა ის შეღავათ-უპირატესობანი, რითაც სარგებლობენ წითელარმიელები.

ამას გარდა, შრომის გმირები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო, საშემოსავლო გადასახადისაგან და თავისი პირადი საწარმოო გადასახადისაგან.

ის სახლები, საცა ცხოვრობენ შრომის გმირები, თავისუფალია გადასახადებისაგან.

ენიჭებათ დიდი შეღავათები საოჯახო საჭიროებისათვის სხვადასხვა ნივთების გადატან-გადმოტანაში.

დიდ ყურადღებას აქცევს კანონი შრომის გმირებისათვის პენსიის დანიშვნის საქმეს.

შრომის გმირებს ენიშნება პენსია იმ შემოსავლის რაოდენობით რაც მას ქონდა პენსიის დანიშვნის დღეს, მიუხედავად მისი ქონებრივი მდგომარეობისა და დაკარგული აქვს თუ არა მას შრომის უნარი.

ის შრომის გმირები, რომლებიც კიდევ განაგრძობენ მუშაობას—თავის ჯამაგირს გარდა მიიღებენ პენსიის ნახევარს.

ახალი კანონი წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს შეიმუშაონ კიდევ ზედმეტი უფლება-უპირატესობანი, რომლებიც ადგილობრივ უნდა მიენიჭოს შრომის გმირებს და მრავალი სხვა...

ეს ახალი კანონი დღემდე ისტორიისათვის უცნობი მოვლენაა.

მისი ცხოვრებაში გატარება შეუძლია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას. იგი აორკეცებს ჩვენი შრომის უნარიანობას; განუსაზღვრელია ჩვენი სიხარული და მტკიცეა ჩვენი ნებისყოფა მუშურ-გლეხური სახელმწიფოთა ასაღორძინებლად ეკონომიურად და კულტურულად.

გაუმარჯოს შრომის სამყაროს და მის კანონმდებლებს!

ძველი მუშა ს. დოლიძე.

საზაფხულო ფართლეულის ნისია გაცემა

ზაფხული უკვე დადგა. დგება სიცხეები. მუშა-მოსამსახურეებს ესაჭიროებათ საზაფხულო ფართლეული, მაგრამ მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა საზაფხულო ფართლეული მუშა-მოსამსახურეთ არ მიეცეთ ნისიად იმის მომიზეზებით, რომ მუშკოოპს ნისიად აქვს გაცემული 200 ათას მანეთის საქონელი.

ეს გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, მუშებს ნისიად უნდა მიეცეთ საზაფხულო ფართლეული.

გ.

შენიშვნები

შრომის დაცვას ხელისუფლება აქცევს უდიდეს ყურადღებას. ამისათვის არსებობენ შრომის სასამართლო, პროფკავშირები, პროფუჯრედები და შრომის დაცვის კომისიები. მიუხედავად ამისა, შრომის დაცვის საკითხები დღესაც არ არის სათანადოთ მოგვარებული. წამოწყება-დაწესებულებებში ხშირია ზედმეტი საათების, კვირა-უქმე დღეებში მუშაობა; სხვადასხვა სამუშაოებით მომუშავის დატვირთვა, სამუშაო ბინის, ხელსაწყო იარაღის ტეხნიკური მოუწყობლობა; სამუშაო ადგილის ანტისანიტარული მდგომარეობა და სხვადასხვა. ეს ყველაფერი საშინლად ანადგურებს ჩვენი მუშების ჯანმრთელობას; ისინი ადრე ინვალიდდებიან, აცდენენ სამუშაო დღეებს ავადმყოფობის გამო, რის გამო ფერხდება ჩვენი წარმოების აღორძინების საქმე.

ვინ არის ამაში დამნაშავე? უპირველეს ყოვლისა, ამაში დამნაშავენი არიან თვით მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც შრომის ხელფასის გადიდების მიზნით კისრულობენ სხვადასხვა სამუშაოებს, იღებენ კომპენსაციას გამოუყენებელ შვებულებისათვის; არღვევენ დასვენების დღეებს და სხვადასხვა. ამაში დიდი დანაშაული მიუძღვით ადგილობრივ შრომის დაცვის კომისიებსაც, რომელნიც შესდგებიან თვით მუშებისაგან და მაინც ველარ იჩენენ საჭირო გამბედაობას, ცოდნა-გამოცდილებას და მუშათა ჯანმრთელობაზე სათანადო მზრუნველობას და არ ებრძვიან ამ უბედურებას.

შრომის ინსპექციაც დამნაშავეა ამ საკითხის მოუწესრიგებლობაში. იგი, სამწუხაროდ, ვერ იჩენს საკმაო ცოდნა-მახვილობას, გამბედაობას და ობიექტივობას შრომის კანონმდებლობის მთლიანად ცხოვრებაში გასატარებლად.

აუცილებლად საჭიროა, შრომის სახკომატმა და უმაღლესმა პროფორგანოებმა მთელი ძალღონით აამოძრაონ და აამოქმედონ ყველა მათ ქვემდგომ შრომის დაცვის ორგანოები შრომის კანონთა დამრღვეველების წინააღმდეგ, იმის და მიუხედავად ადმინისტრატორები სჩადიან ამას, თუ მუშები.

გ.

პაპიროსის ფაბრიკა № 1-ში

აქ მუშების რიცხვი უდრის 328. მათში საწარმოო განყოფილებაში მუშაობს 301 კაცი. მოწაფეთა პერსონალში—10.

ყველა ამათში მამა-კაცია 127, დედა-კაცი 235; მოზარდი 22. მუშები ხელფასს იღებენ მეექვსე თანრიგით თვიურად 41 მან. საშუალოდ ხელფასს მუშები იღებენ დროზე.

ამ უკანასკნელ თვეში მიღებულია 5 საგილზო მანქანა.

პაპიროსების სატენ განყოფილებაში ადგილის სივიწროვის გამო მანქანების დადგმა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ამ განყოფილების გაფართოება.

ადგილის სივიწროვე წარმოებას აფერხებს.

არ ვარგა გილზის ქაღალდიც, რომელიც აფუჭებს მანქანას; პაპიროსის საბანდეროლო განყოფილებაში ათ ცალიან საბჭოთა პაპიროსებზე დაწესებულია გამომუშავების დიდი ნორმა. მის გამომუშავებას მუშები განსაზღვრულ დროზე ვერ ასწრებენ.

საერთოდ, ამ ფაბრიკაში უნდა იქნას გადასინჯული გამომუშავების ნორმა.

მუშკორი ფ. სიდამონიძე.

აქ რაღაც გაუგებრობაა

ლენინის რაიონში (ნაძალადევში) სახლის პატრონები თითქმის სულ მუშებია. ამათი სახლები შესდგება უმეტესად ერთი—ოთახისაგან.

თითქმის ყოველ სახლს აქვს რამდენიმე საჟენი თავისუფალი ალაგი. ამ ალაგზე სახლის პატრონი რგავს თითო-ოროლა ხეს, ყვავილს თუ მწვანილს. ხეხილ-მწვანეულობით სარგებლობს ოჯახის საჭიროებისათვის და ქარხანაში მუშაობის შემდეგ თავს იქცევს ბაღ-ბოსტანში, მუშაობს სუფთა ჰაერზე. ასეთი ბაღ-ბოსტანი მეტად სასურველი და თან სარგებლობის მომტანია.

რომელ მუშასაც ასეთი ბაღი არ აქვს მას ხშირად დუქან-რესტორანი იზიდავს. აქ ატარებს ის თავისუფალ დროს, აძლევს მედუქნეს „გადასახადს", აკლებს სასმელ-საჭმელს თავის ცოლ-შვილს.

სამართლიანი და მიზანშეწონილი იქნება აღმასკომმა ხელი შეუწყოს, ყველა მუშას ქონდეს ასეთი პატარა ბაღი, ან ბოსტანი, სადაც ის ქარხანაში მუშაობს შემდეგ და კვირა-უქმეებში თავს შეიქცევს, დაისვენებს. აშკარაა ხელი უნდა შეუწყოთ ვისაც ასეთი ბაღი უკვე აქვთ.

როგორაა ამ მხრივ საქმე ჩვენს მუშათა უბნებში?

ამ დღეებში ჩამოიარეს ხსენებული რაიონი—წყლის კონტროლიორებმა და განუცხადეს მცხოვრებთ: უნდა დავთვალოთ რამდენი ძირი ხეხილი, რამდენი ძირი ვარდი, ან პამიდორი გიდგათ ეზოში და ამათ მორწყვისათვის ცალკე გადაგხდებათ წყლის ფული უშეღავათოდ.

ეს მცხოვრებლებში იწვევს უკმაყოფილებას, ისინი წყლის ფულს იხდიან ერთხელ. და მეორეჯერ არ გადაიხდიან.

არა გვგონია ამ კონტროლიორებს ქონდეთ ქალაქის აღმასკომისაგან ასეთი დავალება-განკარგულება. თვით ქალაქი წყალს-კი არა ფულსაც არ იშურებს გაალამაზოს და გაამშვენიეროს ქუჩები.

არ გვჯერა აღმასკომმა დაწესებული შეღავათი წყალზე მუშებს მოუსპოს. ჩვენი აზრით, აქ თვით კონტროლიორები ან შეცდომაში არიან, ან ამლაშებენ, აჭარბებენ ხალხს აშინებენ, გულს უტეხავენ და ასე ხეხილ-ყვავილების დარგვაზე ხელს აღებინებენ.

მუშა ჭალარა.

უნივერსიტეტის ლაბორატორიის მუშაობა

თბილისის სახელ. უნივერ. პოლიტეხ. ფაკულტეტი არსებობს მასალათა გამოცდის და მიღების ლაბორატორია, რომელიც ემსახურება მთელ ამიერ-კავკასიას. აქ თქვენ დაინახავთ სხვადასხვა მანქანებს. აქ სტუდენტები მუშაობენ დიდი ხალისით, იძენენ ცოდნას პრაქტიკულად, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს სტუდენტებისათვის. სტუდენტების მუშაობა მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ერთი ჯგუფი ბეტონის „კუბებს" აკეთებს, მეორე მარტენის მანქანაზე მუშაობს, მესამე ცემენტის შეკავშირებას ეცნობა „ვიკის ნემსით" და სხვა.

იქვე სდგას ასისტენტი ამხ. ჯავახიშვილი და სტუდენტებს აძლევს რჩევა-დარიგებას, თუ როგორ მოიქცენ მანქანებზედ.

კარგი იქნება ასეთ ლაბარატორიუმები ბევრი მოეწყოს, რათა ახალგაზრდობამ (მომავალ ინჟენერებმა) ადრე და კარგად შეითვისოს პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება. ამ ლაბარატორიუმის ჩაბარების შემდეგ უკვე სტუდენტებს კარგად ელოდინება მასალის მიღება და გამოცდა.

მუშკორი გოგუაშვილი.

ბინის კრიზისი რკინის გზებში

რკინისგზელები უბინაობის გამო განიცდიან დიდ კრიზისს. ბევრი მათგანი ცხოვრობს ვაგონებში. ბინებად გამოყენებული ვაგონების რიცხვი აღემატება ათასს. ვაგონებში ცხოვრება ჯანმრთელობისათვის დიდად საზიანოა. საზარალოა იგი აგრეთვე სახელმწიფოსათვისაც.

საჭიროა ახალი საცხოვრებელი სახლების აგება და ვაგონების განთავისუფლება სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

გაშ.

ფიზკულტურა ზაფხულში.

საზაფხულო სეზონში ფიზკულტურის დარგში მუშაობა განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ზაფხულში საერთოდ შემჩნეულია ფიზ. წრეების მუშაობის შენელება, ვინაიდან წევრებს ეძნელებათ მეცადინეობაზე სიარული.

საბჭოთა მუშაკების კავშირმა დაუგზავნა ადგილებს ცირკულიარული მიმართვა, რომლითაც ცნობილია მიზანშეწონილად წრეებში სექციურ მეთოდებზე გადასვლა, რომლის მიხედვითაც წევრებს საშუალება ეძლევათ მათი სურვილის მიხედვით თავისუფალი ვარჯიშის.

მთავარ სექციებად მიჩნეულია: 1) ფეხბურთი და ბოსტე-ბოლი, 2) მსუბუქი ატლეტიკა, 3) ცურაობა და ნაოსნობა, 4) სასროლი სპორტი, 5) ველოსიპედის სექცია და 6) ჭადრაკის სექცია. ყველა ეს ვარჯიშობა გარედ უნდა სწარმოებდეს.

გარდა ამ სექციების ფიზკულტურაში მასის ჩასაბმელად, კავშირს აუცილებლად მიაჩნია მასიური მუშაობის ჩატარება ფიზკულტურის გარშემო, ფიზკულტურისათვის აგიტაციის გაწევა, დღესასწაულების მოწყობა მოედნებზე და სხვ.

ამ მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული კომისიის ან ორგანიზატორის გამოყოფა.

პროფკორი.

გამოუგზავნილი წერილებიდან

— **სამტრედიის საწარმოო თათბირი მუშაობს.** სამტრედიის დეპოში არსებობს საწარმოო თათბირი, სადაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ მუშა-მოსამსახურენი. საწარმოო თათბირმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება უთავბოლო ხარჯების შემცირებას. ამის შესახებ კიდეც იქნა გამოტანილი რამოდენიმე დადგენილება. დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შემდეგ წარმოებას მიეცა 533 მანეთამდე თვიური მოგება.

საჭიროა სხვაგანაც ამოქმედდენ საწარმოო თათბირები.

მუშკორი კარგი.

— **სამუშაო დღეების გაცდენა დანაშაულია.** რკინისგზელები, როგორც ვიცით, იღებენ სასურსათო ბილეთებს და კვირა-უქმე დღეებში მიემგზავრებიან პროვინციებში სურსათის შესაძენად. სამწუხაროდ მუშა-მატარებლების მიმოსვლა არ არის დაყენებული წესიერად (განსაკუთრებით კახეთის ხაზზე). აქედან მუშა-მატარებლები თბილისში ჩამოდიან ძალიან დაგვიანებით. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მუშები და მოსამსახურეები ან იგვიანებენ ან და სრულებით არ ცხადდებიან სამსახურზე.

ეს კი დაუშვებელია.

მუშკორი ქუხი.

— **შემფასკომები სუსტად მუშაობენ.** თითქმის ყველასათვის უდავოა, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები მუშაობენ სუსტად—საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით ეს ითქმის განათლების მუშაკებზე. აქ შემფასკომების მუშაობა პირდაპირ დამაფიქრებელია განსაკუთრებით მაზრებში. შემფასკომები ხშირად ითვისებენ ადმინისტრატიულ ფუნქციებს ან და ადმინისტრაციის სალაქიო ორგანოები ხდებიან.

განათლების მუშაკთა კავშირი ვალდებულია ბოლო მოუღოს ამ არა ნორმალურ მოვლენას.

მუშათა ქრონიკა

1-ლ თამბაქოს ფაბრიკაში

— **სალაროს მუშაობა.** პირველი თამბაქოს ფაბრიკის მუშებისაგან სალაროში შემოვიდა უმუშევართა სასარგებლოდ 169 მან. 20 კაპეიკი. აქედან უმუშევრებს ეძლევათ ყოველთვიური დახმარება.

— **დასასვენებელი სახლის სასარგებლოდ.** პირველი თამბაქოს ქარხნის მუშებმა გამართეს კვირეული. შემოვიდა 729 მან. 62 კაპეიკი. ეს თანხა გადაიდო დასასვენებელ სახლის სასარგებლოდ.

— **საწევრო გადასახადი.** მუშა-მოსამსახურეებისაგან პირველი თამბაქოს ქარხკომის სალაროში ერთი წლის განმავლობაში შემოვიდა 3.851 მან. 90 კაპეიკი. საწევრო გადასახადს მუშები წესიერად იხდიან.

— **კულტ-ფონდის ანარიცხები.** პირველი თამბაქოს ქარხკომის სალაროში ერთი წლის განმავლობაში შემოვიდა კულტ-ფონდის ფული 4.525 მან. 20 კაპეიკი; აქედან ქარხკომის კანცელარიის და ქარხკომის საჭიროებისათვის დახარჯულია 2.612 მანეთი და კულტ-მუშაობის საჭიროებისათვის კი წითელი კუთხის მოსაწყობად 319 მანეთი 17 კაპეიკი.

პროფკავშირებში

საჭირო განმარტება

ზოგიერთ გაზეთებში არ არის სისწორით გადმოცემული ის რეზოლიუცია, რომელიც გამოიტანა განათლების მუშ. კავშირის პლენუმმა 5 ივნისის სხდომაზე ამხ. კვიცარიძის და მინასის მოხსენების გარშემო.

გარდა იმისა, რომ 80 მუხლიანი რეზოლიუცია არის უაღრესად შემოკლებული, მისთვის მოუცილებიათ თავი, სადაც „პლენუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამგეობის მიერ გადადგმულია ნაბიჯები შენიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მოუწოდებს გამგეობას განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით".

ცხადია, რომ ამ ადგილის გამოტოვება ცვლის რეზოლიუციის კილოს და ქმნის სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას.

ისიც საჭიროა აღინიშნოს, რომ კვიცარიძის მოხსენება შეეხებოდა გამგეობის უკანასკნელ სამი თვის მუშაობას, რომლის წარმატებაზე ლაპარაკობს პლენუმის რეზოლიუცია.

განათლების მუშ. კავშირის ც. გ.

ჭიათურის სამპროფბიუროში

ჭიათურის (შორაპნის) სამპროფბიუროს გამგეობის სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ამხ. ა. თოდრიამ (სამპროფბიუროს მდივანმა) განათლების მუშაკთა კავშირის შორაპნის სამაზრო განყოფილების საქმიანობაზე, მან აღნიშნა, რომ კავშირის გამგეობის სხდომები არ ხდება წესიერად, რაც თავისთავად ცხადია, დასახულ მუშაობას აფერხებს. გამგეობის წევრების მეტი წილი მაზრაში იმყოფება და მათი მოწვევა სხდომებზე ხარჯებს იწვევს. შემდეგისათვის მათი მოწვევა საჭირო არაა და გამგეობის სხდომა კანონიერად უნდა ჩაითვალოს, თუკი მაზე წევრთა სამი მეოთხედი დაესწრო. მომხსენებელმა და მთელმა გამგეობამაც, აღნიშნეს განათლების მუშაკთა კორბიუროსა და ჭიათურის ადგილკომების მუშაობის სისუსტე. შემთხვევებია, რომ ადმინისტრაციისა და კავშირის შორის მომხდარი უთანხმოებანი ირჩევიან წევრთა საერთო კრებებზე. მომხსენებელმა ეს დაუშვებლათ სცნო და საჭიროდ მიიჩნია, რომ დავა გაირჩეს შემფ.-საკონფ. კომისიების სხდომებზე. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშათა ფრაქციის მიერ გადაუჭრელი სადაო საკითხები საჭიროა გადატანილი იქნეს მომრიგებელ კამერაში და შრომის სასამართლოში, ოღონდ სამისო მასალები წინასწარ უნდა დაგროვდეს, რომ მუშათა ფრაქციამ საქმე ასე არ წააგოს.

ზოგიერთ ადგილკომების ხელმძღვანელები ადმინისტრაციის უფლებებში ერევიან. არის შემთხვევები, რომ მომუშავეს ისინი გაფრთხილებას აძლევენ, აჯარიმებენ და სხვა. სამპროფბიურომ ასეთი მოქცევა ადგილკომების მხრივ ყოვლად დაუშვებლად სცნო.

კავშირების თავმჯდომარენი ხანდახან მაზრაში მიდიან, როცა ეს ძალიან საჭიროებას არ მოითხოვს, რაც უნაყოფო ხარჯებს იწვევს. მომხსენებლის აზრით, შორაპნის მაზრის ფარგლებში არსებულმა სამაზრო კავშირების გამგეობამ წინასწარ უნდა განიხილოს მივლინების საკითხები და თუ საჭირო იქნება, იმ შემთხვევაში უნდა მიდიოდენ მივლინებაში. მივლინებიდან დაბრუნებისას კი უეჭველად უნდა ჩააბაროს გამგეობას წერილობითი და ფინანსიური ანგარიშები.

განათლების მუშაკთა შორაპნის სამაზრო განყოფილებამ უკანონოდ გასცა თანხები, კულტფონდს ხარჯთ-აღრიცხვის წესით არ ხარჯავს. არა აქვს შედგენილი საურთიერთო დამხმარე სალაროს ბალანსები და სხვ.

სამპროფბიუროს გამგეობის წევრებმა იმსჯელეს ამხ. თოდრიას მოხსენების გარშემო და წინადადება მისცეს განათლების მუშაკთა შორაპნის სამაზრო განყოფილებას სასწრაფოდ გამოასწოროს შემჩნეული ნაკლულოვანებანი.

ევ.—ლი.

პროფმუშაობის გადარჩევის გამო

ამ ექვსი თვის წინედ პროფუჯრედების საკავშირო მასასთან დაახლოვების მიზნით მოხდა რაიადგილკომების რეორგანიზაცია-დეცენტრალიზაცია. მოზრდილი რაიადგილკომები დაყოფილ იქნა რამოდენიმე ადგილკომად. თითქმის ყოველ დაწესებულებაში, სადაც ირიცხება 25 მუშა-მოსამსახურემდე, დაარსებულ იქნა ადგილკომი. ამგვარად, საკავშირო მუშაობაში ჩაბმული იქნა მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი. ადგილკომი დაუახლოვდა მასას და გვეგონა, რომ ეს გარემოება მოგვიტანდა დიდ ნაყოფს საკავშირო მუშაობის გამოცოცხლება-განმტკიცებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი იმედები სავსებით ვერ გამართლდა და საკავშირო მუშაობა ჩვენი დეცენტრალიზაცია ქმნილი ადგილკომებისა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზებია შემდეგი: 1) სათანადოთ მომზადებულ პროფმუშაკების უყოლობა და 2) ის გარემოება, რომ ადგილკომებს არ ჰყავთ განთავისუფლებულნი მომუშავენი (ადგილკომების პ/მდივნები მუშაობენ შეთავსებით, სხვათა შორის, რადგანაც მათთვის კუთვნილი ხელფასის მიცემა შეუძლებელი ხდება საჭირო თანხების უქონლობის გამო). ამიტომ ადგილკომების ხელახალი გადარჩევის დროს ყველა ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და ზოგიერთი სუსტი და პატარა ადგილკომები ხელმეორედ უნდა იქნენ გაერთიანებული და მათ უნდა მიეცეთ განთავისუფლებული მომუშავენი.

წკიპურტი.

უთავბოლო ხარჯებს ბოლო უნდა მოეღოს.

ზოგიერთ ჩვენ პროფკავშირების საქმიანობაში შემჩნეულია სხვათა შორის ერთი დაუშვებელი მოვლენა, რომელიც გამოიხატება საკავშირო თანხების უგეგმო და უთავბოლო ხარჯვაში, რაც იწვევს კავშირების დავალიანებას და საკავშირო მუშაობის შესუსტებას. როგორც ვიცით, ზოგიერთ კავშირების ცენტრ. გამგეობათა დავალიანება უდრის 20.000 მან. და მეტსაც. ასეთ საგრძნობ თანხის გადახდა და მასთან ერთად საკავშირო მუშაობის ნორმალური წარმოება შეუძლებელი ხდება; საკლუბო და საერთოდ კულტმუშაობა ჩვენი პროფკავშირების ამის გამო ძალზე მოისუსტებს. ეს გარემოება საკავშირო მასაში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას ზოგიერთ კავშირების ც. გ-სადმი.

ამ არანორმალურ მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა პროფკავშირთა საბჭომ მიიღოს გადამჭრელი ზომები: მოსთხოვოს ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს მტკიცე ბიუჯეტის და ხარჯთაღრიცხვის შექმნა, ცენტრალური აპარატის გამარტივება-შემცირება; ც. გ-ში მომუშავეთა ხელფასის გადასინჯვა, უთავბოლო და მიზანშეუწონელი მივლინებების აკრძალვა და სხ. ამასთან ერთად უნდა გაეწიოს კონტროლი და მუდმივი ხელმძღვანელობა პროფკავშირთა საბჭოს მიერ ჩვენი პროფკავშირების ფინანსიურ ოპერაციებს.

პროფმუშაკი.

პროფმუშაობის ქრონიკა

ამხ. უსტიაშვილის დანიშვნა

რკინისგზელთა მე-6-ე ყრილობამ ა.-კ. რკ. გზების პროფკავშირის სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგეთ აირჩია ამხ. უსტიაშვილი, ყოფ. გამგე ამხ. ასლანოვი ამ თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა.

ფოთის პროფბიუროში

— **გაზეთ „მუშა"-ს გასავრცელებლათ.** ფოთის საქალაქო პროფბიურომ დაადგინა ხელი შეუწყოს გაზ. „მუშა"-ს გავრცელებას კავშირის წევრებს შორის.

— **საზღვაო სპორტი.** ფოთის სამპროფბიუროსთან არსებულმა ფიზკულტურის ბიურომ გადასწყვიტა მოაწყოს საზღვაო სპორტი.

— **ექსკურსიები.** ახლო მომავალში ფოთის პროფბიურო მოაწყობს მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიებს სხვადასხვა ადგილებში.

ბორჯომის საქალაქო პროფბიუროში

— **კულტმუშაობის გამოსაცოცხლებლად.** ბორჯომის საქალაქო პროფბიუროსთან არსებულმა კულტკომისიამ შეიმუშავა გეგმა მუშის ქარხანაში, ლიმანში და სხვა ადგილებზე კულტმუშაობის წარმოების შესახებ. ამ საქმისათვის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცდა.

— **საექსკურსიო ბიურო.** ბორჯომის საქალაქო პროფბიუროსთან დაარსდა საექსკურსიო ბიურო.

ინჟ. ყიფიანის გამოგონება

ტყიბულის ქვანახშირის თვისებ ის გაუმჯობესების საკითხი გადაჭრილია.—დიდი ქარხნის ნაც ვლად, რომელიც 250,000 მარკა დაჯდებოდა — უბრალო მოწყ ობილობა. — ყოველწლიური ეკონომია—52.000 მანეთი

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განიხილა ტყიბულის ქვანახშირის თვისების გაუმჯობესების საკითხი.

ტყიბულის მაღაროებში ამოღებული ნახშირის 30—35 და ხშირად 50 პროცენტიც წარმოადგენს ფხვნილ ნახშირს, რომელიც ძნელად ხალდება, რადგან იძლევა ნაცარს თითქმის 24 პროცენტამდე.

საქართველოს სათბობი მასალის კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო ტყიბულის ქვანახშირის თვისების გაუმჯობესების საკითხის შესასწავლად, მიზნად დაისახა ტყიბულის წვრილი ნახშირის თვისების გაუმჯობესების საკითხის გადაჭრა.

გადაწყდა ცდების მოხდენა, რისთვისაც საზღვარგარეთიდან გამოწერილ იქნა სპეციალისტი, რომელსაც წინადადება მისცეს წარმოედგინა ნახშირის თვისების გამაუმჯობესებელ ფაბრიკის აგების პროექტი.

გერმანიიდან ჩამოსულმა სპეციალისტმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა ფაბრიკის ასაგებათ 250.000 მარკის რაოდენობით.

მაგრამ საკითხი კიდევ უფრო მარტივათ გადაწყდა, რადგან ინჟინერმა ყიფიანმა გამოიგონა ახალ პრინციპზე აგებული ნახშირის სარეცხი.

ინჟინერ ყიფიანის ნახშირის სარეცხი აგებულია სხვადასხვა ხვედრითი წონის მქონე ნაწილების დაყოფის პრინციპზე.

ფაბრიკის მაგიერ, სადაც ნახშირის გამოყოფა სხვა ნაწილებიდან სწარმოებს მეტად რთული გზით, ინჟენ. ყიფიანის ნახშირის სარეცხი წარმოადგენს უბრალო ღარს, რომელზედაც ნახშირი ირეცხება წყალის საშუალებით. ქვიშის და ქვების შედარებითი სიმძიმის გამო ღარში გატარების დროს ნახშირი მიაქვს წყალს, ხოლო დანარჩენი ნაწილები რჩება ღარის ფსკერზე.

ასეთი სარეცხის აგება დაჯდა 4.000 მანეთი.

ტეხნიკურმა კომისიამ, რომელმაც დაათვალიერა ნახშირის სარეცხი, სცნო, რომ ტყიბულის ნახშირის თვისების გაუმჯობესების საკითხი გადაჭრილია და თვისების გამაუმჯობესებელი ფაბრიკის აგება საჭირო აღარ არის. კომისიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ინჟენერ ყიფიანის მიერ გამოგონებული ნახშირის თვისების გაუმჯობესების საშუალება სრულებით ორიგინალურია.

ინჟენერ ყიფიანის ნახშირის სარეცხი 6 თვეა, რაც მუშაობს და მისი მუშაობის შედეგები უკვე საკმაოდ შემოწმებულია.

ნახშირის სარეცხის მეოხებით წვრილი ნახშირის ნაცრიანობა დაყვანილია ნორმამდე ე. ი. 11—13 პროცენტამდე (უწინდელ 24 პროცენტის მაგიერ), საჭირო აღარ არის თვისების გამაუმჯობესებელი ფაბრიკის აგება (რასაც დაახლოებით 150—200.000 მანეთი მოუნდებოდა), ნახშირის გარეცხის დროს იკარგება ნახშირის მცირე რაოდენობა (2 პროცენტი), ნახშირის სარეცხს ამუშავებს მხოლოდ რამოდენიმე კაცი და ამიტომ ის იაფი ჯდება და, დაბოლოს, ნახშირის სარეცხი საფუძველს უყრის ნახშირისაგან ბრიკეტის და კოქსის დამზადების საქმეს.

გამოანგარიშებიდან გამოირკვა, რომ ნახშირის სარეცხის საშუალებით, ყოველთვიური შემოსავალი გაიზარდა 4.660 მანეთით, რაც წელიწადში შეადგენს 56.000 მანეთს. ეს 200.000 ფუთი ნახშირის გარეცხის დროს. ამოღების გადიდების შემდეგ კი ნახშირის სარეცხის მიერ მოცემული შემოსავალი სათანადოთ გაიზრდება.

საქართველოს სახ. მეურნეობის პრეზიდიუმმა დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ინჟენერ ყიფიანს დიდმნიშვნელოვან გამოგონებისათვის.

პენსიების ახალი ნორმა

დღემდე ომის და შრომის ინვალიდების პენსიების საქმე რესპუბლიკაში მოუწესრიგებელი იყო. მთავარ ნაკლს წარმოადგენდა პენსიების ერთიანი სისტემის უქონლობა. მაგალითად რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში პენსიის ნორმა მეტად სხვადასხვანაირია. ზოგან პენსიის მაქსიმუმი აღწევს 10—15 მანეთამდე, ზოგან კი არ სცილდება 2 მანეთს. ამ არანორმალურ მდგომარეობის შესაცვლელად სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ომის და შრომის ინვალიდების პენსიების ერთიანი სისტემა მთელ რესპუბლიკისათვის შემდეგი სახით:

მთელი რესპუბლიკა დაყოფილია 3 ზოლათ. **პირველ ზოლში** შედის თბილისი, ქუთაისი, ბათომი და სოხუმი. მეორე ზოლში — ფოთი, ცხინვალი და ყველა სამაზრო ქალაქები. **მეორე ზოლს** მიეკუთვნებიან სამაზრო ქალაქებში მცხოვრები ინვალიდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ არავითარი შემოსავალი არა აქვთ სოფლის მეურნეობიდან.

მესამე ზოლში შედის დაბები და სოფლები.

პირველი ზოლისთვის პენსიის ნორმათ დაწესებულია: 1-ლი ჯგუფის ომის ინვალიდებისათვის—15 მან., მე-2 ჯგუფისათვის—12 მან., მე-3-ისათვის—9 მ.

ოჯახიან შრომის ინვალიდებისათვის—9 მან. მარტოხელისათვის—6 მან.

მეორე ზოლში მოქცეულ 1-ლი ჯგუფის ომის ინვალიდებისათვის—12 მან., მე-2 ჯგუფისათვის—9 მან., მე-3 ჯგუფისათვის—6 მან.

ოჯახიან შრომის ინვალიდებისათვის—7 მან., მარტოხელისათვის—5 მან.

მესამე ზოლის 1-ლი ჯგუფის ომის ინვალიდებისათვის—9 მან., მე-2 ჯგუფისათვის—7 მან., მე-3 ჯგუფისათვის—5 მან.

ოჯახიან შრომის ინვალიდებისათვის—5 მან., მარტოხელისათვის—3 მან.

სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეიტანონ მომავალ 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ომის და შრომის ინვალიდების პენსიების თანხა ამ ახალი ნორმების მიხედვით.

სტუდენტები პრაქტიკაზე

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებას რამდენიმე თათბირი ჰქონდა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; ამ თათბირებზე ირჩეოდა საკითხი სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკაზე გაგზავნის შესახებ წარმოება-დაწესებულებებში.

თათბირის დადგენილებით წელს საზაფხულო პრაქტიკაზე საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში გაიგზავნება 200 სტუდენტი.

ასეთივე თათბირი შესდგა ამიერ-კავკასიის სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; თათბირის დადგენილებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს დაეთმო კიდევ 300 ადგილი.

საქართველოს წარმოება - დაწესებულებებში 24 ადგილი დაეთმო სხვა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს.

ადგილების განაწილება სახელმწიფო უნივერსიტეტის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის დაევალა განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობას.

არსებული კანონის მიხედვით, სტუდენტები საზაფხულო პრაქტიკის წარმოება-დაწესებულებებში იგზავნებიან ოთხი თვის ვადით; ამასთანავე ისინი იღებენ ხელფას ამა თუ იმ დაწესებულება-წარმოებისათვის დაწესებულ სატარიფო ცხრილის მეექვსე განაკვეთით.

ა/კ. კომ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გაგზავნა სოფლად.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან გამოყოფილია ყველაზე უკეთესად მომზადებული სტუდენტთა ჯგუფი, 30 კაცისაგან შემდგარი, რომელიც გაიგზავნება ამიერ-კავკასიის სოფლების სოციალ-ეკონომიურ მხარის შესასწავლად.

გამოყოფილი ჯგუფი გადის სამკვირეულ კურსს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის, გლეხობის დანაწილების და გლეხთა მეურნეობის ეკონომიკის საკითხებში.

კურსი შეფარდებულია ამიერ - კავკასიის სოფლების განსაკუთრებულ პირობებთან.

20 ივნისიდან კურსანტები გაიგზავნებიან პრაქტიკულ სამუშაოზე.

აზერბეიჯანის სოფლების შესასწავლად გაიგზავნებიან თურქები, საქართველოს სოფლების—ქართველი და სომხეთის—სომეხი სტუდენტები.

სამაზრო აღმასკომების მუშაობა

მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში (ოქტომბერი—მარტი) ს. ს. ს. რესპუბლიკის სამაზრო აღმასკომებს გამოუციათ 69 ცირკულიარი და 36 სავალდებულო დადგენილება.

აქედან სასოფლო-მეურნეობის საკითხების მოსაგვარებლად 14, ჯანმრთელობის საკითხებზე—8, გადასახადების შესახებ—12, კეთილმოწყობის საკითხებზე—5, კომუნალურ მეურნეობის შესახებ—13, წესიერების და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ—2 და სხ.

აღნიშნული ცნობებიდან სჩანს, რომ აღმშენებლობის საკითხებზე მეტი ცირკულიარები და დადგენილებებია გამოცემული, ხოლო მშვიდობიანობის და წესიერების შესახებ გამოცემულია მხოლოდ ორი ცირკულიარი.

შტატების დამტკიცება

მიწათმოქმედების კომისარიატის შტატები.

საქ. სახ. კომსაბჭომ დაამტკიცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის შტატები 1.224 კაცის რაოდენობით.

განათლების სახ. კომისარიატი: შტატები.

საქ. სახ. კომსაბჭომ დაამტკიცა განათლების სახ. კომისარიატის შტატები 3.473 კაცის რაოდენობით. დადგენილია უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის ზრდის გაძლიერება ჰუმანიტარულ სკოლათა ქსელის შემცირების ხარჯზე.

ყველა სახ. კომისარიატებსა და უწყებებს ეკრძალებათ გეოგრაფიულ ქარტების დაბეჭდვა და მათი დაბეჭდვის უფლება ეძლევა მხოლოდ განათლების სახ. კომისარიატს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მინდობილი აქვს განიხილოს საკითხი იმ დაწესებულებათა ლიკვიდაციისა, რომელნიც არსებობდნენ, მაგრამ 1925—26 წლის შტატებში ვერ მოხვდნენ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა იზრუნოს აგრეთვე განათლების სახ. კომისარიატის ახალ დაწესებულებათა გახსნისა და ბუნებრივი ზრდისათვის. დამტკიცებულ შტატების სათანადო ინსტანციებში გატარება საქ. სახ. კომ. საბჭომ მიანდო საქ. სახ. კომ. საბჭოს საშტატო კომისიას.

აფხაზეთის შტატები.

საქ. სახ. კომ. საბჭომ წინადადება მისცა აფხაზეთის სახ. კომ. საბჭოს, რათა სასწრაფოდ წარმოადგინოს აფხაზეთის სახ. კომისარიატების შტატები, რომლებიც უნდა განიხილოს საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საშტატო კომისიამ.

გაერთიანებულ სახკომატების შტატები.

საქ. სახ. კომ. საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ საშტატო კომისიას—განიხილოს აგრეთვე გაერთიანებულ სახ. კომისარიატების შტატები. ამავე დროს წინადადება მიეცა გაერთიანებულ სახ. კომისარიატებს—შეუთანხმონ თავიანთი შტატები ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს.

გლეხების ექსკურსია.

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწ.-მოქ. კომისარიატის წინაშე მისცენ მაზრას დამატებითი 34 ადგილი სას.-სამ. გამოფენაზე ექსკურსანტ-გლეხების გასაგზავნათ.

ექსკურსანტ-გლეხების მოსაგროვებლად, ასარჩევათ და მათ სახელმძღვანელოთ არჩეულია ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე მოახდინოს შემოწმება იმ მანქანებას, რომლებიც გამოსადეგი იქნება ახალქალაქის მაზრის პირობებში.

ექსკურსანტების სიაში პირველყოვლისა მიღებულ იქნებიან ის გლეხები, რომლებმაც თავის დროზე შეიტანეს სას.-სამ. გადასახადი და სხვა საზოგადო მოვალეობებსაც პირნათლად ასრულებდნენ.

სახ. კომისართა საბჭოში

აჭარისტანის შტატები

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის 1926—27 საბიუჯეტო წლის ცაკისა, სახალხო კომისართა საბჭოსა და სახალხო კომისარიატების შტატები შემდეგი სახით:

ცაკ-ის 6 კ., სახკომსაბჭოსი 34 კ. (მომატებულია 3 კაცი), შინსახკომის 42 კ., იუსტიციის 41 კ., სოც. უზრუნველყოფის 6 კ., მიწსახკომის 87 კ., ჯანსახკომის 179 კ., ბათომის სამალარიო სადგურის 7 კ., განათლების სახ. კომისარიატის შტატი ჯერ არაა დამტკიცებული.

სამხრეთ-ოსეთის შტატები

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის შტატები დამტკიცებულია შემდეგი სახით: ცაკის 11 კ.; შინსახკომის 11 კ., მიწსახკომის 61 კ., იუსტიციის 21 კ., სოციალურ უზრუნველყოფის 3 კ., განათლების 53 კ., ჯანსახკომის—69 კ.

შტატების გატარება სათანადო უწყებებში დაევალა სახკომსაბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიას.

პრაქტიკანტ-სტუდენტების შესახებ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მისცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიწსახკომის 26—27 წ. ბიუჯეტის ანგარიშში 2.500 მანეთი პრაქტიკანტ-სტუდენტების შესანახად საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

მუშკოოპის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ მუშკოოპმა ბამბეულ მანუფაქტურას დაადვა მეტი ფასი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამიერ - კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ სამისოდ შემუშავებულ ინსტრუქციაში.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა წინადადება მისცეს მუშკოოპის გამგეობას, რომ ფასების დადების საკითხში მტკიცეთ იქნეს დაცული არსებული წესები.

ამავე დროს კოლეგიამ დაადგინა საყვედური გამოუცხადოს მუშკოოპის მთავარი საწყობის მონაგარიშეს.

მცურავი გამოფენა

ოსმალეთის მცურავი გამოფენის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატაში აცნობეს შემდეგი:

— ოსმალეთის მცურავი გამოფენა უკვე მზად არის და ახლო ხანში დაიწყება მისი მოგზაურობა ევროპის ნავთსადგურებში. საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებიდან გამოფენა ესტუმრება ლენინგრადს, ოდესას, ბათომს და ნოვოროსიისკს.

ოსმალეთის მცურავ გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სპეციალური კულტურების, ისე მრეწველობის ექსპონატები. სოფლის მეურნეობის დარგიდან გამოფენილია თამბაქო, ადანის და სმირნის ბამბის, ლეღვის და ყურძნის, ოპიუმის და მატყლის ექსპონატები, მრეწველობის დარგიდან—ხალიჩები, აბრეშუმი და შინამრეწველობის ნაწარმოები. ცალკე იქნება გამოფენილი სხვადასხვა მადნეულობის ექსპონატები—ხრომი, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, რკინა, ნახშირი და სხვა.

გამოფენას მიჰყვება ოსმალეთის ერთ-ერთი ცნობილი ეკონომისტი რეუფ-ბეი, რომლის რედაქტორობით სხვადასხვა ენებზე გამოცემულია ვრცელი ნაშრომი ოსმალეთის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

იმ გემზე, რომელზედაც მოთავსებულია ოსმალეთის მცურავი გამოფენა, ოსმალეთის ცნობილ ბანკს — „იშ-ბანკასი“-ს გახსნილი აქვს განყოფილება, რომელიც აწარმოებს გამოფენასთან დაკავშირებული ყოველგვარ ოპერაციებს.

ოსმალეთის მცურავ გამოფენაზე მოთავსებულია 1.500.000 ლირის საქონელი; განზრახულია ყველა ეს საქონელი გასაღებული იქნეს ევროპის ნავთსადგურებში და საბჭოთა კავშირში.

გამოფენის შესახვედრათ ემზადებიან ლენინგრადის და ოდესის სავაჭრო პალატები. ლენინგრადს განზრახული აქვს სტუმრებისათვის მოაწყოს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ექსპონატების გამოფენა. უმთავრესად გამოფენილი იქნება ჩვენი ლითონის და ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობის ნიმუშები, რამდენადაც ოსმალეთი დაინტერესებულია შექმნას საკუთარი ლითონის დამმუშავებელი და ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობა.

გამოფენის შესახვედრათ ემზადება ა. კავკასიის აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატაც. მცურავი გამოფენის მოსვლა ბათომში მოსალოდნელია მიმდინარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში.

ჯარიმები

ვინაიდან ჩვენს მაზრებში ხშირად აქვს ადგილი შრომის კანონების და განკარგულებების დარღვევას, ხოლო დამნაშავენი კი ხშირათ დაუსჯელი რჩებიან, შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა ამიერიდან ფხიზლათ ადევნოს თვალყური შრომის წესების დაცვას ადგილებზე.

ამ მიზნით კომისარიატი იმუშავებს ცირკულიარს მაზრებში დასაგზავნათ.

შრომის კანონების და წესების დამრღვევი პირი დაისჯება: თავისუფლების აღკვეთით 2 თვემდე, იძულებითი მუშაობით და ან ფულადი ჯარიმის გადახდევინებით 100 მანეთამდე.

ქრონიკა

ს. მ. უ. ს. წარმომადგენლობა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო თავის კანტორებს ხსნის სოხუმში და ხარკოვში. კანტორები არსდება ტრესტების პროდუქციის (თამბაქო, არაყი, კონიაკი, ღვინო და სხვა) გასასაღებლათ.

ინგლისის მუშების სასარგებლოთ

საქართველოს პროფსაბჭომ დღემდე მიიღო ს. ს. ს. რ-ის კავშირების წევრთაგან გაფიცულ ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოდ სულ 29.165 მან. 96 კაპ.

ქარხნები ახალციხეში

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭომ ნება დართო მოქ. ზერსუდსკის, რომ მან მოაწყოს ახალციხეში ხილის გახმობისა და სახამებლის ქარხნები.

წყალთა მეურნ. სამმართველოში

წყალთა მეურნეობის სამმართველოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და სპეციალიზაციის უფრო მტკიცეთ გასატარებლათ, დაინიშნენ: ტეხნიკურ განყოფილების უფროსად—**ინჟ. კოჟევნიკოვი,** საამშენებლო ნაწილის უფროსად—**ინჟ. ლეჟავა** და წყალთა სარგებლობის გამგეთ **ინჟ. ჰ. მაზრაძე.**

სხვადასხვა

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა 9 ივნისიდან უკვე შეუდგა ამ კავშირის მიერ ქ. თბილისში გაერთიანებულ დაწესებულებებსა და წამოწყებებში ჩაბმულ მომუშავეთა დიფერენციალური ხელფასის გამოკვლევას, რომელიც მიზნად ისახავს გამოარკვიოს თვითეულ პროფესიათა და სქესის მოსამსახურეთა ხელფასის სიდიდე და ამ მოსამსახურეთა ვანაწილება სამუშაო ხელფასის სიდიდის მიხედვით.

თბ. აღმასკომში

— **ელსადგურები.** თბ. აღმასკომმა მანგლისში, აბულაღში, ასურეთში და თიონეთში მოაწყო ელსადგურები, რომლებიც უკვე ამუშავდნენ.

— **გოგილოს აბანო.** თბ. აღმასკომის დადგენილებით ამ დღეებში შეუდგებიან გოგილოს აბანოს გაფართოებას.

— **ტყის კულტურის** სექციამ მოაწყო სატყეო მცენარეულობის ახალი სანერგე.

— **საავადმყოფოს გაფართოება.** აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოოს 20 საწოლით 1-ლი საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილება.

თბ. დაზღვევის სალაროში

— **ავადმყოფობის გამო** გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად მაისში სალარომ დაზღვეულებს მისცა 81.470 მან.

— **სარძეო დახმარება.** გასულ თვეში სალარომ გასცა 18.620 მან.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

— **პრაქტიკაზე.** პოლიტეხ. ფაკულ. (საინჟინერო) სტუდენტთა გაგზავნა პრაქტიკაზე უკვე დაიწყო.

— **„თეორიული მექანიკა“.** პოლიტეხ. ფაკულ. არსებულ ტეხნიკურ წრემ გამოსცა პროფ. ნ. მუსხელიშვილის შედგენილი მატემ. „თეორიული მექანიკა“-ს პირველი ნაწილი—სტატიკა.

— **პროფკომი.** მომავალ სამოსწავლო წელს პოლიტეხ. ფაკულ. დაარსდება აღმშენებელთა კავშირის პროფკომი.

სხვადასხვა

— **შეკეთება.** საბებიო გინეკოლოგიური ინსტიტუტის მესამე სართული ზაფხულის განმავლობაში დახურული იქნება შეკეთების გამო.

— **ახალი სახლი.** ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო მაჩაბლის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში თავის საჭიროებისათვის აგებს ახალ სახლს.

— **მეორე შრომის სკოლაში** (კამოს ქ. № 52) გაიხსნა მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც გაგრძელდება 20 ივნისამდის.

შემთხვევები

— **მუშფაკელების საერთო** საცხოვრებელ ბინიდან (მატერიალური ქ. № 91) იაგორ ტუგუშს მოჰპარეს 250 მან. ნივთები.

— **გაქურდული სტუმარი.** 9 ივნისს, (უდილის ქ. № 25) ძაძუასთან და ბერიშვილთან სტუმრათ ყოფნის დროს ალ. კობახიძეს მოჰპარეს ვერცხლის ქამარი.

— **„გრუზგოსტორგ“-ის** მაღაზიის (№ 2) დამლაგებელ ქალს აღმოუჩინეს მაღაზიიდან მოპარული ნივთები და შეიპყრეს.

— **გამოტყუება.** 9 ივნისს, არუთინ არაბაჯიევს უცნობმა პირმა გამოსტყუა 300 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 9 ივნისს, კონსტანტინე კობახიძის ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, სომხის ბაზარზე, სიონის საყდრის პირდაპირ კალანდაძის ეზოდან მოიპარეს წყლის საზომი.

სასამართლო

განაჩენი წითელი ჯვრის თანამშრომელთა საქმეზე

სასამართლომ ბრალდებული მიხეილ ქუთათელაძე დამნაშავედ სცნო სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობაში და მიუსაჯა მას 1 წ. წლით თავისუფლების აღკვეთა, ამნისტიის ძალით სასჯელისაგან გაანთავისუფლა. ბრალდებული მონიავა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაამართლა.

მალანიას საქმე

ორშაბათს 14 ივნისს, უზენაეს სასამართლოში გაირჩევა ნიკოლოზ **მალანიას** საქმე.

მალანიას აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 5.716 მან. გაფლანგვისათვის მისჯილი აქვს დახვრეტა.

ნოე სიხარულიძის მკვლელის საქმე

გამოძიების დასრულების შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელი **ბარამიძე** აღნიშნავს, რომ ურთმელიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე. პროკურორი მოითხოვს ბრალდებულ ურთმელიძის ს. ს. კოდექსის 146 მუხლის თანახმად დასჯას. დამცველი ამოწმებს ბრალდებულის დებულებებს და დასძენს, რომ ურთმელიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია ძლიერი სულიერი მღელვარების დროს.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

„მასწავლებელ“ კიტია

26 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა მასწავლებელ ვალერიან **კიტიას** საქმე.

კიტიას ბრალდება თავისი მოწაფის თ. დ. გაუპატიურება.

ბოტკოველის და ბაზიერაშვილის საქმე

სამშაბათს, 15 ივნისს, უზენაეს სასამართლოში გაირჩევა ვანო **ბაზიერაშვილის** და მიხეილ **ბოტკოველის** საქმე.

ბაზიერაშვილს და ბოტკოველს გაძარცვისა და თავდასხმისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი აქვთ დახვრეტა.

ძალაუფლების გადაჭარბება.

9 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **[illegible]** თავმჯდომარეობით და პროკურორ **[illegible]** მონაწილეობით სოფ. ფხვენისში (გორის მაზრა) გაარჩია სანდრო **ემხვარაშვილის,** ვლადიმერ **ნადირაძის** და შაქრო **ბაციკაძის** საქმე.

ს. ემხვარაშვილის ბრალდება ძალაუფლების გადამეტება, ხოლო ნადირაძის და ბაციკაძის—ემხვარაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

ს. ემხვარაშვილი ბოროტმოქმედების მიერ გაქურდულ იქნა. მან ეჭვი მიიტანა ადგილობრივ გლეხებზე. მილიციის ნებადაურთველად, როგორც გლეხკომის წევრმა, მან დააპატიმრა ეჭვმიტანილი გლეხები: ომიძე, მეტრეველი და [illegible]შვილი. ბევრი სცემა მათ გამოსატეხად. შემდეგ ემხვარაშვილმა აპატიმრების მონაწილეობით მოინდომა ეჭვმიტანილ პირების დაწვა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

სასამართლოში ემხვარაშვილმა და ნადირაძემ ნაწილობრივად თავი სცნეს დამნაშავედ; ბრალდებულმა ბაციკაძემ თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებული ემხვარაშვილი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, ნადირაძეს—6 თვით გამასხლში დაპატიმრება წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, ხოლო ბაციკაძე კი გაამართლა.

კ. კუციდის საქმე.

შაბათს, 12 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა კონსტანტინე **კუციდის** საქმე.

კუციდის ბრალად ედება 11.107 მანეთის მითვისება და გაფლანგვა თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის გამგედ ყოფნის დროს. აგრეთვე სხვადასხვა პირებზე ნისიათ გაუცია 12.296 მანეთის საქონელი. რევიზიის დროს წარმოადგინა 1000 მანეთის გასამართლებელი საბუთები.

აღნიშნული თანხა ბრალდებულს გაუფლანგავს 1925 წლის განმავლობაში.

ბრალდებული თვით გამოცხადდა პროკურატურაში და განაცხადა წერილობით, რომ მან პირადი პასუხისმგებლობით გასცა სხვადასხვა პირებზე 21.000 მან. საქონელი, რისი უფლება მას არ ჰქონდა. აქედან 11.461 მან. გასამართლებელი საბუთები მას მოეპოვება, ხოლო 9.539 მან. კი არა. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა 11.107 მან. გაფლანგვა.

ახალი ქუჩა

შარშან დაწყებული იქნა გზა-ტკეცილის გაყვანა ვერის ხიდიდან საქ. სამხედრო გზა-ტკეცილამდე. ამ გზის გაყვანა შარშანვე დასრულდა.

წელს კი შეუდგენ გზა-ტკეცილის სანაპირო ქუჩათ გადაკეთებას. ამისათვის, პირველ რიგში გამაგრებულ იქნება მტკვრის ნაპირები, დარგულ იქნება სანაპიროს გაყოლებით ხეები და კეთილმოწყობილ იქნება ქუჩა ყოველმხრივ.

ამჟამად სწარმოებს ნაპირის გასამაგრებლათ ქვის მასალის მიზიდვა და მიწის სამუშაოები. სამუშაოს ასრულებენ შრომის ბირჟაზე აღრიცხული უმუშევრები.

ქუჩის ჩავარდნა

ამას წინეთ მოსულ დიდი ნიაღვრების დროს, პრიუტის ქუჩაზე № 17 სახლთან ჩავარდა ქუჩა რამდენიმე საჟენის სიგრძეზე.

გუშინწინ მოსული ნიაღვრის გამო, ჩავარდნილმა ნაწილმა კიდევ უფრო ჩაიწია და იქ ცხენით გავლა შეუძლებელია. ღვარი გაიჭრა ამ ადგილიდან და აავსო ეზოში მეზობელ სარდაფები.

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება ამ დღეებში შეუდგება ქუჩის შეკეთებას.

ხელოვნება

ოპერეტის დასის მოგზაურობა

14 ივნისიდან დასავლეთ საქართველოში დაიწყება ქართველ ოპერეტკის მსახიობთა მოგზაურობა სახელმწიფო ოპერის მსახ. ლადო კავსაძის, ქეთო ანდრონიკაშვილის, აბაზაძის, უიაიძის და ჩაგუნავას მონაწილეობით. პირველი წარმოდგენა გაიმართება ფოთს—15 ივნისს, ქუთაისს—16, ოზურგეთს—17, ბათომს—18, ზესტაფონს—19, ჭიათურას—20.

პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში.

ხვალ, შაბათს, 12 ივნისს საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

მუშა მწერალთა საყურადღებოდ

მუშა მწერალთა წრე იკრებს ხელოვნების სასახლეში, შაბათს, 12 ივნისს საღამოს 6 საათზე. (მარაბდის ქუჩა № 13) მუშა-მწერალთა წრის წევრებს.

აჭარისტანში.

— **[illegible] თეატრი.** სამშაბათს, 15 ივნისს, თბილისის სახ. დრამის მიერ დადგმული იქნება მესამედ „დეზერტირი“. 16 ივნისს პირველად ბათომის სცენაზე მიდის **„[illegible]“.**

— შაბათს, 12 ივნისს, სომხური სცენის დამსახურებული მსახიობი არმენიანი მართავს საღამოს გ. სუნდუკიანცის პატივსაცემად. დადგმული იქნება მისივე პიესა „პეპო“.

— კვირას, 13 ივნისს, გაიმართება სანაპირო ბულვარში მუშების გუნდის კონცერტი ამ. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

— 17 ივნისიდან დაიწყება „მუსიკალური კომედიის“ გასტროლები სომხურ ენაზე. გაიმართება რამდენიმე წარმოდგენა.

— ქობულეთის ადგილობრივ აღმასკომის ინიციატივით ქობულეთში ზღვის პირას შენდება თეატრი, რომელიც დაიტევს 400 კაცს. ამჟამად სცენა უკვე დაწყებულია. განზრახულია ახალ თეატრში 10 ივლისს გაიმართოს პირველი საღამო, რომლის შემოსავალი მოხმარდება თეატრს.

— **ებრაული თეატრი.** 13 ივნისს, პატარა თეატრში რეჟისორ უკრაინსკის ებრაულ სცენაზე 15 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

— **ხელოვნების სასახლეში** ორშაბათს, 14 ივნისს სიმონ ჩიქოვანი წაიკითხავს მოხსენებას: „თანამედროობა და ქართული პოეზია“.

— **საღამო-სეირნობა.** 12 ივნისს, სავაჭრო და სახელმწიფო მოსამსახურეთა კლუბში გაიმართება გრანდიოზული საღამო-სეირნობა. მთელი შემოსავალი გადაიდება საბჭოთა დიდი გადაფრენების ფონდის გასაძლიერებლად.

— „ტარტიუფი“. შაბათს სომხური აკადემიური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ტარტიუფი“.

დღეს კინოებში

— **ეთერი**—„ქალი მთის მწვერვალებიდან“.

— **აპოლო**—„შუქი სიბნელიდან“.

— **აპოლო**—„შუქი სიბნელიდან“ მერი პიკფორდის მონაწილეობით.

— **სოლეი**—„მიხაელი“.

— **პალას**—„საიდუმლო კუნძული“.

— **მინიონ**—„პულიკუშკა“—მოსკვინის მონაწილეობით.

— **ოაზის**—„ნათელა“—ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით.

მეცნიერება და ტექნიკა

სამეცნიერო ექსპედიციები ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

გარდა 5 საჰაერო ექსპედიციისა, ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა კიდევ რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია, მოწყობილი ამერიკულ უნივერსიტეტების მიერ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ გრენლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში გაგზავნილია კარგათ მოწყობილი ექსპედიცია, შემდგარი 20 მეცნიერისაგან. ექსპედიციის მეთაურია პროფ. **[illegible] ჰობბსი.**

ექსპედიციამ უნდა აღმოაჩინოს ადგილი, სადაც წარმოიშვებიან ის საშინელი გრიგალები, რომლებიც მძვინვარებენ ატლანტის ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილში. ჰობბსის აზრით, ჩრდილოეთ გრენლანდიაში არსებობს ე. წ. „დედამიწის მაცივებელი“, სადაც ეკვატორიდან მომავალ საჰაერო დინებათა ზედაფენები ეშვებიან დაბლა, თითქო უზარმაზარ სავენტილიაციო (ჰაერის გასაწმენდ) მილში და, გაცივების შემდეგ, ისევ მიემართებიან ეკვატორისაკენ საშინელი გრიგალების სახით. **ჰობბსის** ექსპედიციის ნაწილი საზამთროთ დარჩება გრენლანდიაში.

მეორე სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც **ვ. [illegible]** მეთაურობით გაემგზავრა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, მიზნათ ისახავს მასალების შეკრებას ამერიკულ საბუნებისმეტყველო მუზეუმისათვის.

დაბოლოს, მესამე, **მაკ-მილანის** სამეცნიერო-გამომკვლევი ექსპედიცია ნელა მიიწევს ჩრდილოეთისაკენ.

მეტად ორიგინალური მოგზაურობის შესრულებას აპირებს ფრანგი სპორტსმენი **ჟორჟ დარსი.** დარსი ახალი მიწიდან ალიასკაზე მისვლას აპირებს ჩრდილოეთ პოლიუსზე გავლით. მოგზაურობას აწყობს 12 „მექანიკური“ ძაღლით.

ახალი გამოგონება.

საფრანგეთში, მთავრობის დახმარებით, გამომგონებელი **ხასენკო** აკეთებს მეტად ორიგინალურ აპარატს, რომლის საშუალებით ადამიანი შესძლებს მოგზაურობას ოკეანეს ზედაპირზე. ჰიდროჰაეროპლანებისაგან განსხვავებით, ხასენკოს აპარატს თუმცა ფრთები აქვს, მაგრამ ფრენა არ შეუძლია. მას შეუძლია სრიალი წყალის ზედაპირზე, ტალღიდან ტალღაზე გადახტომა. აპარატის კორპუსს ქვევით მიმაგრებული აქვს ფეხების მსგავსი კიდურები. როცა აპარატი მოძრაობაში იმყოფება, „ფეხები“ მიაბიჯებენ და აპარატს წყალის ზედაპირიდან აიტყორცნიან. ახალი აპარატით შესაძლებელია 160 კილომეტრის გავლა საათში. ივნისის შუა რიცხვებში ხასენკო თავისი აპარატით ატლანტის ოკეანეში მარსელიდან ბრაზილიაში აპირებს წასვლას. მისი აზრით, მოგზაურობას სულ 8 დღე მოუნდება.

პირველი ფოსტა ჩრდ. პოლიუსით.

ამერიკაში დაარსდა „ჩრდილოეთ პოლიუსის საფოსტო ამანათების გადამგზავნი სააქციონერო საზოგადოება“. საზოგადოებას სათავეში უდგას პოლიარული ქვეყნების ცნობილი მკვლევარი კაპიტანი გეორგ **უილკინსი.** საზოგადოება ამერიკიდან ევროპაში ჩრდილოეთ პოლიუსით გადაიტანს წერილებს და ამანათებს. პოლიუსით გაგზავნილი იქნება მხოლოდ სასწრაფო წერილები და ფასიანი ამანათები. თვითეული ჰაეროპლანი წაიღებს 200 წერილს და ამანათს. წერილის გადაგზავნისათვის დაწესებული იქნება 20 მანეთი. წერილები, წონის შესამცირებლად, დაბეჭდილი იქნებიან პაპიროსის ქაღალდზე. ამერიკიდან ევროპაში გადაფრენას ჩრდილოეთ პოლიუსით დასჭირდება 3—4 დღე, ჩვეულებრივ კი—15 დღე ესაჭიროება.

პირველი საფოსტო ჰაეროპლანი ამერიკიდან ევროპაში ჩრდილოეთ პოლიუსით ივნისის შუა რიცხვებში გაფრინდება.

რამდენს იწონის დედამიწა

მეცნიერებამ გამონახა დედამიწის აწონვის საშუალება. მეტად რთული მუშაობის შემდეგ ამერიკელმა მეცნიერმა **გეილმა** გამოარკვია, რომ დედამიწის წონა უდრის 6.000.000.000.000.000.000.000 ტონას (ტონა—62 ფუთი).

რადიო-მუხრუჭი

საფრანგეთის გზათა მიმოსვლის სამინისტრომ მოახდინა ცდები ინჟ. კლარკის რადიო-მუხრუჭებზე. მუხრუჭის მოქმედება შემდეგში მდგომარეობს: ორთქლმავლიდან იგზავნება რადიო-ტალღები, რომლებიც, თუ გზაზე დაბრკოლებას შეხვდენ, ორთქლმავალზე სანიშნო ფარანს აანთებენ. ფარანის სინათლე კი ამოქმედებს მუხრუჭებს.

წყალთმავალი

შვეციის რკინის გზებზე გამოუშვეს ახალი ტიპის ორთქლმავალი, რომელიც ტენდერზე (ორთქლმავალის უკანა ნაწილი) მოწყობილ წყალვარდნილს მოჰყავს მოძრაობაში.

ამ ორთქლმავალს საათში შეუძლია 50 ვერსის გავლა.

ნარევი

ცირკი ჰაერში.

პარიზის ერთ-ერთ ცირკში სპეციალურ საავიაციო ნომრებს უჩვენებენ. სამი ახალგაზრდა აკრობატი ორ ჰაეროპლანზე აფრინდება 200 მეტრის სიმაღლეზე და იქ ვარჯიშობენ. განსაკუთრებულ უშიშრობით განირჩევა ერთი მათგანი—რობერტ ტუტენი. ის დადის მფრინავ ჰაეროპლანის ფრთაზე, ხტება, ესალმება მაყურებლებს, უშვებს ზევით მყოფ ჰაეროპლანიდან ბაწრის კიბეს, ჩამოდის ამ კიბეზე და უკანასკნელი საფეხურიდან ხტება მეორე ჰაეროპლანზე, რომელიც ქანობის იწყებს, მაგრამ ტუტენი უკვე ფრთის მეორე მხარეზეა და იქიდან ხტება პირველ ჰაეროპლანზე, რომელიც გვერდში გამოუქროლებს.

წერილი რედაქ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში მოათავსოთ შემდეგი: სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო „ტეხნიკურ წრემ“ საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად ქ. ჭიათურაში მყოფ სხვადასხვა პირებისა და სამრეწველო ფირმების წარმომადგენლებისგან მიიღო შემოწირულების სახით 470 მანეთი.

შემოწირულება გაიღეს შემდეგ პირებმა!

ი. ზ. სვანიშვილის და ამხ.-ბის ფირ., თოფურია-ანჯაფარიძესგან, სააქციო საზ-ბისაგან, ჯავახოვი და ამხ.-ბისაგან, მონოლოპულო-პანოლოპულოსგან, ძმ. ვარაზაშვილებისგან, მანუილიდისისაგან, ხალიფაურის საზ-ბისგან, კოწია აბულაძისგან, მიშა ჩუბინიძისგან, კოტე შარაშიძესგან, ვლადიმერ წერეთლისგან, ნ. ვაკალოპულოსგან, თარხან ჯაყელისგან, ვ. ქუთათელაძისგან, შ. ვაშაძისგან, ნიკ. ნანეიშვილისგან და ექ. ად აბდუშელიშვილისგან.

„ტეხნიკური წრის“ გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ და აგრეთვე ინჟ. ალ. ჭემსაძეს, გ. ვარაზაშვილს და ალ. ლორთქიფანიძეს, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს შემოწირულების შეგროვებაში.

გამგეობის სახელით აპ. **ჩაჩანიძე.**

იურიდიული რჩევა-დახმარება

ადმინისტრაციის მოქმედება კანონიერია თუ არა

კ ი თ ხ ვ ა

ვმუშაობდი თამბაქოს ქარხანაში № 2-ში პაპიროსის ჩამწყობის თანამდებობაზე. გასული წლის ნოემბერში ვაუგებრობით ვიქენი დაპატიმრებული და მოთავსებული ციხეში, სადაც გავატარე 6 თვე ამა წლის მაისის 6-მდის, როდესაც გაირჩა საქმე საოლქო სასამართლოში და როდესაც ვიქენ გამართლებული და განთავისუფლებული ციხიდანაც. მეორე დღესვე გამოვცხადდი ჩემ სამსახურში, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გამომიცხადა უარი მიღებაზე ვითომდა, ადგილის უქონლობის გამო.

გთხოვთ ამიხსნათ მეკუთვნის თუ არა ჩემი ადგილი, ან ფული, როგორც გამართლებულს სასამართლოს მიერ და თუ ასეთი მეკუთვნის განმიმარტეთ, ვის მივმართო.

ვარ პროფკავშირის წევრი 1917 წლიდან (წიგ. № 5043).

პაპიროსის ჩამწყობი **გიგა ბურძენიძე.**

პ ა ს უ ხ ი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47 ახნაცი „ე“-სა ადმინისტრაციას აქვს უფლება არ დაუბრუნოს მუშა-მოსამსახურეს სამსახურის ადგილი, თუ კი ისინი (მუშა-მოსამსახურენი) მოხსნილი იქნენ სამსახურიდან და დაპატიმრებული საგამომძიებლო და ადმინისტრატიულ ორგანოთა მოთხოვნით და მათი დაპატიმრება გაგრძელდა ორ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში. ამის გარდა, თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატის 1925 წლის 16 იანვრის ზემო აღნიშნული მუხლის განმარტების პუნქტი 4-ისა, ადმინისტრაცია, შესაძლებელია შემფ.-საკონფლიქტო კომისიასთან შეთანხმებით განთავისუფლებულ იქნეს ხელფასის გაცემისაგანაც, თუ კი მუშა-მოსამსახურეზე წამოყენებული ბრალდება არ იყო დაკავშირებული მათ სამუშაოსთან და ბრალდება მათ წინააღმდეგ წამოყენებული იქნა თვით სასამართლო ან და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ.

ადმინისტრაცია არის ვალდებული მხოლოდ დროებით სამსახურიდან მოხსნილ და პასუხისგებაში მის მიერ მიცემულ და შემდეგ სასამართლოს მიერ გამართლებულ პირს დაუბრუნოს სამუშაო ადგილი ან და თანაბარი კვალიფიკაციის სხვა სამსახური და ხელფასიც მთელ გაცდენილ ხნის განმავლობაში მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს გავრძელდა მომუშავის სამუშაოდან გადაყენება და სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. (იხ. **იქვე მუხ. 8**)

კავშირის წიგნაკი უნდა მომცემოდა თუ არა?

კ ი თ ხ ვ ა

ვმსახურობდი 3 თვე—სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატში შიკრიკის თანამდებობაზე. ეკონომიის რეჟიმის თვალსაზრისით დამითხოვეს სამსახურიდან. მეკუთვნის თუ არა პროფკავშირის წიგნაკი.

შიკრიკი **გიორგი ობოლაძე.**

პ ა ს უ ხ ი

თუ სამსახურში ყოფნის დროს თქვენ ირიცხებოდით კავშირის წევრად, თქვენთვის უნდა მიეცათ კავშირის წიგნაკი. კავშირში წევრად ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ სამსახურში ყოფნის დროს.

პენსიის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

1924 წელში მე ვმუშაობდი ჩაქვის სახალხო მამულის ჩაის ქარხანაში და მუშაობის დროს ჩაის დასაჭრელმა მანქანამ წამაჭრა მარცხენა ხელის ოთხი თითი, რის გამოც დავკარგე ფიზიკური შრომის უნარიანობა. არ ვიყავი დაზღვეული. მხოლოდ შრომის სასამართლომ მომისაჯა ყოველთვიურად ექვსი მანეთი 10 წლის ვადით და დარჩა ჩემზე გასაჩივრების უფლება ვადის შესრულების შემდეგ ზემოხსენებული თანხა მე მომესაჯა 20 პროც. შრომის უნარის დაკარგვაში.

გთხოვთ მომცეთ დარიგება, ჩემზედ დარჩენილი შრომის უნარი 80 პროცენტით შემიძლია თუ არა გავასაღო ისევ იმ დაწესებულებაში, სადაც მე მივიღე დასახიჩრება, მხოლოდ ისე, რომ არ უნდა შეეხოს ეს სასამართლოს დადგენილების გაუქმებას (ე. ი. სასამართლოს მიერ მოსჯილ თანხას მე უნდა ვიღებდე თანახმად აღმასრულებელ ფურცლისა).

ჩაქვის ჩაის ქარხნის მუშა **პ. დოლიძე.**

პ ა ს უ ხ ი

თანახმად საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილება № 128 914-ის (1925 წ. 9 აპრილიდან) მუხ. 1—5, თქვენ გაქვთ უფლება გამოიყენოთ შრომის ინვალიდობის შემდეგ შერჩენილი უნარიანობა ძველ პროფესიაზე (ე. ი. იქ, სადაც თქვენ მუშაობდით წინეთ) თქვენთვის დანიშნული პენსიის შენარჩუნებით (შენახვით).

ბინის ქირის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

მე ვცხოვრობ კახეთის ქ. სახ. № 12-ში. მიჭირავს ერთი ოთახი, რომლის სივრცე უდრის 40 კვადრატიულ არშინს. მე ვმუშაობ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში; შიკრიკის მოვალეობას ვასრულებ და ვიღებ ჯამაგირს 35 მან. და 65 კაპეიკს თვიურად, მყავს სარჩენი, ჩემს გარდა ორი სული.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთვნის ბინის ქირად და თუ სახლის პატრონი არ მიიღებს, როგორ მოვიქცე.

მუშა **დავით ნარგიზოვ.**

პ ა ს უ ხ ი

ბინის ქირად თვიურად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთნახევარ კაპეიკს თუ სახლის პატრონი ამას არ მიიღებს, შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ამხ. თომა ფოცხიშვილს და გრიგოლ შალამბერიძეს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან 11 ივნისს, დილის 9 საათზე.**

დღეს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი.**

დღის წესრიგში სდგას: 1) ა.-კ. საოლქო კომიტეტის ანგარიში, 2) საუჯრედო ბიუროების არჩევნების შედეგების შესახებ, 3) მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

პარასკევს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე მესამე საბავშვო სახლის შენობაში (პლეხანოვის გამზ. № 166) შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა უჯრედის № 24 ღია კრება.

დღეს, 11 ივნისს, დილის 10 საათზე შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, პარასკევს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მესამე რაიონის მუშკორების საერთო საერაიონო კრება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებთან ერთად.

ლენრაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, პარასკევს, 11 ივნისს საღამოს 6 საათზე შესდგება მეცადინეობა რუსულ ენაზე პლეხანოვის სახელობის კლუბის ქალთა კუთხეში.

დასწრება ყველა ორგანიზატორებისა სავალდებულოა.

სამუდამოთ გულმოკლულნი: **დედა მინადორ, ძმა საშიკო, და მარუსია, ბიცოლები: ლიდა და პოლო**—ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს

თამარ ვასილის ასული

გაგესკირიას

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ახალ-სენაკში, კვირას 13 მაისს ქ. 2786

გულდაწყვეტილნი: **ალექსანდრა და ვასო გორგაძე ვაჟით თამაზით** მდუღარე ცრემლით გლოვობენ ძვირფასი დის და აღმზრდელი დეიდის

თამარ ვასილის ასული

გაგესკირიას

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ახალ-სენაკში, კვირას 13 ივნისს. ქვ. 2786

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: **ჩაქო ვასილის ასული და ილიუშა ნიკოლოზისძე თეოფილაქტოს** გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი დის

თამარ ვასილის ასული

გაგესკირიას

უდროოთ დაკარგვას. დასაფლავება ქ. ახალ-სენაკში, კვირას 13 ივნისს. ქვ. 2786

ღრმად დამწუხრებული ბებია ნინო გიორგის ასული, დეიდა თინათინა ვასილის ასული ფავლენიშვილები, დეიდა ელენე ვასილის ასული იოსავასი ქმარშვილით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ქალ. ზუგდიდში 5 ივნისს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა მათი დაუვიწყარი პატარა

თამრიკო აბხაზი

2780

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
სოლეი
ნ. 1375 0—10

პრემიერა
ქალი მთის მწვერვალებიდან
ბარბალე ლა-მარის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ქალი ცეცხლში“ ასტა ნილსენის მონაწილეობით.
შეუდარებელი მერი პიკფორდი სურათში
„შუქი სიბნელეში“
(კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა)
კინოს შენობა დახურულია; სეანსები ყოველ საღამოს.
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
„მიხაელ“
ანონსი: მალე „მეცხრე ზვირთი“

ს.მ.უ.ს. ტყავტრესტი ს.მ.უ.ს.
აცხადებს, რომ ორშაბათს, 14 ივნისს, დღის 12 საათზე ტრესტის გამგეობის ბინაზე, კომუნალური ქ. № 2
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
1300 წყვილ უვარგის (бракованная) ფეხსაცმელის, 2 ეტლის, 2 ცხენის, ტყავის ჩამონაჭრების, უნაგირების და სხვადასხვა ნივთების გაყიდვაზე.
2—1 ნ. 1414

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსი
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ე ქ ი მ ი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 32. 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. იღებს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ე ქ ი მ ი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 15.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

ე ქ ი მ ი
მ ე გ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ჴლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23 25—1

აგარაკი ბახმარო
1926 წლ. საზაფხულო სეზონი
ოთახები ღირს სეზონში პირველი ხარისხის კვ. ადლი: 1 მან. 50 კაპ., მე-2 ხარ.—1 მან., მე-3 ხარ.—80 კაპ. მისამართი სიტყვიერად და წერილობით ოზურგეთში: გიორგი სალუქვაძეს, ჩოხატაურში: მიხაკო შარაშიძეს ან ბიქამედ კობალაძეს.
ვსთხოვთ სახლის მეპატრონეებსაც მოგვაწოდონ ამავე მისამართით თავისი ოთახების დაწვრილებითი ცნობები
აგარაკ ბახმაროს სახლების მეპატრონეთა ბიურო. ნ. 1413

დ ა ბ რ უ ნ დ ა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

ე ქ ი მ ი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 537 25—12

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

მცხ. სოფ. თეთრაწყაროში, მოქ.
ექვთიმე ოქროპირის ძე
მშველიძემ
და მისმა ცოლმა ირინე კაციას ასულ მშველიძისამ შეიტანეს განცხადება შორაპნის მაზრის მმაჩში მათი გვარის
„მშველიძის“
„ღურსმანაშვილით“
შეცვლის შესახებ.
2783

დაკარგა კომპარტიის წევრობის მანდატი, პროფკავშირის წიგნაკი, ნებართვა იარაღის ტარების და რკინ. გზ. მუდმივი 2 უფასო ბილეთი ვასილ გიორგის ძე თავაძის სახელზე, ჩ. გ. 2782

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 8575, ნინა გიორგის ასული ხაჭაპურიძეს სახელზე, ჩ. გ. 2785

დაკარგა საარიცხვო წიგნაკი და გლეხკომის საწევრო წიგნაკი სოკრატ ნესტორის ძე ჭინჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 2781

დაკარგა რკინის გზის მოწმობა, სურათით და უვადო პასპორტი, მოცემული ქ. თბილისის 1-ლ უბნის კომისარიატის მიერ მარიამ ესტატეს ასული თარხნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2784

დაკარგა მოწმობა, მოცემული თბილისის აღმასკომის მმაჩიდან ქორწინების შესახებ მარიამ და ნიკოლოზ გოგეშვილების სახელზე, ჩ. გ. [illegible]

დაკარგა პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი, პარტიული ბილეთი და ჯარიდან განთავისუფლების მოწმობა, ალექსანდრე გოგობერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2779

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68